

ხირილე სკვითოპოლელი

დეკემბერსა : 7:

ცხოვრებამ ნებარისა მამისა ჩუენისა საბამსი*

უსა თავი: წმიდისა ღა ნებარისა
შამისა ჩუენისა საბამსი ცხოვრებამ

1. პირველი თავი.
2. შაბისათვის მისისა და მამულთა.
3. სადა იყოფოდა.
4. ჴაშლისათვის.
5. ჴითარ იგი შევიდა ღუემლად.
6. ქესლვად **სერუსალტმდ** და **სასარიონ-წმიდას** ყოფადა.
7. შისლვისათვის **სეთუმისა** და ვითარ იგი წარავლინა **ციოქტისტსა**.
8. იუანლისათვის, რომელი შრომად იხილა მონასტერსა შინა.
9. წარსლვისათვის **სლექსანდრიად**.
10. შემდგომად აღსრულებისა **ციოქტისტსა** დაყუდებისათვის ქუაბსა შინა.
11. უდაბნოსა ზედა წყურილისათვის და **სეთუმის** აღსრულებისა.
12. შონასტრით განსლვისათვის დიდად უდაბნოდ და განსაცდელთათვის.
13. შემთხუევისათვის სარკინოზთადასა.
14. **სნთოს** მონაზონისათვის.
15. ჴომლითა სახითა მოვიდა ლავრად, ოდეს **ხინონ** მეფემან სძლო **ქასილის** და **შარტვრი** მთავარეპისკოპოს იქმნა.
16. შწნებისათვის ლავრისა.
17. წყლისა პოენისათვის.
18. სუეტისა ცეცხლისა ხილვისათვის და იმროთით-შწნებულისა ეკლესიისა.
19. სლსრულებისათვის **შარტვრისა** და წინა აღვინმე-უდგეს და იქმნა ხუცესი.
20. **პავლტსთვის** და **სომეხთა**.
21. შეყენებულისათვის.
22. ოდეს შევიდა ზღუად.
23. ოდეს განვიდა აგაპის თანა.
24. ჴულად წარსლვისათვის მის თანავე.
25. სიკუდილისათვის მამა-დედისა მისისა.
26. ირუბლისათვის წინა-ძღუანვისა ძმისა.
27. **ხასტელისათვის**.

28. შცირისა მონასტრისათვის.
29. წრა შეწყნარებისათვის მუნ უწუერულისა.
30. ჴოფისათვის მთავარმამასახლისობისა.
31. სიკუდილისათვის **სალოსტისა** და ქსენადოქისა შწნებისათვის ქალაქს შინა.
32. **სელასისთვის** და აღშწნებისათვის ეკლესიისა და განგებისათვის **სომეხთადასა**.
33. წინა-აღმდგომთათვის ოდეს წარვიდა **სკვთოპოლისა** და ლომისათვის.
34. ჴითარ იგი მონასტერი აღაშწნა მუნ.
35. წარსლვისათვის **ჩიკოპოლისა** და მუნ აღშწნებისათვის მონასტრისა.
36. წინა-აღმდგომთათვის და ვითარ **ჩეა-ლავრად** აღაშწნა.
37. **სპილიონთა** მონასტრისა აღშწნებისათვის.
38. **სქოლარის** მონასტრისა აღშწნებისათვის.
39. **ჴუდპირისა** ლავრისა აღშწნებისათვის.
40. **საკობისთვის** და ჴმელისა პისრისა.
41. **საკობისთვისვე**, ვითარ-იგი თავი თვისი გამოხსაჭურისა.
42. სლშწნებისათვის **ხანოას** მონასტრისა.
43. ჴრისტტს მიერ განსუენებისათვის **სნთიმტსა**.
44. **სფროდისტსთვის**.
45. **სერონტისთვის** მედაბელისა.
46. **წომამსთვის**, ძისა მისისა.
47. სანსნავლისათვის **საბაას** მიერ, თუალთა შეკრძალვისათვის.
48. სეიროხსა მისთვის მწარისა.
49. ჴომისა მისთვის მკელობელისა და **წლავიანოს ასურისა**.
50. სლსლვისათვის აბბა **საბაასა** **ხოსტანტინეპოლისა**.
51. სირველისა შემთხუევისათვის აბბა **საბაასა** მეფისა **სნასტასისა** და მუნ უბრძანა დაზამთრებამ.
52. შეორედ სიტყვსათვის **სლია** მთავარეპისკოპოსისათვის **სერუსალტმელისა**.
53. **სელიანასთვის** და **სნასტასიასთვის**.
54. სიბოროტისათვის **შარინტსისა**.
55. ხიარებისათვის **შამაასა** ეკლესიას.

* მამათა ცხოვრებანი (ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ვახტანგ იმნაიშვილმა, თბ., 1975. გვ. 54-125.

- 56. **წმინდისათვის ჭიჭიანისა და ლიანისა და დიდებისათვის სებერცისა და დადგინებისათვის სოჭანისა და შესუმისათვის საპყრობილედ და რა-იგი ქმნა სტეფანე-წმიდისა სამარტყრესა.**
- 57. **წმინდასი მეფისა წიგნი ძეოდოსისი და საბაისი.**
- 58. **წმინდისათვის, ჯკონომოსისა შეინრებისათვის და იმრთისა საკრველებისა საქმისა.**
- 59. **წმინდისათვის ძუძუთა საცხუვართადასა და სძისა არა გამოსლვისა.**
- 60. **სიკუდილისათვის ლია მთავარებისკოპოსისა და წმინდასი მეფისა.**
- 61. **წმინდისათვის სკუთოპოლისა.**
- 62. **წმინდაკაცისათვის, რომელსა აქუნდა დინებად სისხლისა დაუცხრომელად.**
- 63. **წმინდისათვის ქალისა.**
- 64. **მთავარებისკოპოსისათვის, ვითარ-იგი საბას პურად ჰხადა.**
- 65. **სიყვარულისათვის ურთიერთას ძეოდოსისა და საბაისა.**
- 66. **წმინდისათვის სპილონისა.**
- 67. **ზოცვისათვის აბბა საბაისა წმინდა მოცემისათვის.**
- 68. **სიკუდილისათვის სოჭანე მთავარებისკოპოსისა და შესტინიანოსის მეფობისათვის და დისათვის მთავარებისკოპოსისა.**
- 69. **საჭურისისათვის და სელიანას სიკუდილისა.**
- 70. **სიკუდილისათვის აბბა ძეოდოსისა და აბბა საბაისა ღოსტანტინეპოლისა აღსლვისა სამარტყრათვის.**
- 71. **ქესლვისათვის წმინდა მეფისა და დედოფლისა.**
- 72. **ქუთისა სათხოვარისათვის, რომელი ითხუვა.**
- 73. **ვითარ-იგი მეფემან ხუთივე იგი თხუვა აღსურულა.**



ურთუხეულ არს იმერთი და შამად ოფლისა ჩუენისა შესუ ჟრისტისი, რომელმან თქუენი გულსმოდგინებად აღადგინა სრულიად და მე ღირს მეო, არაღირსი, აღწერად იმრთისმოყუართა წმიდათა მათ მამათა წმინდა-აღსრულებულთა, **სტეფანეს** და **საბაის**ს, ზოგად ყოფისა. ჟამეთუ მე საწყალობელსა სიმრავლითა მოწყალებისა მისისადათა ნაწუეთი სიტყუათა მათთა და მწუთა აღებითა პირისა ჩემისადათა, რაათა ვილუნიდე ბრძანებისაებრ, ვითარცა-იგი **ანოსიფორე**. ესე რაჲ მესმა მე ნეტარისა მამისა

- 74. **აღსრულებისათვის წმინდამეტყუელებისა აბბა საბაისისა იმრთისა მიერ და აღშწნებისათვის ლავრისა სერემიანისა.**
- 75. **წმინდისათვის აბბა საბაისა სკუთოპოლისა.**
- 76. **სოსლვისათვის სკუთოპოლისით და აღსრულებისა.**
- 77. **ჟამთა მისათვის.**
- 78. **შადლისათვის იმრთისა, რომელი მოსცა მას სულთა და ჯორცთა.**
- 79. **მათ მამათავს ქუეყანისა-მოქმედთა.**
- 80. **სკუთოპოლელთა დედათათვის.**
- 81. **სქელემისათვის სარაკინოსელისა.**
- 82. **წმინდა მისთვის, რომელ დაიქოლა.**
- 83. **წმინდომად სიკუდილისა ნეტარისა საბაისა ჩონოს და მისთანათა ნვალებად განცხადეს და მრავალთა ავნებენ და შელეტეს მიერ უკუნცემულისა მისთვის ოქროსა.**
- 84. **სელასისთვის, ოდეს მამასახლისობად დაიპყრა და ოროგინელნი განასხნა და ვითარ დასცნა უხილავობითა სეონტიელნი.**
- 85. **ვითარსახედ იქმნა ოროგინელთა ზედა კრებად იგი.**
- 86. **ჟამეთუ კრებულისა მისგან წარვიდეს და კუალად უკმოქცეს, და ბრძოლად იგი რომელ იქმნა.**
- 87. **აღსრულებად სელასისი და უმჯულოსა სეორგის დადგომად.**
- 88. **წმინდებისათვის სეორგისა და ღასიანოსის დადგომისა და სიკუდილისა მისისათვის.**
- 89. **წმინდისათვის კონონისა და დამდაბლებებისათვის ოროგინელთადასა.**
- 90. **წმინდა ჩონონის ღოსტანტინეპოლისა აღსლვისათვის და მეხუთისა კრებისა ყოფისათვის და ოროგინელთა გამოსწმინდათს ჩეა-ლავრით და მართლმადიდებელთა დაპყრობისათვის.**

ჩუენისა **სტეფანეს**ს მცირე წურად და შეუძლებელი მისისა დიდებისა გამოთქუმად და უადრე შევერ-უძლე, არამედ მეოთხემოცესა წელსა აღსრულებასა მისსა და იმრთისა მისლვასა. წაესეცა, რაოდენი აღწერე მცირედ და შრომით, ვითარცა უფსკრულისაგან სიმრავლითა ჟამთადათა, ეგრე შევეკრიბენ საქმენი და სიტყუანი მისნი, რაათა შემდგომად ჟამთა ამათ მისნი იგი სწავლანი სარგებელ ეყენენ სულთა ჩუენთა. წნესერა სრულიად მოვიწიე ჟამსა ამას ამისთვის, და რაათა მცირედ წურად ვთქუათ, ნეტარისა მამისა ჩუენისა **საბაისი** აღწერე, ვიზრუნე,

დავშუერ გულსმოდგინედ ქეშმარიტთაგან და ღირსთა მამათა თანა-მყოფთა და თანა-მოლუ- ანეთა მისთა.

თა ანცა, ძმანო, მივემსგავსებოდით მის- სა მას მოლუანებასა, რათა წარგუემართნენ 5 იმრთისა მიმართ სლვანი ჩუენნი. ოსე ვთქუ წარსრულთაჲ ჟამთაჲ სიტყუაჲ ამისთჳს, რა- მეთუ უცბობაჲ ჩემი და არაღირსებაჲ მიცნო- ბიეს და უმეტჳსსა მოველი წყალობასა. წრა თუ ვის გონებასა ვასწავებ, არამედ შჯულისა გარდასლვისა მის მეშინის და საშინელსა მას განვიზრახავ რისხვასა, რომელსა იტყვს: «მონაო ბოროტო, შეჰგვანდა ვეცხლისა ჩემისაჲ დადებად სავაჭროსა»(მთ.25,26-27).

წნ გევედრები თქუენ, მლოცველთა, ამას შრომასა ზედა და სიღირსესა შენსა, მამაო 15 წრისტე და შვილთმოყუარეო **ქეორგი**. სირვე- ლად ევედრე შეუფესა იმერთსა შენდობისა და მოტევეებისა ჩემისათჳს, საწყალობელისა ამი- სა და არაღირსად ცხორებულისა, მრავალთა ცოდვათა შინა განფრდილისა, და ნუვინ ურწ- მუნო ხართ ამათ წინაწინარ თქუმულთა და რო- მელნი შემდგომად თქუმად არიან. წმისთჳსცა ჟამთაგან წურთაჲ და ადგილთაჲ და კაცთაჲ და სახელთაჲ ესე ყოველი მოვიწესენე და ამისთჳს 25 ვყავ სიმართლით განკითხვაჲ. ჯამეთუ ჩუენ შემწჳ და შემწყნარებელი იმერთი გურნამს და აწ ნეტარისა **საბაისი** ვყოთ დასაბამი სიტყუსაჲ.

2. ოსე ნეტარი **საბა** – ზეცისა ქალაქისა მო- ქალაქჳ. ღოლო მამულად იყო იგი ქუეყანისა **ჰაბადუკიასა**, დაბისა **შიტალიკისა**, რომელი არს საბრძანებელსა ქუეშე დედაქალაქსა **ჰეს- არია ჰაბადუკიასასა**. წიგნის მკითხველ იყო დაწესებით სიყმიტგან სიმდაბლესა შინა. თა ყოველთა შოვრის გამობრწყინდა იმრთისმსახ- ურად ჭაბუკი ესე, ვითარცა ადგილი **წრმათემი**, 35 შეურაცხ იყო და უწმარ. თა ამისა შემდგომად განითქუა ყოველსა ქუეყანასა, რამეთუ გა- მოვიდა მიერ იმრთისამიერი ყრმაჲ **სამოელ**, ეგრეცა აქა ნეტარი **საბა**, რამეთუ მამა-დედანი ესხნეს მას ჴრისტიანენი და აზნაურნი, რო- მელთა სახელი ერქუა **ოვანე** და **სოფია**. თი- თარ გულისხმა-ვყავთ შობისა მისისათჳს, იშვა იგი მეფობასა **წეოდოსისსა** ოცდაათერთმეტსა 45 წელსა. თა იყო მამად მისი მწედარ, და წარ- ავლინეს იგი **წლექსანდრიად** გუნდსა თანა **წსაორელთასა**. წარიყვანა ცოლი თჳსი თანა და განემორა იგი ქუეყანასა **ჰაბადუკიასასა**.

თა დაშთა ნეტარი ესე ნებითა იმრთისაჲ-

თა სამლდელო ჭაბუკი. თა იყო ნეტარი იგი ჰასაკითა ხუთის წლის, იყო რაჲ დაბასა თჳსსა **შიტალაკს**, მამულსა თჳსსა ზედა, ხუასდაგსა და სახლსა დედის-ძმისა თჳსისა თანა, რო- 5 მელსა სახელი ერქუა **წრმიონ**. თა იყო ცოლი **წრმიოსისი** სახითა მედგარ, და სიბოროტესა მისსა ვერ დაუთმო ნეტარმან მან და მივიდა იგი **წრიგორისა**, მამის-ძმისა თჳსისა, რომე- ლი ეშოვრა დაბასა მისსა სამით მილიონით, 10 სოფელსა, რომელსა ჰრქვან **სკანდო**.

3. ჰემდგომად რაოდენისამე ჟამისა იხილნა, რამეთუ ილალებოდეს დედის-ძმაჲ მისი **წრმია** და მამის-ძმაჲ მისი **წრიგორი** სახლისათჳს და მამულისა, ხუასდაგისა მისისა. ოსე ნეტარი **საბა**, 15 რამეთუ გამორჩეულ იყო იმრთისა მიერ ვიდრე შესაქმედმდე მისად და შობად, ვითარცა დიდი წინაწარმეტყუელი **წერემია**, ყოველივე შეურა- ცხ-ყო და განიშოვრა ცხორებაჲ ამის სოფლისაჲ და შევიდა იგი მონასტერსა, რომელსა ჰრქვან **წლაბიანოსისი**, რომელი ეშოვრა დაბასა მისსა **შიტალიკსა** ოცით სტადიონით, და შეიწყნარა იგი მამასახლისმან, და შეერაცხა იგი სხუათა 20 ძმათა თანა მონაზონთა ზეცისა მოქალაქობა- სა. თა შემდგომად მცირედთა ჟამთა დაისწავა **წავითი** და ყოველი წესი მონაზონებისაჲ.

ღოლო დედის-ძმაჲ მისი და მამის-ძმაჲ მისი ვითარცა დამშუდნეს ურთიერთას, უნდა მათ გამოყვანებაჲ ნეტარისაჲ მის მონასტრისაგან, რათამცა ღუნოდა სოფლებსა მას მამულ-დე- 30 დულსა მისსა და იქმნამცა იგი ცოლიერ. წმას ეტყოდეს იგინი. ღოლო იგი რამეთუ დაცვულ იყო იმრთისა მიერ, გამოფრჩია მივრდომად სახლსა იმრთისასა, ვიდრელა ერისკაცობით ცხოვრებასა, და იწურთიდა, რათა არა გა- ნეშოვროს შუენიერებით ცხორებასა მას მონა- 35 ზონთასა და ზეცისა მოქალაქეობასა, ვითარ- ცა-იგი სახარებასა შინა იტყვს ოფალი: «არ- ავინ დასდვის ჳელი საწნველსა და უკუმართ იხედავენ, და წარემართოს მას სასუფეველსა **წათასა**»(ლკ.9,წ2).

წმას რაჲ განიზრახვიდა ნეტარი იგი, იტყ- 45 ოდა გულსა შიდა თჳსსა: «განვეშოვრო ამათგან, რომელნი მაცთუნებენ მე გზათაგან საღმრთო- თა, ვითარცა გუელთაგან, რამეთუ განჰწრნი- ან გონებასა სიტყუანი ესე ტკბილნი, რომელნი იტყვან მედგარსა. თა მეშინის, ნუუკუე სიტყვთა მათითა დავჰწნდე და წყევაჲ მოვიპოო, ვითარ- ცა იტყვს წმიდაჲ წინაწარმეტყუელი: „წყეულ არიან, რომელთა გარდააქციეს მცნებათაგან

შენთა»(ფს.118,21). ოსრტო სიყრმიტგან აქუნდა გულსმოდგინებაჲ იმრთისა მიმართ ნეტარსა საბას.

4. ოსე ნეტარი ოდესმე იქმოდა მტილსა მონასტრისასა. ოა გულმან უთქუა, რათამცა ჭამა ვაშლი პირველად პურისა ჭამისა, რამეთუ იყო შუენიერ ხილვითა ხილი იგი. ოა ვითარცა განჭურდა ნებითა გულისა მისისაჲთა, მოსწყუდა ხისგან ვაშლი იგი. ოანიზრახა და არა ჭამა, არამედ, ვითარცა მწენმან, დაითმინა, შენანა თავსა თვსსა და თქუა: «შუენიერ არს ხილვითა და კეთილ არს საჭმლად(შესქ.ჰ,წ), არამედ, რომელმან მე მომკლა ხილმან **სდამის** მიერ, შეურაცხ-ვეყო იგი, რამეთუ მან პატივ-სცა ჴორციელთა თუალთა აღხილვითა და განძლომითა მუცლისაჲთა შუენიერი ფრიად კეთილი იგი და სულიერი განსასუენებელი უპატივოყო, რომლისაგან სიკუდილი სოფლად შემოვიდა. ჩუუკუე განვეშორო კეთილსა მარხვასა სულისასა და დავმძიმდე გონებითა; ვითარცა უფროსს შუენიერ არს ყოვლისა ნაყოფისა ყუავილი, ეგრეცა მარხვაჲ უმეტესს არს ყოვლისა კეთილისა დამარხვაჲ».

ოა ესრტო უმჯობესად ჰსძლო ნებასა გულისასა, დაადგო ვაშლი იგი ქუეყანასა და ფერჯითა დასთრგუნვიდა. ოა ვითარცა დათრგუნა ვაშლი იგი, ნეფსით დადგა შჯული ესევეთარი გულსა თვსსა და ვიდრე სიკუდიდმდე არღარა იხილა გემოჲ ვაშლისაჲ, და მოილო ძალი მალლით და მარხვასა თავი თვსი მისცა. ოა განიშოვრნა მისგან გულისთქუმანი ბოროტნი და ძილისა სიმძიმჴს და მარხვასა თანა ჴორცითაცა ფრიად შურებოდა.

ოიოქსენა იმრთისა მიმართ, ვითარ-იგი იტყვს **ოავით** გალობასა: «იხილე სიმდაბლჴს ჩემი და შრომაჲ ჩემი და მომიტევენ ყოველნი ცოდვანი ჩემნი»(ფს.24,18). ომით ყოვლითა ნრაფითა და გულსმოდგინებითა სული თვსი დაიმდაბლა მარხვითა, ხოლო ჴორცნი შრომითა დააჭვნა. ოა იყვნეს მის თანა მონასტერსა მას შინა **ჴლახიანოსისსა** სამეოცი გინა სამეოცდაათი მოღუანჴს, და ამათ ყოველთა უმჯობესად გამოჩნდა ესე სიმდაბლითა, მორჩილებითა და იმრთისმსახურებითა.

5. ოა ესეცა მოსაქსენებელ არს სიყრმისა მისისა ლუანლი, რომელი ქმნა, რამეთუ მეპურემან მონასტრისა მან ჟამსა ზამთრისასა განჴვიდა სამოსელი, რომელ დასოვლებულ იყო სიტფოსა შინა ლუემლისასა, რათამცა გა-

ნაშრო სამოსელი იგი თვსი, რამეთუ მზჴ არა ედგა, და დაავიწყდა ლუემელსა მას შინა. ქემდგომად ერთისა დღისა პური მუაკლდა ვიეთმე ძმათა და იქმოდეს საპურესა მას შინა, და იყო მათ თანა ნეტარიცა **საბა**. ოა ვითარცა ძმათა აღაგზნეს ლუემელსა, მოვქსენა მეპურესა მას სამოსელი იგი და შეეურვა და ვერვის ეძლო შესლვად ლუემელსა მას, რამეთუ იყო დიდ და უმეტესს განჭურვებულ.

10 ოსე ახალი მოციქული სარწმუნოებითა განძლიერდა და უშიშ იქმნა და ნიშითა ჴუარისაჲთა თავი თვსი შეიჭურა და შევიდა ლომელსა მას და გამოილო სამოსელი იგი უვნებლად, ვითარცა-იგი **საბილონს** საკვრველი ქმნა იმერთმან და ვარშამაგით და სამოსლითურთ სამნი ყრმანი შეუნწველად დაიცვნა, ეგრევე სამოსელი იგი, რომელი იყო ლომელსა მას შინა, შეუნწველად დაიცვა მონისა მიერ თვსისა **საბახსგან** ყრმისა, რათა ბრწყინვიდეს და ახარებდეს ყოველთა სინარულსა. ოითარცა იხილეს მამათა დიდებული ესე საკვრველი, ადიდებდეს იმერთსა და იტყოდეს: «ვითარ-მე იყოს ჭაბუკი ესე, რამეთუ ლირს იქმნა მადლსა და დიდებასა და ჰასაკითა თვსითა ესე ყოველი განვლო საჭმილი». ოოლო **სრიგორის** მიერ, ხუცისა და ნათესავისა მისისა, ეუნყა ყოველთა სარწმუნოებაჲ მისი, ვითარ იყო სიყრმიტგან მორწმუნე და გონიერ და ყოველთა შემწყნარებელ.

6. საჩინო არს სათნოებისა მისისა ნარმართებაჲ და წინა-წარსწრობაჲ და განმარტებაჲ გულისა მისისაჲ იმრთისა მიმართ. ოთი წელი დაასრულა მონასტერსა მას შინა და ამისა შემდგომად იმრთით სურვილი მოინია მის ზედა, რათა მივიდეს იგი ქალაქად წმიდად და დაეყუდოს უდაბნოსა ადგილსა. ოამეთუ შეჴგვანდა მის მიერ ადგილისაჲ მის უდაბნოსაჲ ქალაქ ყოფაჲ და გარემოჲს მისსა ვმამალლისა **სადაჲსი** წინანარმეტყუელებაჲ აღსრულებაჲ.

ქეუერდა მამასახლისსა მის ადგილისასა და ევედრებოდა, რათამცა განუტევა იგი ლოცვით. ოოლო მამასახლისმან არა ინება განტევებაჲ მისი. ოა გამოეცხადა ოფალი მამასახლისსა მას ღამე და ჰრქუა: «განუტევე **საბა**, რათა მმსახუროს მე უდაბნოს». ოოლო მამასახლისმან მოუნწოდა თვსაგან ფარულად და ჰრქუა: «განგიტევებ შენ, შვილო, ბრძანებითა იმრთისაჲთა, რამეთუ ჩუენებით მეუნყა. ოოლო შენ ნუვის უთხრობ ამათ მამათაგანსა, რათა არავინ ცნას. ოიდოდე მშვდობით, და

ოფალი იყავნ შენ თანა».

თა ესრტთ წინამძღურებითა იმრთისაათა შემოვიდა **სერუსალტმდ** მეთარვამეტესა წელსა ლუანლსა ჰასაკისა მისისასა, დასასრულსა იმრთისმსახურისა **შარკიანოს** მეფისასა, **სერუსალტმს** მღდელთმოძღურებასა **სუბენა-ლისსა**, და შე-ვინმე-ინყნარა იგი **ხაბადუკმან** ბერმან ნეტარისა **სასარიონის** მონასტრისამან, რომელი შერაცხილ იყო **სლპიდის** მიერ მთავარმამასახლისისა. **ს**ე ნეტარი **საბა** დაადგრა ზამთარსა მას ბერისა მის თანა. **თა** ეტყვნ მას ბერი იგი: «შვილო, დაენესე აქა». **თა** მან არა ინება. **თა** სხუანიცა მრავალსა დასანესებელსა ეტყოდეს. **ჟოლო** მან, მშვდობისმოყუარემან სიყრმიტგან და იმრთისმსახურმან, არცა ერთისა ამათგანისა ვისი ისმინა ესევეთარი სიტყუაჲ.

7. **ს**მოდა რაჲ ყოველთაგან ნეტარსა მას იმრთისმსახურისა **სვთვმისი** ლუანლი, აღმოსავალით წმიდისა ქალაქისა უდაბნოჲ და ბრწყინვალისა ვარსკულავისა სინათლჳ და საკრველთა იგი საქმჳ, ვითარ-იგი ნათელი ყოველთა მისგან მიეფინებოდა; და ვითარცა ესმა ნეტარსა მას ესე ყოველი, ვითარცა მფრინველმან, გული აღილო და აღესურვა ხილვად წმიდისა მის და შეუვრდა ნეტარსა **სლპიდის** და ყოველი ნებაჲ გულისა მისისაჲ უთხრა. **ჟოლო** მან კაცი მისცა და ლოცვით და მშვდობით წარავლინა. **თა** ვითარცა მივიდა ნეტარი ესე ადგილსა მას, ძმათა თანა იყოფოდა.

თა დღესა შაბათსა, ვითარცა მოვიდოდა დიდი **სვთვმი** ეკლესიად, შეემთხვა მას წინაშე ეკლესიასა და ევედრებოდა მას ცრემლით, რაჲთა შეინყნაროს იგიცა ძმათა თანა. **ჟოლო** დიდი **სვთვმი** ასწავებდა მას და ეტყოდა: «შვილო, არა სამართალ მიჩს, რაჲთამცა ჭაბუკი იყო ლავრასა შინა და არცაღა შეჰგავს ჭაბუკი ლავრასა შინა ყოფად. **თა** არცა ჯერ-არს განშოვრებულთა თანა ჭაბუკისა ყოფად. **ჰივედ** შენ, შვილო, ქუენასა მონასტერსა აბბა **სეოქტისტესსა** და ფრიად სარგებელ გეყოს». **ჟოლო** ნეტარმან **საბა** მიუგო და ჰრქუა: «ვიცი, პატიოსანო მამაო, რამეთუ ყოველთაჲ იმერთსა უნებს ცხორებაჲ. **ჰომიძღუა** მე მოსლვად წმიდათა ჳელთა შენთა; ვითარცა მიბრძანო, ეგრეცა ვყო».

ჰაშინ დიდმან **სვთვმი** წარავლინა ნეტარი ესე **სეოქტისტესსა** და მიაძვნო მისსა, რაჲთა ლუნოდის მას, ვიდრემდის მოიპოვოს მონაზონთა ზეცისა მოქალაქეობაჲ. **თა** ესეცა ვითარ მგონიეს, არა უცნაურად ყო დიდმან **სვთვმი**,

არამედ ვითარცა წინაჲსწარმცნობელმან და წინავე მეცნიერმან, **სერუსალტმისა** განშოვრებულთა მამასახლისად განჰმზადა იგი არა ხოლო თუ ესე, არამედ მრავალნი ლავრანი და დიდი ესე ლავრაჲ უფროჲს ყოველთა ლავრათა **სალესტინისათა**, რომელი აღაშწნოს. **თა** იყოს ესე მთავარ და მოძღუარ ყოველთა განშოვრებულთა ამის სოფლისათა. **თა** ამან შჯული დადვას, რაჲთა უწუერული არა შევიდეს ლავრად, და სხუათაცა ლავრათა ეგევეთარი შჯული შეუთხრას. **ჰამეთუ** ძუელითგან იყო ესევეთარი ესე წინათა მამათაგან დამტკიცებული და ჯერ-არს წინა ყოფილი ყოველი დამტკიცებად ღირსთა მამათაჲ.

8. **ს**ყო რაჲ ნეტარისა **სეოქტისტესს** თანა მამაჲ ჩუენი **საბა**, მისცა თავი თვისი ყოვლადვე იმერთსა. **თა**ღათუ რაჲმე აქუნდა თავისა თვისისაჲ, მისცა იგი ჳელთა მამასახლისისათა და განმზადა იგი ლუანლსა, შრომასა ჳორციტა დღითი-დღე, უძილობით დიდებასა იმრთისასა ღამე ყოველ სიმდაბლითა და მორჩილებითა. **ს**ე იყო ძირი და საფუძველი მისისა მონაზონებისაჲ და იყო იგი საჳმარ კანონსა ზედა და იმრთისმსახურებასა და გულსმოდგინე იყო უფროჲს ყოველთასა წინა შესლვად ეკლესიად და ყოველთა უკუანა ეკლესიით გამოვიდის, რამეთუ იყო იგი სულითა ფრთხილ და გუამითა მწვს და ძლიერ. **თა** ყოველთა უფროჲს იყო იგი მშრომელ, რამეთუ სხუათა ძმათა თითოჲ ძნად მანიჭი შეკრიბიან და შეილიან შესაკრებელსა, ხოლო ამან ნეტარმან რაჲცა დღე შეკრიბის და შეილის სამი ძნად მანიჭი, და ამისსა უფროჲს კუალად შეენეგინ ძმათა, რომელნი შესაკრებელსა შინა არიედ მსახურნი: წყალსა ივსებნ, შეშად მუართვს და სხუასა ყოველსა შეენეგინ. **ჰრავალჯერ** იქმნა ნეტარი ესე მეჯორეცა და სხუაჲცა მრავალი ჳელი, რომელი მოჰხუდა, უზაკუველად და უდრტვნველად გარდაიწადა, ვითარმედ უკვრდაცა ძმათა ყოველთა ესევეთარისაჲ მის ჭაბუკისაჲ გულსმოდგინებაჲ და მშვდობაჲ.

9. **ს**ყო ვინმე ძმათაგანი მონასტერსა მას შინა, ნათესავით **სლექსანდრელი**, და სახელი ერქუა **სოჰანე**, რომელი მრავალსა ჟამსა ევედრებოდა და აწყინებდა ნეტარსა **სეოქტისტესს**, რაჲთამცა განუტევა იგი **სლექსანდრიად**, რამეთუ ესმა სიკუდილი მამა-დედათა თვისთაჲ და რაჲთა განაგოს მამულ-დედული მისი მონაგები კეთილად. **თა** ევედრებოდა, რაჲთამცა განუტე-

ვა მის თანა ნეტარი საბა, ვითარცა ღირსი და სარწმუნო და შემძლებელი შრომისაჲ. ღოლო ნეტარმან **ჩეოქტისტე** **სოჰანესი** იგი ვედრებაჲ ისმინა და განუტევა აბბა საბა მის თანა **სლექსანდრიად**.

თა ვითარცა შევიდეს იგინი **სლექსანდრიად** და ეძიებდეს მამულსა მას მონაგებსა **სოჰანესსა**, იცნეს მუნ ნეტარი **საბა სოფია**, დედამან მისმან, და **სოჰანე**, მამამან მისმან, რომელსა გარდაუცვალებს სახელი **ხონონ**. თა ესენი, რამეთუ ბრძანებასა ქუეშე **საორელთასა** იყუნეს, მოუვდეს მას და ეტყოდეს: «იქმენ ხუცეს გუნდისა ამისა». ღოლო მან განიშოვრნა იგინი და ჰრქუა: «მე მჴედარ-ქმნულ ვარ ყოველთა იმართისა და მჴედრობისა ჩემისა დატევებად ვერ ძალ-მიც. ოკუეთუ ვინმე განმაშოვრებდეს ამას მჴედრობასა ჩემსა, გინათუ მშობელნი ჩემნი, გინა სხუად ვინ, არავისი ვისმინო, რამეთუ დადგრომილ ვარ ამას აღსაარებასა, ვიდრე აღმოსლვადმდე სულისა ჩემისა».

თა რაოდენი რაჲ უყვეს მას, ვერ შეუძლეს ნეტარსა მას დაქსნად მისა და დაყენებად მათ თანა. შოსცემდეს მას ოცსა დრაჰკანსა საგზლად. ღოლო მან არა თავს-იდვა, იხილნა რაჲ იგი ფრიად შეწუხებულნი, სამი დრაჰკანი მოილო, რაჲთამცა განკურნნა იგინი. თა გამოვიდა მწრაფლ **სლექსანდრიად** ნეტარი **საბა** და მის თანა მოყუასი მისი **სოჰანე**. თა ვითარცა მოვიდეს იგინი მონასტრად, მისცნა სამნი იგი დრაჰკანნი დიდსა **ჩეოქტისტეს**.

10. თა ვითარცა დაასრულა ნეტარმან მან მეთაჲ ნელი მონასტერსა მას შინა, მოინია აღსასრული სამგზის სანატრელისაჲ ნეტარისა **ჩეოქტისტესი** სამსა სეპტემბერისასა, ინდიკტიონსა ოთხსა. თა მივიდა მუნ დიდი **სეთემი** და დაჰკრძალა ძლევითა შემოსილი იგი გუამი მისი. თა დაადგინა მისსა ადგილსა **შარტინოს**, ღირსი და საკრველი, მამასახლისაჲ. შმან დაყო ორი ნელი და იმართის შეუნიერებით აღესრულა. თა მოვიდა კუალად დიდი **სეთემი** მონასტრად და დაჰმარხა იგი ნეტარისა **ჩეოქტისტეს** თანა ლუსკუმასა, და **სომეგინოს** ვინმე პატიოსანი დაადგინა მისსა ადგილსა. ღოლო მამამან ჩუენმან **საბა** მას ჟამსა ოდენ დაასრულა ოცდამეთაჲ ნელი. თა ყოველთა მოხუცებულთა მის ადგილისათა წარჰმატა მარხვითა და მღვდარებითა, სიმჴვდითა და სიმდაბლითა და სმენითა. **სვედრა** იგი აბბა **სომეგინოსს**, რაჲთამცა უბრძანა მას დაყუდებად ქუაბსა მას, რომელი

არს გარეშე მონასტერსა სამხრით, კლდესა შინა. **სითარცა** ჰხედვიდა აბბა **სომეგინე**, რომელი აქუნდა შეუნიერებაჲ დადგრომისა მისისაჲ და სინმიდჲ სახისა მისისაჲ და მოსწრაფებად ლოცვისა მისისაჲ დაუცხრომელად, მივიდა ნეტარი იგი და აუნყა მისთვის დიდსა **სეთემის**.

სე ვითარცა ესმა **სეთემის**, ჰრქუა მას: «ნუ დააპკოლებ მას ლუანლსა, ვითარცა უნდეს, ილუანოს». თა უბრძანა მას, რაჲთა კვრიაკესა შინა ხუთთა დღეთა ჯდეს ქუაბსა მას შინა. ღოლო მამამან ჩუენმან **საბა** სურვიელად შეინყნარა ბრძანებაჲ მისი და დაყო მუნ შინა ხუთი ნელი ესევითართა კანონითა: მწუხრი შემდგომად კვრიაკისა გამოვიდის მონასტრით და აქუნ ჴელთსაქმრად მისა ბაჲჲ, რომელი ეყოფინ თავადსა კვრიაკესა; და დაადგრის ხუთთა მათ დღეთა და არარაჲ მიიღის საზრდელი, და შაბათსა ცისკრისა გალობასა მოვიდის მონასტრად და მოიღის მის თანა ხუთთა მათ დღეთაჲ ქმნული ერგასისი მალაკი დასრულებული. **სე** ვითარი მონაზონებაჲ აქუნდა მას. თა ვითარცა იხილა ესე დიდმან **სეთემი**, წარიყვანის მის თანა შემდგომად მეთაჲთმეტისა დღისა თუესა იანვარისასა უდაბნოდ, რომელსა ადგილსა ჰრქვან **სუბა**, ურთიერთას ნეტარისა **სომეგინოსის** თანა, რამეთუ აქუნდა სარწმუნუებაჲ მისა მიმართ, და ჭაბუკსა მას, ვითარცა ბერსა, სახელ-სდებდა. თა ვითარცა კეთილი ყრმისა მზრდელი, აღჰსწურთიდა და სწავლიდა უმაღლესსა შეუნიერებასა, რამეთუ მუნ აღასრულიან ვიდრე ბზობისა დღესასწაულადმდე განშორებითა ყოველთა კაცთაგან.

11. **სანვიდა** ოდესმე ადგილით **სუბათ** დიდი **სეთემი**, რაჲთამცა განვლო უდაბნოდ, რომელ არს ნიაღ **ხლუამკუდარსა** სამხრით, და თანა ჰყვანდეს **სომეგინოს** და **საბა**. თა მიინივნეს ესენი ადგილთა ურწყულთა და დაყვეს ჟამი რაოდენიმე. თა დიდისა მის სიცხისაგან ფრიად მოენყურა ნეტარსა **საბას** და დავარდა დიდითა მით სიცხითა და ვერ ძალ-ედვა სლვად და აღესრულებოდა იგი მძაფრითა მით სიცხითა. ღოლო ბერსა შეენყალა იგი და განეშოვრა მათგან ვითარ ქვის-სატყორცებელ ოდენ და დავარდა პირსა ზედა თვსსა, ევედრებოდა იმერთსა და თქუა: «**ოფალო** იმერთო, მოეცნყალი ადგილსა ამას ურწყულსა და განუქარვე ჭაბუკსა ამას ნყურილი».

თა შემდგომად ლოცვისა მოუწოდა და სამჯერ დასცა სკალიდი და აღმოეცა ადგილსა მას

წყალი ცხოველი. თა ასუა მისგანი **საბას**, და მოეგო თვისსავე გონებასა. თა მისგან მოილო იმრთისა მიერ ძალი, რათა დაუთმოს სიმძიმესა უდაბნოასასა. ჰემდგომად მცირედთა ჟამთა დიდმან მამამან ჩუენმან **წეთუმი** მშკდობით მასვე ზედა დაიძინა და განისუენა, ხოლო **ოფალმან** მხოლომან სასოებით დაამკვდრა იგი მეთათხუმეტესა წელსა **წნასტასი** მთავარებისკოპოსისა **წერუსალემელისასა**.

12. შას ჟამსა ოდენ დაასრულა ნეტარმან **საბა** ოცდამეთათხუმეტწ წელი. წხილა რად, წესი მონასტრისად მის გარდაიცვალებოდა, რამეთუ ბერნიცა მრავალნი აღესრულნეს, გამოვიდა მიერ და წარვიდა აღმოსავალით უდაბნოსა მას ნეტარისა **წერასიმისსა**. თა გამობრწყინდა, ვითარცა მთიები, **წორდანისა** უდაბნოსა და დასთესა იმრთისმსახურებისა იგი თესლი. თა იქცეოდა ნეტარი მამად ჩუენი **საბა ჰუფტილას** და **წუბას** უდაბნოსა, და ნეტარისა **წავითის** გალობასა ლაღადებდა და იტყოდა: «განვეშორე, მივედ და განვისუენე უდაბნოსა»(ფს.54,7). სიმშკდით და მარხვით მოუკლებელად ლოცვასა დადგრომილ იყო. თა შეიკრიბნა გულისსიტიყუანი და ჰმსახურებდა იმერთსა დაუცხრომელად, ვითარცა წერილი იტყვს: «მოიცალეთ და გულისხმვა-ყავთ, რამეთუ შე ვარ იმერთი»(ფს.45,10).

ჰეიშურა ესე ეშმაკმან და ფრიადნი მოაწივნა მის ზედა განსაცდელნი. ონდა, ვითარმცა განაშოვრა იგი ყოველთაგან საქმეთა კეთილთა. შინოლილ იყო ნეტარი ესე შუვალამეს ქვშასა ზედა. თა გარდაიცვალა ეშმაკი მსგავსად გუელთა და ღრიაკალთა, რათამცა შეაშინა მას.

ჰოლო ნეტარი იგი მცირედ რამე შეზრუნდა და ცნა მტერისა იგი სიბოროტწ, მეყსეულად აღდგა და სახწ წუარისად დაინერა და განიშოვრა მისგან შიში, დგა და იტყოდა: «ოდეს შემძლო შეშინებად ჩემდა, მაშინ გძლო, რამეთუ ჩემ თანა არს ოფალი იმერთი ჩემი, ჰომელმან მომცა შენ ზედა ძლევად, ჰომელმან თქუა: „აჰა მიგეც თქუენ ჰელმწიფებად დათრგუნვად გუელთა და ღრიაკალთა და ყოველსა ზედა ძალსა მტერისასა“(ლკ.10,19)». თა ამას რად იტყოდა, მყის უჩინო იქმნა ყოველითურთ ძალით მისით. შერმე კუალად ერუენა მას ეშმაკი სახედ ლომისა დიდისა და საშინელისა, ზედა-მიუვიდოდა და იბრდლუენდა. თა ვითარცა იხილა საზარელისად მის მწეცისად ზედა-მისლ-

ვად, ჰრქუა მას: «უკუეთუ მოგიღებეს ჩემ ზედა ბრძანებად, წუ სდგა, ყავ. ოკუეთუ არა, ცუდად რადსა ჰშურები? მე იმერთსა ვერ განმაშოვრო, რამეთუ შან მიბრძანა მე და თქუა: „ასპიდსა და იქედნესა ზედა ხვდოდი და დასთრგუნო შენ ლომი და ვეშაპი“(ფს.90,13)». თა ესე ვითარ თქუა, მეყსეულად საშინელი იგი მწეცი უჩინო იქმნა. შიერ ჟამითგან დაამორჩილნა მას იმერთმან ყოველნი მწეცნი და ჯორცის მჭამელნი ნადირნი და იქცეოდა იგი მათ შოვრის უდაბნოსა მას და არარად ევენებოდა.

13. თა შეემთხვა იგი ოთხთა **სარაკინოსთა**, მშიერთა და მოუძღურებულთა, და შეენწყალნეს იგინი ნეტარსა მას და უბრძანა მათ დასხდომად. შოილო მელოტი თესი და დაუგო წინაშე მათსა. სხუად არარად აქუნდა, გარნა ველურისა თაფლისა ძირი და ლერწმისა გული. თა ჭამეს მთეულთა მათ და განძლეს და ინუღვიდეს, რომელსადი ქუაბსა იყოფის **წუბადასა**. თა შემდგომად რაოდენისამე დღისა პოვეს ადგილი მისი და მუართუეს მას ძლუნად პური და ყველი და ფინიკი. ჰოლო ნეტარსა მამასა ჩუენსა **საბას** განუკვრდა მთეულთად მათ ესე ვითარი იგი გულსმოდგინებად. თა შეენწყალნეს იგინი ნეტარსა მას, ცრემლოვოდა და ეტყოდა: «ვადმე, სულო ჩემო, ვითარ მთეულთა ამათ ესე ვითარი გულსმოდგინებად აჩუენეს ჩემდა მომართ არარადსა წილ, და რად-მე ვყოთ ჩუენ, საწყალობელთა ამათ და უგუნურთა, რომელთა ესოდენი სიხარული და დიდებად გუაქუს იმრთისა მიერ და ვიშუებთ და ესრწთცა უდბობით და უწმარობით აღვასრულებთ ცხორებასა ჩუენსა და არა ვისწრაფით სათნო-ყოფასა შისსა, რომელი მოგუშადლა ჩუენ საქმითა წყალობისა შისისადთა, რათამცა მოუკლებელად შევსწირევდით შისა ნაყოფსა ბაგეთასა და აღვიარებდით სახელსა შისსა?» და დაადგრა ესე ვითარსა გულსმოდგინებასა დღე და ღამე ლოცვასა იმრთისა მიმართ.

14. თა იყოფოდა რად იგი ადგილთა მათ უდაბნოთა **წუბას**, მოვიდა ვინმე მისა მონაზონი ღირსად მოწსენებული, რომელსა ერქუა **წნთოს**, და მის თანა იყოფოდა. წსე იყოფოდა სამგზის სანატრელისა აბბა **წყოდოსის** თანა მრავალ ჟამ. თა ვითარცა მიმოვიდოდეს ნეტარნი ესე უდაბნოთა ადგილთა, მოუწდეს მათ მტერნი **სარაკინოსნი**, რიცხვთ ექუსნი, ბუნებით მთეულნი და გონებითა ბოროტისმყოფელნი და სიმედგრითა შემოსილნი. წინა წარ-

ავლინეს ერთი მათგანი, რადიამცა გამოცადნეს ნეტარნი იგი. **თა** შეითქუნეს იგინი, რადიამცა მიუჭდეს და წარმოტყუენნეს იგინი. **ჟოლო** ნეტართა მათ მამათა, ვითარცა იხილეს ქირი ესე, ყოვლადვე არად შეჰრაცხეს, არამედ სულისა თუალთა აღხილვითა იმრთისა მიმართ ისწრაფეს, ილოცვიდეს ჳელგანპყრობით, რადთა იქსნნეს იგინი ძვრისზრახვისა მისგან მთეულთაჲსა. **თა** მყის განეპო ქუეყანაჲ და დათქა, რომელი-იგი წინა-მოსრულ იყო მათდა მთეულთა მათგანი. **ჟოლო** ნეშტთა მათ მთეულთა იხილეს რად საშინელი ესე ხილვაჲ, შეძრწუნდეს და ივლტოდეს მათგან. **თა** მიერ ჟამითგან მოილო ნიჭი მამამან ჩუენმან **საბა**, რადთა არღარა ეშინოდის მთეულთაგან და მჭდომისა. **ჰეესნავა** პირველად მამაჲ ჩუენი **საბა** **წნთოსის** მიერ ნეტარსა **ჟეოდოსის**, ვიდრე აღშენებადმდე და დამტკიცებად საცნაურისა მის მონასტრისა მისისა.

15. **ღთხისა** წელიწადისა ჟამთა რად დაყო უდაბნოთა მათ შინა ნეტარმან მამამან ჩუენმან **საბა**, მიმოვიდოდა ესე ნეტარი უშინაგანეღთათა უდაბნოთა. **თა** ვითარცა მოვიდა იგი უმაღლესსა მას ბორცუსა, სადა მამინ ნეტარი **წვდოკია** სწავლასა დიდისა **წვთუმისსა** იხარებდა, და ვედრებასა მისსა იმრთისა მიმართ ეჩუენა მას მსგავსად **წნგელოზისა** ბრწყინვალისა და უჩუენა მას სამხრით ბორცუსა მის ჳევი, რომელი შთამოვალს **სილოვამით**, და ჰრქუა მას: «უკუეთუ გინებს ყოვლად, რადიამცა ჰყავ უდაბნოდ ესე ქალაქ, დადევ აღმოსავალით ჳევისა მაგას და იხილო წიად პირისპირ შენსა ქუაბი დაუჭირვებელი, შევედ, დაემკვდრე მას შინა, და რომელმან მოსცის საზრდელი პირუტყუთა და მართუეთა ყორნისათა, რომელნი ჰხადიან მას, მან გამოგზარდოს შენ». **თიდრე** აქამოდის იხილა ჩუენებაჲ ესე, და ვითარცა მოეგო გონებასა თვისსა, განმხიარულდა ფრიად ჳევისა მისთვის, რომელ-იგი უჩუენა მას სამხრით კერძო. **თა** გარდამოვიდა იგი ბორცუსა მისგან წინამძღურებითა იმრთისაჲთა და პოვა ქუაბი იგი, ვითარცა იხილა ჩუენებასა მას შინა, შევიდა, დაემკვდრა მას შინა მეორემოცესა წელსა ჰასაკისა მისისასა.

ჰას ჟამსა ოდენ მთავარებისკოპოსმან **წერუსალწმისამან** **წნასტასი** მევაცხრამეტწ წელი დაასრულა მთავარებისკოპოსობასა შინა და აღესრულა თვისა თავსა ივნისსა და დაუტევა მისსა ადგილსა **ჰარტვრი**. **ჟოლო** **ხინონ**,

ჰრომთა მეფობისა თვთმპყრობელი, რომელმან მოკლა მეფე, და წინა-აღუდგა ოცსა თუესა და მეფობაჲ თვისი უკმოიპყრა. **ჰაშინ** მამაჲ ჩუენი **საბა** დაემკვდრა ქუაბსა მას შინა, რომელი ვთქუთ, და იყო ძნელ შთასლვად და აღმოსლვად ქუაბი იგი. **თა** საბელი მუაბა პირსა ზედა მის ქუაბისასა, და საბლითა მით აღმოვიდის და შთავიდის ქუაბსა მას. **ჟოლო** წყალი, რომელ აქუნდა სასუმლად მისა, ეშოვრა იგი ვითარ ათხუთმეტ უტევეან ლაკკსა მისგან შვდპირისა. **თა** შემდგომად რაოდენი-სამე ჟამისა მოუჭდეს მას ოთხნი **სარაკინოსნი** და ვერ შეუძლეს აღსლვად ქუაბსა მას. **წილნა** რად იგინი ზეგარდამო ნეტარმან **საბა**, შთაუტევა მათ საბელი და უბრძანა, რადთა აღვდენ. **ჟოლო** მთეულნი იგი ვითარცა აღვდეს მისა და არარად პოვეს მის თანა, დაუკვრდა უპუევარებაჲ იგი მისი და შეუენიერებაჲ და მიერთგან განეშოვრნეს მისგან. **ჰოუჭდიან** მას ჟამითი-ჟამად, მუართვან პური ჳმელი და ყველი და ფინიკი და სხუადცა თუ რად პოვიან.

16. **თა** დაყო ამან ნეტარმან ქუაბსა მას შინა თვისაგან ხუთი წელი მარტოებით და სიმდაბლით გალობდა იმრთისა მიმართ და განიწმიდა გულისსიტყუაჲ თვისი და მხიარულითა პირითა **ღფალი** იხილა და სძლო ბოროტთა და მედგართა სულთა დაუცხრომელითა ლოცვითა მისითა იმრთისა მიმართ. **წყო** იგი მას ჟამსა შინა ორმეოცდახუთსა წელსა ჰასაკისა მისისასა, და სულნი მრავალნი ერწმუნნეს იმრთისა მიერ. **წრძანებაჲ** მოილო სიტყუთა იმრთისაჲთა, რადთა არარად შეჰრაცხნეს საქმენი მტერისანი. **წრამედ**, ვითარცა იწყო წინაეთვე ძალითა სულისა **წმიდისა**ჲთა, რადთა განაკრძალებდეს მრავალთა, რომელთა ჰქონან მედგარნი გულისთქუმანი მტერისანი, ვითარცა იტყუს წინანარმეტყუელი: «დაჰშჭრიდენ ჳრმლებსა მათსა საწნისად და ლახურებასა მათსა მანგლად» (ეს.2,4).

40 **ჰიერ** ჟამითგან იწყო შეწყნარებაჲ, რომელნი მოვიდოდეს მისა, მრავალნი განთესულნი მეუდაბნოენი და მძუვარნი მოვიდეს მისა და იყოფოდეს მის თანა. **თა** სხუანიცა მივიდეს მისა: ნეტარი **წოჰანე წეა-ლავრისა**; მერმე მოიწყენა მისი ნეტარმან **წაკობ**, რომელმან შემდგომად ამისსა **წორდანისა** კიდესა გოდოლი ლავრად აღაშწნა, და დიდი **წერმინოს**, რომელი იყო **ჰაქმათ** კერძო, რომელმან ლავრად აღაშწნა და რომელმან მონაზონებაჲ დაამტკიცა, შეუენიერი

სებერიანოს, რომელმან შემდგომად რაოდენ-
 თამე ჟამთა **ხაპარბარიქაით** კერძო მონასტერი
 აღაშენა, ამისსა შემდგომად **ველიანოსცა**, რო-
 მელსა ერქუა **ჰედრეკილ**, რომელმან **სორდანე-**
სა ზედა ლავრა აღაშენა, რომელსა ჰრქვან
 ადგილსა **სლკერაბა**. **თა** სხუანიცა მრავალნი
 მოვიდეს მისა, რომელთაჲ სახელები წერილ
 არს ჩიგნსა მას ცხოველთასა. **თა** თითუეულსა
 მომავალსა მისა მისცის მას მსგავსად თით-
 უეულისა მცირე სენაკი და ქუაბი. **თა** მადლ-
 ითა **ჩრისტესითა** შეკრიბნა ძმანი ვითარ სა-
 მეოცდაათ ოდენ, ყოველნივე **ჩრისტესმოყუ-**
არენი და **იმერთშემოსილნი**, რომელნი ღირს
 იქმნეს განწყობილსა თანა **სნგელოზთასა** და
 არანმიდათა სულთა განსდევნიდეს დიდითა
იმრთისმსახურებითა, რომელნი გამოჩნდეს სა-
 მეოცდაათნი ახალნი მოციქულნი. **თა** არა იყო
 მათ თანა ცოდვაჲ.

თა იყო მათა მამასახლის ნინამძღუარ და
 მწყემს. **თა** აღაშენა ბორცუსა მას ზედა გოდ-
 ოლი ჩრდილოთ კერძო, რომელი არს თავ-
 სა მას ჳევისასა მოსაქციელსა. **ისე** რაჲ ქმნა,
 განიხილვიდა, რაჲთამცა გამოირჩია ადგილი,
 სადა **იმრთისა** მიმართ შესწირვიდეს მადლსა.
შიერ თავით იწყო დამტკიცებაჲ ლავრისაჲ მის
 ნინამძღურებითა სულისა **ჩმიდისა**ათა, სიხ-
 არულითა და შეწევითა აღაშენა შუგა ჳევსა
 მას მცირე ეგუტერი და საკურთხეველი დადგა.
თა უკუეთუ ვინმე მოვიდის მისა უცხოჲ ხუცესი,
 ჟამი შეწირვად ჰსცის ეგუტერსა მას შინა, რა-
 მეთუ მან თავადმან არა ინება ჳელთა-დასხმით
 კურთხევაჲ და აქუნდა მას სიმშუღე და სიმ-
 დაბლე და სამართალი. **შიემსგავსებოდა** იგი
ჩრისტესა, ჳემშარიტსა **იმერთსა**, **ჟომელმან**
მოსცის, რომელნი სთხოვედ **შას**, **ჟომელმან**
თქუა: «ისწავეთ **ხემგან**, რამეთუ მშუდ ვარ **შიე**
და მდაბალ გულითა»(**მთ. 11,29**). **თა** უფროსად
 უჩუენებდა სიმდაბლესა და სიმშუდესა ძმათა
 მათ ყოველთა, რომელნი იყვნეს მის ქუეშე. **თა**
 იყო იგი მსახურად მათა და თითოეულსა მათ-
 განსა ასწავებდა და განაკრძალებდა ძლიერად
 მტერისა საქმეთა ზედა და რაჲთა ყოვლადვე
 არა ჰსცეთ ადგილი სიბოროტესა მტერისასა.
სანწმედილ იყო იგი გულითა **იმრთისა** მიმართ
 და სასოებითა გარე-შეჭურვილ იყო და თქვს,
 რამეთუ: «სულისა უჟეშთაეს არარაჲ არს».
სევეითარითა საქმითა და ზრახვითა სულთა
 მათთა ზრდიდა და რწყვიდა მოუკლებელად და
 ფრთეთა შეასხმიდა და ფრინვასა ასწავებდა,

რაჲთამცა განავლნა ცანი.

17. **ჟოლო** იგინი ვითარცა იურვოდეს საწ-
 მრისათვს წყლისა, ილოცვიდა ნეტარი იგი
 ერთსა შინა ლამესა და იტყოდა: «**ცფალო**
იმერთო ძალთაო, უკუეთუ არს ნებაჲ **ჰენი**,
 რაჲთა აღეშენოს ადგილი ესე სადიდებელად
 სახელისა **ჰენისა** წმიდისა, ღირს-მყვენ ჩუენ
 და გარდამოგვვლინე წყალი განსასუენებელად
 ძმათა». **სმას** რაჲ ილოცვიდა მცირეაქსა მას
ეგუტერსა შინა, ესმა ძგერაჲ კანჯრისაჲ ქუენა
ჳევსა მას ლამე და შთაჰხედა ჳევსა მას, რამეთუ
 ნათელ იყო მთოვარეჲ, და იხილა კანჯარი იგი,
 რამეთუ ფერჯითა თხრიდა ძლიერად. **თა** ვი-
 თარ აღმოთხარა დიდად, ჰხედვიდა ზეგარდამო
ნეტარი იგი. **თა** კანჯარმან მან ნათხარსა მას
 დაყო პირი და სუა. **თა** განიზრახა გულსა თვს-
 სა და თქუა, ვითარმედ: «**იმერთმან** მოჰხედა
 მონათა **ძესთა** და გამოუცენა წყალი». **თა** მეყ-
 სეულად შთავიდა ადგილსა მას, აღმოთხარა და
პოვა წყალი მდინარე. **თა** ვიდრე აქა ჟამადმდე
 არს ადგილი იგი შოვრის ლავრასა, და ფრი-
 ადი განსუენებაჲ მოსცა **იმერთმან** ძმათა მათ
 მის მიერ და არცა ზამთრის გარდაემატების
 და არცა ზაფხულის დააკლდების, ივსებედ რაჲ
 ძმანი.

18. **შერმე** კულად სხუასა ლამესა გამოვიდა
 ნეტარი იგი ქუაბით თვსით და ვიდოდა ჳევსა
 მას შინა, გალობდა **ფსალმონსა** **ნავითისსა** და
ნანიელისსა. **თა** მეყსეულად დასავალით ჳევსა
 მას კლდეთა შინა, სადა ან დამარხულ არს პა-
 ტიოსანი გუამი მისი, შოვრის სამთა ეკლესიათა
 იხილა სუეტი ცეცხლისაჲ, მდგომარე ქუეყანა-
 სა ზედა, რომლისაჲ თავი იყო ვიდრე ცადმდე.
სხედვიდა რაჲ ესე საშინელსა მას ხილვასა,
შიმმან შეიპყრა და სიხარულად გარადაიქ-
 ცა, რამეთუ მოიჳსენა **ჩერილისა**ჲ, ვითარ-იგი
 ერუენა მამათმთავარსა **საკობს**, რაჟამს იხილ-
 ნა კიბენი იგი და თქუა: «**ვითარ** საშინელ არს
 ადგილი ესე და არა არს ესე სხუა, გარნა სახლი
იმრთისაჲ». **თა** დაადგრა ადგილსა მას ნეტარი
 იგი ვიდრე განთიადმდე ლოცვასა შინა და აღ-
 მოვიდა მიერ ჳევით შიშითა და სიხარულითა
 დიდითა, სადა-იგი ერუენა მას სუეტი იგი ცეცხ-
 ლისაჲ. **თა** პოვა მუნ ქუაბი დიდი და საკურველი,
 რომელსა აქუნდა სახე ეკლესიისა **იმრთისა**ჲ.
სლმოსავალით იყო კონქი **იმრთით-შენებული**.
ხრდილოთ კერძო პოვა სახლი დიდი, რომელ-
 სა აქუნდა სახე საღიაკონისაჲ და სამხრით კერ-
 ძო – შესავალი ფართოჲ ადგილი, ვინაჲ შევალს

ქუაბსა მას სინათლც. ოსე ადგილი ბრძანებამან
იმრთისამან შეამკვო და მუნ უბრძანა, რაათა
შაბათსა და კვრიაკესა აღასრულოდიან კანონი.

თა ესრცთ მცირედ-მცირედ შენევენითა იმ-
რთისაათა განმრავლდეს ძმანი და მიინინეს
მამანი, რიცხვთ ვითარ ასერგასისნი ოდენ. თა
ვითარცა განმრავლდებოდა კრებული იგი ძმა-
თაჲ, და მრავალნი სენაკნი ეშწნებოდეს იმიერ
და ამიერ ჴევსა მას, მაშინ კაჰრაულნიცა მო-
დგნა სამსახურებელად ლავრისათვს, რაათა
მყოფთა მის ადგილისათა ჰმსახურებდეს და
რაათა აქუნდეს ადგილობანს ყოველი საჭმარი
და რაათა არა ამის მიზეზისათვს სოფლად
შევიდოდნიან, რომელთა უნდეს დაყუდებამ
უდაბნოს. ღოლო იგინი მწყემსისა მის მათისა
და წინამძღურისაგან ნაყოფსა გამოიღებდეს
სათნოებისასა და სასოებითა უჭრწნელად გუ-
ამი მათი დაიმარხეს სულიერად. შაშინ იმრ-
თით-ქმნულსა მას ეკლესიასა, რომელი თქმულ
არს, საკურთხეველი არა დადგა, რამეთუ: არა
უნდა მას, რაათამცა იქმნა იგი ხუცეს, და არ-
ცალა ინება. ოცყოდა, რამეთუ: «დასაბამი და
ძირი არს ბოროტთა გულისთქუმათაჲ, რომელ-
სა უნდეს მთავრობის».

თა არს იმრთით-შენებულსა მას ზედა ეკლ-
ესიასა კლდც ფიცხელი და მალალი, და მას
ზედა აღაშწნა მამამან ჩუენმან საბა გოდო-
ლი. თა პოვა მან აღსავალი შინაგან ქუაბსა
მას სადიაკონით და მიერ აღვიდის გოდლად
და მას გოდოლსა შინა დგან კანონისათვს და
სხვსა განგებისათვს. თა მრავალთა ადგილთა
განითქუა სახელი მისი, და მრავალნი მოვი-
დოდეს მისა და შესწირვიდეს, ჰხედვიდეს რაჲ
მისსა მას წნგელოზთა მოქალაქეობასა. ღოლო
ნეტარსა მას უფროდნი რომელი მიაქუნდა შეს-
ანირავად, საშწნებელად და დასამტკიცებ-
ელად ადგილისა მის, წარაგებდა და რომელსა
ჰგონებდა სათნო-ყოფად იმრთისა, მასცა ჰყ-
ოფდა. თა არავინ შემძლებელ იყო წინა-აღდ-
გომად მისა, რომელნი იყვნეს მის ქუეშე, რა-
მეთუ **შარტვრი** იყო მთავარმდღელთმოძღუარ
და ჟამითგან დიდისა **ვითვმისით** იცოდა იგი და
ჰყუარობდა მას ფრიად.

19. ღოლო ნეტარმან **შარტვრი** მერვც ნელი
მღდელთმოძღურებასა შინა დაასრულა და იმ-
რთისა მივიდა თუესა აპრილსა მეთათსამეტესა
დღესა, ინდიკტიონსა მეცხრესა. თა **სალოს-**
ტის ჰხუდა მღდელთმოძღურებაჲ ორმოც-
დამერვესა წელსა მამისა ჩუენისა **საბაქსა**

ჰასაკისა ჟამთა. ოღმო-ვინმე-ცენდეს, რომელ-
ნი ჴორციელად იქცეოდეს, ვითარცა ჩერილი
იტყვის: «ამათ სული არა აქუნდა», რომელნი
მრავალ ჟამ აჭირვებდეს და აურვებდეს მას
რაათავე. თითარცა **ოუდა** მოციქულთა თანა
იყო, და **ოლისც** თანა – **ოიეზი**, ვიდრე ჟამად-
მდე, და **ოსავ**, **ოსაკისგან** შობილი, და ვითარცა
იყვნეს ძმანი **სბელ** და **ხაინ**, ესენი შეითქუნეს,
რომელთათვს არს სიტყუად ესე ურთიერთას
და აღვიდეს ქალაქად წმიდად და შეურდეს
სალოსტის მთავარებისკოპოსსა და სთხო-
ვდეს მას, რაათამცა მოსცა მათ მამასახლი-
სი. ღოლო მთავარებისკოპოსმან ჰრქუა მათ:
«რომლისა ადგილისანი ხართ თქუენ?» ხოლო
მათ ჰრქუეს: «ჴევსა რომელსამე უდაბნოს გარე
ვიყოფით». ღოლო მთავარებისკოპოსმან ჰრქუა
მათ: «რომელსა ჴევსა იყოფით?» ხოლო იგინი
შეინრდეს და ჰრქუეს მას: «ადგილსა მას, რო-
მელსა წოდებულ არს „**საბაქს ვევი**“». ღოლო
მთავარებისკოპოსმან ჰრქუა მათ: «და სადა
არს აბბა **საბაქ**?» და მათ ჰრქუეს მას: «ვერ
შემძლებელ არს იგი განგებად ადგილისა მის
უცბობითა მისითა, და ესეცა ვთქუათ, რამეთუ
არცა მას აქუს მღდელობაჲ და არცა სხუათა
შეუნდო, რაათამცა მღდელ ვითარმე იქმნა,
და ასერგასისთა ძმათაჲ შეკრებულთაჲ ვითარ
შეუძლოს განგებაჲ?»

ხვრიკოს ვინმე ერქუა, ღირსად მოჴსენებუ-
ლი ხუცესი და მამასახლისი **წნასტასია-წმიდ-**
ისაჲ და **ჯუართა-მცველი**, იპოვა მთავარების-
კოპოსისა თანა, ამას რაჲ ეტყოდეს მონაზონნი
იგი, და ჰრქუა მონაზონთა მათ: «თქუენ იგი
შეინყნარეთ ადგილსა მას ანუ მან შეგინყნარნა
თქუენ?» ხოლო მათ ჰრქუეს: «ჩუენ მან შეგვყ-
ვანნა, გარნა უმეცრებითა მისითა ვერ ძალ-
უც წინამძღურებად ჩუენდა, რამეთუ მრავალ
ვართ». თა თქუა კუალად სამგზის სანატრელმან
ხვრიკე: «უკუეთუ მან, ვითარცა თქუენ სთქუთ,
ადგილსა მას შეგკრიბნა და ადგილი იგი უდ-
აბნოჲ ქალაქ ყო, და ან ვითარ ვერ შემძლებელ
არს განგებად, რომელმან ადგილი იგი ქალაქ
ყო და თქუენ შეგკრიბნა ყოველნი? იმერთი,
რომელი შეენევის მას შეკრებასა თქუენსა,
და ადგილი იგი დაამტკიცა უფროდს. ღოლო
იმერთმან განგებისა მისისათვს იზრუნოს».

შაშინ მთავარებისკოპოსმან განუტევენა იგ-
ინი და ჰრქუა მათ: «წარვედით ჴერერთ და
განიზრახეთ და მერმე მოხვდეთ!» და მოუწოდა
ნეტარსა **საბაქს** რეცათუ სხვთა მიზეზითა და

მის თანა მოიყვანნა შემასმენელნიცა მისნი. **ნა** წინაშე თუალთა მათთა აკურთხა იგი ხუცად და ჰრქუა მათ: «იხილეთ, აჰა გაქუს თქუენ მამად თქუენი და ლავრისა თქუენისა მამასახლისი, რომელი იმერთმან ზეცით გამოფრჩია და არა კაცმან. **ჰოლო** მე ბრძანებითა იმრთისაათა დავამტკიცე გამორჩეული იგი მისი». **ნა** ესე ვითარცა თქუა, თანა-წარიყვანა ნეტარი **საბა** და სხუანიცა იგი მის თანა. **ნა** შთავიდა მთავარეპისკოპოსი ლავრად და თანა-ჰყვანდა **ხურიკე** ჟუართა-მცველიცა მის თანა. **ნა** იმრთით-შწნებულსა მას ეკლესიასა საკურთხეველი დადგა და კონქსა მას შინა მრავალთა მარტვრთა ნაწილნი დაჰკრძალნა ღუანლისა მძლეთად საკურთხეველსა ქუეშე თუესა დეკემბერისასა ათორმეტსა, ინდიკტიონსა ათორმეტსა, ორმეოცდამეცამეტესა წელსა ნეტარისა **საბაძსა** ჰასაკისა ჟამთა, დღეთა **ხინონის** მეფობასა. **ნა** აღესრულა **ხინონ**, და **წნასტასი** დაიმკვდრა მეფობად.

20. **შას** ჟამსა მი-ვინმე-ვიდა ლავრად კაცი იმრთით-შემოსილი და ზეგარდამო ცხებული და მაღლითა შექურვილი, ნათესავით **სომეხი**, სახელით **სერემია**. **სყვანდეს** მას თანა ორნი მონაფენი ერთსახენი და თანა-მოლუანენი მისნი, რომელთა ერქუა სახელი **სეტრე** და **სავლე**. **ნა** ამისთვის უფროსს განეხარა ნეტარსა მამასა ჩუენსა **საბას**, რამეთუ მდაბალ იყვნეს იგინი ფრიად. **ნა** მისცა მათ ქუაბი და მცირე სენაკი, რომელი არს ჩრდილოთ კერძო ქუაბსა მას, სადაცა წინათ იყოფოდა იგი თავადი, ოდეს იყო მარტო ჯეცა მას. **ნა** უბრძანა მათ მცირეაქსა მას ეგუტერსა, რათა აღასრულებდენ **სომახარ** კანონსა მის ჟამისასა შაბათსა და კვრიაკესა. **ნა** ესრეთ მცირედ-მცირედ ჟამთა განმრავლდეს **სომეხნი** ლავრასა მას. **წრთი** მონაფეთა მათგანი სამგზის სანატრელისა **სერემიასი**, რომელსა ერქუა **სავლე**, ვიდრე აქამომდე იმრთის შუენიერებით **წიდსა** ლავრასა იქსენების, მრავალნი საკვრველნი და სასწაულნი მის მიერ იქმნეს უმრავლეს აღწერილისა ამის, რომელი მე მომემადლა.

21. **ნა** ვითარცა იმრთით-შწნებულსა მას ეკლესიასა საკურთხეველი დადგა, მოიყვანა სულმან **წმიდამან** ლავრად გამოუთქუმელი მამად ჩუენი **სოჰანე** ეპისკოპოსი და შეყენებული, რომელი უფროს იყო **სეთვისსა** და **საბაძსა**. **ღწესიფორე** თქუა: «მე მომმადლე და მე აღვწერო სახე მისი, რომელი ნეტარმან მამამან ჩუენ-

მან **საბა** ლავრელთა თანა შეჰრაცხა და ეპყრა იგი. **ღცდამეათრვამეტესა** წელსადა ოდენ აღმოსრულ იყო ჰასაკისა მისისასა, ტაძარი წმიდად იყო ესე სულისა **წმიდისა** და შეინყნარებდა ესე მაღლსა იმრთისასა, ნათლით შემკულ იყო ყოვლადვე და ვიდრე აქამომდის ჯორცითა ჰგიეს გუამი მისი და **წრგელოზთა** თანა იყოფის და განგვნათლებს ჩუენ იმრთისა მიმართ სლვათა ჩუენთა. **ქამეთუ** შუენიერად წარმართებულსა მას სლვასა მისსა ვერ შემძლებელ ვარ აღწერად აწ, არამედ იმრთისმოყუარებისა მისისა მოგუემადლა მცირედ რაოდენმე მისთვის აღწერად, და არს ესე ყოველთა საცნაურ. **ჰოლო** სინმიდისა მისისადა გუესმა, ვითარ-იგი გამოიტყოდა ენათა მრავალთა. **ნა** თქსისაგან საქმენი მისნი გითხრნე, მრავალნი ყოფილნი და ძალნი, და არცალა სამართალ არს მისთა მათ საქმეთა დუმილით და სულდაღებით თანა-წარსლვად, არამედ უფროსლა გკლირს მოქსენებად, ვითარ-იგი გუექმნა ჩუენ ყოველთა ზეცისა ქალაქისა მომატყუვებელ. **სანფენილ** იყო ყოველთა მიმართ მაღლი შუენიერებისა მისისადა დასაბამითგან ცხორებისა მისისადათ».

22. **სე**, რომელი დიდ იყო სახიერებითა, დაყუდებული ეპისკოპოსი **სოჰანე** მითხრობდა და თქუა: «ვითარ-იგი ნეტარსა მამასა ჩუენსა **საბას** მოსწრაფებად აქუნდა რაფთურით და შეუდგა დიდისა **სეთვისის** გზათა. **ქამეთუ** იყო ნეტარისადა მის წესი ესე: მეათოთხმეტესა დღესა თუესა იანვარისასა განეშოვრის და წარვიდის დიდსა უდაბნოსა და მუნ აღასრულნის წმიდანი იგი დღენი მარხვათანი. **ჰოლო** ამან ნეტარმან მცირედ რამე შეცვალა, რამეთუ შემდგომად წმიდისა **წნტონისა** კრებისა მივიდის და აღასრულის დიდისა **სეთვისისი** საქსენებელი მეოცესა დღესა თუესა იანვარისასა და ამისსა შემდგომად განვიდის დიდსა უდაბნოსა და განეშოვრის ყოვლისაგან თანა-ქცევისა კაცთადასა და დაყვის მუნ ვიდრე დღესასწაულადმდე **სზობისა**. **ნა** ესრეთ რაფცა წელ აღასრულის, ვითარ სახედცა თქმულ არს. **წილგდა** იგი ოდესმე **ხლუამკუდარსა** და, ვიდოდა რადა იგი უდაბნოსა მას **ხორაძსასა**, იხილა ზღუასა მას შინა მცირე ადგილი ჯმელი და გულმან უთქუა, რათა შევიდეს მუნ და გარდაიწადნეს თავადნი მარხვანი მას შინა. **ნა** ვითარ შევიდოდა იგი, შეემთხვა მას ზრახვითა და შურიტა მტერისაათა და შთავარდა იგი ადგილსა ერთსა მის ზღვსასა, ბნელსა და ცეცხლსა, და გამო-

ჯდა მიერ ალი და შენუა პირი მისი და წუერი და რაოდენიმე ასოა გუამისა მისისაჲ. **თა** იდვა იგი რაოდენთამე დღეთა უტყუად, ვიდრემდე მოინია მისა ძალი მალლით და განკურნა იგი და განაძლიერა იგი არანმიდათა ზედა სულთა. **5** **ხოლო** მიერ ჟამითგან, ვითარცა თქმულ არს, წუერი მისნი რაჲ შეიტყუსნეს, არლარა მოუგრძდეს და დაადგრა იგი კოვსაკად. **თა** ვითარცა აღასრულნა დღენი იგი, მო-რაჲ-ვიდა იგი ლავრად, ვერ იცნეს იგი მამათა, გარნა ჴმითა **10** ხოლო და სლვითა. **თა** ჴმადლობდა იმერთსა დასლვისათჳს წუერთაჲსა. იმრთისა მიერ გულად-იყო საქმჴს ესე, რაათა დამდაბლდეს და არა აღმაღლდეს სიდიდითა წუერთაჲთა.

23. **წმისსა** შემდგომად ჟამთა განვიდა იგი ჩუეულებისაებრ თჳსისა დიდსა მას უდაბნოსა მონაფისა ვისთანამე თჳსისა, რომელსა ნოდებულ იყო სახელი მისი **სგაპი**. **თა** მცირედნი რაჲ დღენი წარჯდეს, მიწოლილ იყო მონაფჴს იგი მისი **სგაპი** ღამე და ეძინა პირაქცევით შრომისაგან და მარხვისა. **ხოლო** ნეტარი **საბა** ილოცვიდა გულსმოდგინედ. **თა** მოუჯდა ლომი ფრიად დიდი მონაფესა მას მისსა, რომელსა ერქუა **სგაპი**, და ისუნებდა მას ფერჯითგან ვიდრე თავადმდე. **თა** ევედრებოდა იმერთსა მისთჳს ნეტარი მამაჲ ჩუენი **საბა**. **ხოლო** ლომი იგი ლოცვითა ბერისაჲთა ეგოდენ მწრაფლ ივლტოდა, ვითარმცა ვინ ჴსცემდა და წარსდევნიდა. **თა** ვითარ წარვიდოდა, სცა კუდითა პირსა **სგაპისსა** და განაღჳა. **ხოლო** იგი შიშითა შედრწუნდა, აღიხილნა თუალნი თჳსნი და იხილა ლომი იგი დიდი და საშინელი. **ჩიშმან** შეიპყრა, აღხლდა და მოძღუარსა თჳსსა შეურდა. **ხოლო** ნეტარმან მან შეიტყუბო იგი, ასწავებდა მას და ეტყოდა: „განიშოვრე, შვილო, მიძიმჴ ეგე ძილი თუალთაგან შენთა და უზრუნველობაჲ გულისაგან შენისა, რაათა განერე, ვითარცა ქურციკი, საფრჯისაგან და ვითარცა მფრინველი მახისაგან“.

24. **თა** ესეცა მითხრა მე ნეტარმან მან დაყუდებულმან, ვითარმედ: «კუალად სხუასა ჟამსა გან-რაჲ-ვიდოდა ნეტარი იგი დიდსა მას უდაბნოსა, მისცა მონაფესა თჳსსა **სგაპის** მახალი თჳსი, რომელსა შიდა იდვა ათი ჴუეზაჲ პური ჴმელი, რომელსა აქუნდა ათ-ათი უნკიაჲ **40** სასწორით. **თა** გან-რაჲ-ვიდეს და წარემართნეს **სორდანედ**, ვიდოდეს იგინი კიდესა **სორდანისასა** დასავალით კერძო. **თა** ვიდოდეს რაჲ იგინი, მიიწინნეს ადგილსა ერთსა კლდესა, რო-

მელსა ზედა იყო ქუაბი. **სულმან** უთქუა მის ადგილისაჲ ნეტარსა **საბას**. **წრა** თუ ნებითა თჳსითა, არამედ გამოჩინებითა იმრთისაჲთა აღჯდა იგი საყუარელისა მის თანა მონაფისა მისა ძნიად. **თა** შე-რაჲ-ვიდეს ქუაბსა მას, პოვეს მუნ შინა კაცი ერთი განშორებული ამის სოფლისაგან, რომლისა თანა იყო სული წმიდაჲ. **თა** ვითარცა ლოცვა-ყვეს ურთიერთას, განუკვრდა მარტოდმყოფსა მას და თქუა: „**საბა**, მონაო **10** იმრთისაო, ვინ გიჩუენა შენ ადგილი ესე? აჴა ესერა იმრთისა მიერ მაქუს მე ქუაბსა ამას შინა ოცდამეათრვამეტჴ წელი და კაცსა ყოვლად სიტყუაჲ არა მიმიგებიეს, არცა მიხილავს აქა“. **ხოლო** ნეტარმან **საბა** მიუგო და ჴრქუა მას: **15** „იმერთმან, ჴომელმან გაუნყა შენ სახელი ჩემი, მანვე მიჩუენა მე ადგილი ესე“. **თა** მოიკითხეს ერთმანერთი და გამოვიდეს მიერ **საბა** და მონაფჴს მისი და ვიდოდეს იგინი მრავალ დღე და განვლეს შუეჲ ზღუასა **ლიბირიასასა** და **სორდანესა** და ილოცეს ადგილსა, რომელსა ჴრქვან **ჩორსია**, და **ჴუდწყაროს**, და გარემოჲს ადგილთა მათ თავყანისსა ცემელთა ვიდრე **სპანიადმდე**. **თა** უკმოქცეს და მოვიდეს იგინი ქუაბსა მას მის მეუდაბნოეჲსაჲსა.

განშორებულად ლავრასა ვითარ ათხუთმეტ უტევან, რომელ-იგი ბლუართ კერძო მას თვთ აღეშენა სენაკი. ღოლო ნეტარმან ბერმან უწყოდა მათი იგი მუშაკობად იმრთისა მიმართ, ანება მათ და მისცა სენაკი იგი, და იყოფოდეს მას შინა. ოპყრა მათ იგიცა სენაკი და ლავრისადაცა. ღოლო იგინი უმეტეად შურებოდეს განშორებულსა მას სენაკსა და დიდითა მით შრომითა მათითა და შეწევნითა წმიდისა მამისა ჩუენისა **საბაძსითა** ადგილი იგი მონასტერ ყვეს, რამეთუ საზრდელსა და სხუასა საჭმარსა ნეტარი მამად ჩუენი მისცემდა მათ. ოა ადგილსა მას შეკრიბნეს ძმანი მრავალნი და აღაშენეს ეკლესიად და სატფური ყვეს. ოა დაუდვა მათ კანონი ნეტარმან მან, ვითარცა სხუათა მონასტერთა, რომელნი მას ეშენეს. ღოლო ადგილი იგი ვიდრე მუაქადმდე წყალობითა იმრთისაათა ყუავის. ოა დასდვა ადგილსა მას სახელი: **ხანოსის მონასტერი**.

43. ოყო ვინმე ბერი ლავრასა შინა, რომელმან დიდსა მონაზონებასა შინა დაასრულა ცხოვრებად თვისი. ოსე იყო ქუეყანით **ჴუთენიელი**, სახელი ერქუა **წთიომოს**. ომას წინადაწარ იშენა სენაკი მცირე წილ ჴევსა აღმოსავალით კერძო წინაშე სენაკსა წმიდისა **საბაძსა**. ოსე იყოფოდა სენაკსა მას შინა ოცდაათ წელ და სიბერითა დახაშმდა და იყო იგი ზე აღუდგომ. ღოლო ნეტარი **საბა**, ვითარცა ჰხედვიდა მისსა მას უძღურებასა და სნეულებასა ჴორცთასა, ევედრებოდა მას, რათამცა მისცა სენაკი მახლობელად ეკლესიასა ადვილად მსახურებისათვის. ღოლო ბერმან არა ინება და ჰრქუა ნეტარსა მას: «ამას სენაკსა შინა, რომელსა დასაბამითგან ღირს ვიქმენ ყოფად, მიერ განიყვანოს იმერთმან სული ჩემი».

ოა შემდგომად რაოდენისამე ჟამისა უწინარეს რეკისა აღდგა ნეტარი **საბა** ჟამსა ღამისასა და ესმოდა ჟამობად დიდი ერისა მრავლისადა და ეგრე ეგონა, ვითარმედ ძმათგანი ვინმე აღესრულა და მისთვის შეკრებულ არიან ძმანი ყოველნი და გალობენ. ოაუკრდა და იტყოდა: «ვითარ-მე არა მაუწყეს ძმათა ესე?» და სწრაფით გარდამოჴდა ეკლესიად და პოვნა ეკლესიისა კარნი დაჴშულნი. ოა აღვიდა სენაკადვე თვისა ნეტარი ესე და კუალად ესმოდა გალობად მრავალთად. ᄆმითა ტკბილითა ამას გალობასა იტყოდეს, რამეთუ: «განველო მე ადგილი საყოფელთად საკრველთად სახლსა იმრთისასა ჴმითა გალობისაათა და აღსაარე-

ბისაათა და ჴმითა ზატკობისაათა». ოა ცნა, სადა იყო ფსალმონებისადა იგი ჴმად, განაღჴდა დეკანოსსა და ჰრქუა: «დაჰრეკე!» და ვითარცა დაჰრეკა, მივიდა ნეტარი იგი სენაკად ბერისა მის საკუმეველითა და კერიონითა. ᄆითარცა შევიდა შინა, არავინ პოვა, გარნა იგი ხოლო მარტოდ აღსრულებული. ოა დაუკრდა ყოველთა, რომელნი მოსრულ იყვნეს ნეტარისა ბერისა თანა და შემოსეს პატიოსანი იგი გუამი მისი და მოიღეს ეკლესიად. ოა აღასრულეს მის ზედა განწესებული კანონი და დაჴფლეს იგი საფლავსა ღირსთა თანა და ადიდებდეს იმერთსა, რომელმან ადიდნა წმიდანი მისნი.

44. ᄆმად ვინმე იყო ნეტარისა **ჴეოდოსის** მონასტრისადა, ნათესავით **ასიელი**, რომელსა სახელი ერქუა **წფროდისე**. ომას ხუედრებულ იყო ჴელი მეჯორეობისადა და შემძლებელ იყო იგი თავადისა ტვრთისა აღებად და ჴორსა ზედა დადებად, რომელ არს ათორმეტი მოდი იფქლი. ღოლო ჰასაკითა უმაღლეს იყო უფროდს ყოველთა მონაზონთა მონასტრისათა. ომას შეჴხუდა ოდესმე გზასა ზედა და გული განუწყრა ჴორისათვის და გულისწყრომითა მისითა ჰსცა პირსა ჴორისასა და შემუსრა იგი. ოაეცა მეყსეულად ჴორი იგი და მოკუდა. ღოლო **წფროდისე** აღიკიდა ტვრთი იგი ჴორისადა მის და პალანი მწართა თვისთა ზედა და მოვიდა მონასტრად. ოა განაძო იგი ნეტარმან **ჴეოდოსი** მონასტრით მოკლვისა მისთვის ჴორისა. ოა შთავიდა **სორდანედ** და უთხრა შეცოდებად თვისი ნეტარსა **სოვანეს შეგუბტელსა**, რომელი იყო **ჴუზიბას**, დიდებითა მბრწყინვალესა. ღოლო მან ჰრქუა მას: «უკუეთუ გინებს განმართლებად, მივედ მამისა ჩუენისა **საბაძსა** და რადაცა გრქუას, იგიცა ყავ». ოა ესე მივიდა მსწრაფლ და აღუვარა ცოდვათ თვისი და ევედრებოდა მას, რათამცა ასწავა სიტყუად ცხოვრებისადა.

ღოლო მამამან ჩუენმან **საბა** მისცა მას სენაკი და ჰრქუა: «დაჴედ სენაკსა შინა შენსა და სხვსა სენაკსა ნუ შეხუალ, ნუცა ლავრით განხუალ და შეიკრძალე ენად შენი და მუცელი და ამით სცხონდე». ოსე ბრძანებადა რად მოილო ნეტარისა მისგან **წფროდისი**, არცა ერთსა ბრძანებასა მისსა გარდაჴდა და ვიდრე ოცდაათად წლადმდე არცა ლავრით განვიდა, არცა სხვსა სენაკად შევიდა, არასადა მოიგო ქოთანნი, არცა სამაგროსოდა, არცა ქალადრი, არცა გემოდ ღვნისადა იხილა, არცა ევკრასი, არცა ორი სამოსელი მოიგო, არამედ პარეხ-

სა ზედა ნევენ ერთსა ფსვათსა და ძაძასა და მიიღის ფურცელი დანაკისკუდისაჲ განმგებელისა მისგან ლავრისა და შექმნის ოთხმეოცდაათი სფვრიდი თუესა შინა და მიუთუალის იგი ქსენადოქარსა. **წა** სხუაჲ ნამეტნავი რომელ ქმნის, მისცის იგი ქსენადოქარსა და მისგან მოიღის წუენი, გინა მხალი, გინა ოსპნი, გინა რომელივე წუენი. **წე** ყოველი შეკრიბის და ლაკნასა შთაასხის, რომელ-იგი დღითი-დღე მუაქუნ. **წე** იყო საზრდელი მისი. **წინა** დაყოლოდის, გინა მატლი დაესხის, არა დასთხიის იგი, არამედ ზედა ურთავნ სხუასა მას წუენსა. **წა** დიდითა ტირილითა მისითა და გულსმოდგინებითა ლოცვისა მისისაჲთა არა უტევის განსუენებად მოძმეთა მისთა.

წე ვითარითა სახითა მონაზონებისაჲთა აღასრულა ოცდაათი იგი წელი. **წითარცა** წერილ არს, არასადა დასნეულდა, არცა მწუხარე იქმნა, არცა სტომაქი შეელმა, არამედ ესე ვითარსა დიდებასა ღირს იქმნა, რამეთუ იხილა ერთით კვრიაკით წინა აღსრულებაჲ თვისი და მივიდა ეკლესიაჲ და ევედრებოდა ნეტარსა მამასა ჩუენსა **საბას**, რათამცა განუტევა იგი ერთსა ხოლო დღესა. **წა** მივიდა მონასტრად ნეტარისა **წეოდოსისა**. **წოლო** ნეტარმან ბერმან ცნა, ვითარმედ მონევენულ არს აღსრულებაჲ მისი, განუტევა იგი და თანა-წარაყვანა მის თანა **წეოდულოს ხუცესი**, ძმა **წელასისი**, და მიჰრქუა ნეტარისა **წეოდოსისა**: «კაცი შენი შევიწყნარე ოდესმე, რომელსა ჰრქვან **წფროდისი**. **წნ** სიხარულით ჴრისტტჳს მიერ მიგივლინე შენ **წნგელოზი**». **წოლო** ნეტარმან **წეოდოსი** სიხარულით შეიწყნარა იგი და შეიმთხვა და სიყუარულით პურსა თანა ირთო და განუტევა იგი მშკდობით. **წოლო** **წფროდისე** ვითარცა მივიდა ლავრად, მცირედ დასნეულდა და აღესრულა მშკდობით. **წე** დაჰმარხეს ნეტართა მამათა ხუცესთა თანა. **წოლო** ნეტარმან **საბა** უბრძანა მცირედ თვისისაგანრე დადებად პატიოსანი იგი გუამი მისი, რათა საცნაურ იყოს შემდგომად ჟამთა და შეემთხუევოდინ მას, რომელნი შთავიდოდინ საფლავსა მას.

45. **წა** ლაქი ერთი არს, რომელსა ჰრქვან **შედაბა**, წიაღ **წორდანესა** აღმოსავალით, საბრძანებელსა ქუეშე **წრაბიასასა**. **წა** მთავარნი მის ქალაქისანი მოვიდინ ნეტარისა მამისა ჩუენისა **საბა**სა და მრავალნი სულნი განაძღნინან შესანირავითა მათითა და მონასტერნი – იფქლითა და სანუნითა. **წოლო** ერთი მათგანი

ბერი იყო, რომელსა სახელი ერქუა **წერონტი**. **წე** სნეული იყო ჴორცითა და დაყო მრავალი ჟამი წმიდასა ქალაქსა. **წა** გულმან უთქუა, რათამცა აღვიდა და ილოცა წმიდასა აღსამალლებელსა. **წა** აღსუეს იგი კაჰრაულსა და აღჰყვანდა მსახურთა მისთა. **წა** ვითარ აღვიდოდა იგი აღმართსა, დაჰფრთხა კაჰრაული მისი და გარდამოაგდო **წერონტი** და შემუსრა იგი. **წა** მოჰგუარეს მას მკურნალი. **წოლო** მკურნალმან განწირა იგი სიკუდიდ. **წორფირი** ერქუა უმწემესსა ძმასა მისსა. **წმას** არავის რაჲ აზრახა, არამედ შთავიდა ლავრად და ევედრებოდა წმიდასა **საბას**, რათამცა მოვიდა და იხილა **წერონტი**. **წოლო** მას ნეტარსა ვითარცა ესმა, რაჲ იგი შეჰხუდა **წერონტის**, ფრიად შეწუხნა და მეყსეულად ქალაქად წმიდად აღმოვიდა და მოვიდა **წერონტისა** და განიპყრნა ჴელნი და ლოცვა-ყო მისთჳს და **წხოველისა** ჴუარისა ზეთი ჰსცხო მას, და განიკურნა იგი. **წა** უკვრდა ყოველთა ესე ვითარი ესე საკვრველი საქმჳ მშკდობით.

46. **წმისსა** შემდგომად წარწდა რაოდენიმე ჟამი. **წწ** **წერონტისი**, რომელსა სახელი ერქუა **წომა**, ესე მოვიდა **წერიქოდ** დიდისა ლავრისა ქსენადოქსა მწუხრი, უჟამოსა ჟამსა სიმშლიისასა. **წა** პოვნა მუნ **საბა** და **წეოდორე** და **წავლე** – **წასტელისა** და **სპილეონისა** განმგებლნი. **წოლო** ნეტარმან **საბა** ვითარცა იხილა იგი, განიხარა და ჰრქუა ქსენადოქარსა: «მოგმზადე ჩუენ სერი». **წა** ვითარცა დასხდეს, ჰკითხა ქსენადოქარსა: «უკუეთუ გიდგს ღვნოჲ?» **წოლო** მან ჰრქუა: «ყოვლადვე არა გვდგს, გარნა აყიროსა მცირედ ძმარი მიდგს შესანელებელად წუენისათჳს». **წოლო** ნეტარმან ჰრქუა მას: «მომართჳ მე აყიროჲ იგი. **წა** კურთხეულ არს **წფალი**, რამეთუ შისგან განვიხაროთ, ჴომელმან წყალი ღვნოდ გარდააქცია – **წრისტემან**, **წმერთმან** ჩუენმან – **წგივე** შემძლებელ არს ძმრისა ამის გარდაქცევად ღვნოდ». **წე** ვითარცა თქუა წმიდამან მან, და ასუა მათ აყიროჲსა მისგან, და იპოვა ძმარი იგი ღვნო კეთილ ფრიად. **წა** განუკვრდა **წომას** დიდებული ესე საკვრველი.

წა ჰრქუა ნეტარმან **საბა** ქსენადოქარსა მას: «მოიღე ცეცხლი ადრე და დაასხ საკუმეველი, რამეთუ მოხედვაჲ **წმრთისა**ჲ იქმნა ჩუენ შოვრის ჟამსა ამას». **წა** ესოდენ იკურთხა აყიროჲსა იგი ღვნოჲ, რამეთუ სამსა დღესა სუმიდეს იგინი უხუებით ყოველნი. **წოლო** **წომას**

ვითარ უკვრდა ფრიად სასწაული ესე, ევედრა ბერსა, რაფთამცა მისცა აყიროდ იგი და წარილო სახით თვსა. **ჟოლო წმიდამან საბა** მისცა აყიროდ იგი და **ჟომა** მიილო და წარვიდა; და სუმიდეს ღვწოსა მას, რომელი დაშთომილ იყო აყიროსა მას, **ჟომა** და მისთანანი იგი, ვიდრე მისლვადმდე მათა **შედაბად**.

უსე მითხრა ჩუენ აბბა **სერონტი**, რომელი განმგებელ არს ან ნეტარისა **სვთუმის** მონასტერსა, არამედ **სერონტის** ძისწულმან, **ჟომამს** ძემან, ესეცა გუაუნყავე, რამეთუ: «გუაქუნდა ჩუენ აყიროდ იგი სახლსა შინა ჩუენსა მრავალთა წელთა, და ოდეს ვინ დასწეულდის, ალვავსით იგი წყლითა და გარდავასხით სწეულსა მას, და მუნქუესვე მოჰქარდის სწეულებად იგი ჯორცთა მისთად».

47. იმრთისმსახურებისად ესე მოლუაწჷ მამად ჩუენი **საბა** შთავიდოდა **სერიქოთ სორდანედ** მონაფისა თვისსა თანა. **თა** შეემთხვენეს ერისაგანნი ვინმე, რომელთა თანა იყო ქალი ერთი შუენიერი. **თა** ვითარ იგინი გარე-წარჰქედეს, გამოსცდიდა ბერი მონაფესა თვისსა და ჰრქუა: «ვითარ შუენიერ არს ქალი ესე, რომელ გარე-წარგუჯდა. **თა** არს იგი ერთთუალი». **თა** ჰრქუა მას მონაფემან მისმან: «არა, მამაო, ორნივე თუალნი ასხენ». **ჟოლო** ბერმან მიუგო და ჰრქუა: «სცეთ, შვილო, ერთთუალი არს». **ჟოლო** იგი დამტკიცებულად იტყოდა: «არა ერთთუალი არს, არამედ დიდად ხოლო თუალითა შუენიერ არს». **თა** ჰრქუა მას ბერმან: «და შენ ვითარსახედ განიცადე ეგრწთ?» ხოლო მონაფემან მან ჰრქუა: «მე, მამაო, კეთილად განვიცადე, რამეთუ ორნივე თუალნი ასხენ». **ჟოლო** ბერმან ჰრქუა მას: «და სადა წერილ არს, რაფთა შენ თუალნი მიადგნე მას და წამითა შენითა იხილო იგი? რამეთუ, ვითარცა ცეცხლი შემწუველი, ეგრე არს. **თაიჯერე**, ძმაო, არღარა იყო ჩემ თანა სენაკსა შინა, რამეთუ არა შეიკრძალენ თუალნი შენნი ვითარცა-იგი შეჰგავს». **თა** წარავლინა იგი მონასტერსა **ჰასტელისასა**, და დაყო მუნ ჟამი რაოდენიმე. **თა** თავი თვისი დიდად დაიტანჯა თუალთა დაცვითა და გულისა ზრახვითა. **შაშინლა** შეინყნარა იგი ნეტარმან **საბა** და მისცა მას სენაკი საყოფლად მისა.

48. შაგროსმან ლავრისამან შეაგბო ოდესმე აყიროდ ხუროთათვს და ჟამსა ჭამისასა ოდენ იხილა გემოდ და პოვა, რამეთუ მწარე იყო. **თა** შენუხნა იგი ფრიად, რამეთუ სხუად არღარად

აქუნდა, რამცა დაუგო ხუროთა. **თა** წარვიდა სირბილით ნეტარისა ბერისა და უთხრა მას, რაფთა შეემთხვა. **ჟოლო** წმიდად ესე მოვიდა და ქუაბსა მას დასწენრა ნიში **ჯუარისა** და ჰრქუა მაგროსსა მას: «ვიდოდე, კურთხეულ არს **აფალი**. **თაუგე** ტაბლებსა». **თა** მყის დატკბნა აყიროდ იგი. **თა** ჭამეს ყოველთა და განძლეს და ადიდებდეს იმერთსა.

49. **უსე** წმიდად მღდელი მივიდოდა ადგილით **სუბათ** სალერწმესა **სორდანისა** კიდისასა, და შეემთხვა მას ლომი ფრიად დიდი და მკელობელი. **თა** შეუვრდა მას და უჩუენა ფერჯი იგი, რომლითა კელობდა. **თა** თუალთა წამისყოფითა ევედრებოდა მას, რაფთამცა უხილა. **ჟოლო** მამამან ჩუენმან **საბა** გულისხმა-ყო მვეცისა მის ტკივილი და აღუპყრა ფერჯი მისი და ჩნდჷ ალსობილი გამოჰჷადა მას. **თა** მუნქუესვე დაუცხრა სალმობად იგი ლომსა მას და ვიდოდა იგი მშვდობით. **შიერ** ჟამითგან ორმეოცთა მათ დღეთა მარხვისათა უკუანა შეუდგა, ვითარცა მონად, თანა-ჰყვანდა.

შას ჟამსა წმიდასა მღდელსა ესუა მონაფჷ **სსური**, რომელსა სახელი ერქუა **ჟლაიანოს**. **სყო** რად იგი **სუბას** ქუენა, ამას ედგა კაჰრაული სამსახურებელად თვსა. **თა** ვითარცა წარავლინის ნეტარმან მან მონაფჷ იგი, ნუ ვიდრე უბრძანის ლომსა მას, რაფთა სცვიდეს კაჰრაულსა მას მისსა. **ჟოლო** ლომმან მან რაფცა განთიად შეუპყრის საბელი კბილითა თვისითა კაჰრაულსა მას, წარიბის და აძოვებნ დღე ყოველ და მწუხრისა ჟამსა წყალი ასვს და მოიბის თვისსავე ადგილსა. **თა** წარჯდეს რაოდენიმე დღენი, და ლომი იგი ამას საქმესა აღასრულებდა.

შერმეცა წარავლინა ნეტარმან მან მონაფჷ იგი **ჟლაიანოს** საქმედ. **ჟოლო** მან ცხოვრებად თვისი უდებ-ყო ამპარტავანობით, რამეთუ შევარდა იგი სიძვასა და დაეცა. **ჟოლო** ლომმან მან მასვე დღესა შემუსრა ვირი იგი და საქმლად თვსად დაიდგა. **თითარცა** გულისხმა-ყო **ჟლაიანოს**, რამეთუ ცოდვითა მისითა მიეცა ლომსა საქმელად კაჰრაული იგი მისი, მიერთგან ვერღარა იკადრა ხილვად ნეტარისა მის ბერისა, განიწირა თავი თვისი მედგრად, წარვიდა და იყოფოდა თვისსა სოფელსა და დაეგლოვდა თვსთა ცოდვათა. **ჟოლო** იმრთისმსახური იგი ბერი **აფლისა** კაცთმოყუარებასა მიემსგავსებოდა და არა უდებ-ყო ესე, არამედ დიდად ეძიებდა მას და პოვა იგი წყალობითა ჴრისტწსითა, ნუგეშინისცემდა და ასწავებდა.

ბა დაცემისა მისგან აღადგინა და აცხოვნა იგი. ბა შეაყენა მან თავი თვისი და შეინანა გულითად და სათნო-ეყო იმერთსა სრულიად.

50. სამეოცდამეცამეტესა წელსა წმიდისა **საბაძისა** ჰასაკისა ჟამთა მთავარეპისკოპოს-სა **სერუსალემისასა** **ლიას** უნდა მონასტრი-სა მამასახლისთაა წარვლინებაა **ხოსტანტი-ნეპოლისა** და მოუწოდა მამასა ჩუენსა **საბას**. **ვედრებოდა** მას, რათამცა აღვიდა მათ თანა და, რაოდენ შემძლებელ იყოს, ილუწიდეს, რათა იყოს შეუძრველად ბედაა **სკლესიათაა**. ჟამეთუ განრისხებულ იყო **სნასტასი** მეფეა ფრიად ეკლესიათათვს ყოვლისა **სალესტინი-სათა** და უნდა გარდაქცევად მათი. **ჟოლო** რომ-ლისათვს იყო რისხვად და გულისწყრომად მე-ფისაა მთავარეპისკოპოსისა ზედა, მცირედითა სიტყვთა ვთქუა. **ნეტარმან** **ლია** **სერუსალემი-სა** მთავარეპისკოპოსობაა რაა დაიპყრა მესა-მესა წელსა **სნასტასის** მეფობასა, შეშფოთნა წმიდაა **სკლესიაა** და განიყო ამის სახისათვს: **სრომთა** მთავარეპისკოპოსსა გულსა აკლდა. ბა იურვოდეს **სრომნი** **ხოსტანტინეპოლეთა-თვს**, რამეთუ ავსენებდეს იგინი საღრმითთა შინა სახელთა აღწერილთა **სკაკის** ვისმე, რომელი ყოფილ იყო **ხოსტანტინეპოლისს** მთა-ვარეპისკოპოს. **ჟოლო** **ხოსტანტინეპოლელნი** იურვოდეს **სლექსანდრიელთათვს**, რამეთუ შეაჩუენეს მათ შეკრებაა იგი, რომელი იყო **ჩა-ლკიდონს** წმიდათა ეპისკოპოსთაა. ბა მათგან რომელ განძებულ იყო, იგი აღიარეს წვალებად, რომელ იყო **ბიოსკორცისი**.

ჟოლო ნეტარმან **ლია**, მთავარეპისკოპ-ოსმან **სერუსალემისამან**, დასავალით კერძო სხვსაა არავისი მოითუალა შვეული და ზიარე-ბაა თვნიერ **სვთვმის** მთავარეპისკოპოსისა **კო-სტანტინეპოლელისა**. **ჟოლო** **სალადი ანტიო-ქელ** მთავარეპისკოპოსი მიერჩდა მეფესა და შეაჩუენა კრებაა იგი **ჩალკიდონისაა** და შეერთო იგი **ალექსანდრიელთა**. **საშინ** **სვთვმი** მთავა-რეპისკოპოსი **კოსტანტინეპოლელი** ქადაგებდა და აღიარებდა შეკრებასა მას **ჩალკიდონისასა** და მათსა მას თქმულსა. ბა ამისთვს გარდაად-გინა იგი მეფემან ეპისკოპოსებისაგან ცილის შეწამებით შეთქუმიტა **ალექსანდრიელთა** და **ანტიოქელთაათა**. **ლია** მთავარეპისკოპოსსა **სერუსალემისასა** არლა დაესრულა მეორეა წელი ეპისკოპოსებასა. **სე** ნეტარი **სვთვმის** გარდადგინებასა არა შეერთო, არამედ პოვა მართლმადიდებელი სამღვდელთა მისსა ქუეშე

ეპისკოპოსი, რომელსა სახელი ერქუა **საკე-დონი**, და ესე თანა-ზიარად აქუნდა. **წითარცა** ესმა ერთობაა მათი მეფესა, განრისხნა ფრიად და არა მცირედ.

ბა შემდგომად **სალადის** აღსრულებისა, **ანტიოქელ** მთავარეპისკოპოსისა, **ფლაბიანოს** დადგა მისსა ადგილსა. ბა იყენეს **ფლაბიანოს** და **ლია** ერთობით მართლსარწმუნოებასა ზედა. **სმათი** ვითარცა ესმა მეფესა ერთობაა, პირველადვე მძვნვარც იგი უფროს სოლო განრისხნა და უნდა, რათამცა პატიჟი მიანია მათ ზედა. **წინააწარ** ცილი შესწამა **საკედონის** და ცვალა იგი ეპისკოპოსებისაგან და მისსა ადგილსა დაადგინა **ლიმოთე**. **ფლაბიანოსს** და **ლიას** მთავარეპისკოპოსთა აწუევდა მეფეც, რათამცა ერჩდეს დადგინებასა **ლიმოთცისსა**. **ჟოლო** მათ ნება-სცეს **ლიმოთეს** დადგინება-სა, გარნა **საკედონის** გარდადგინებასა ურჩ ექმნეს. ბა ორთავე მათ ზედა ფრიად აღიძრა მეფეც, და შიში დიდი იყო ორთავე მათ ზედა **სკლესიათა**.

სმის სახისათვს ნეტარმან **ლია** მთავა-რეპისკოპოსმან წარავლინა ნეტარი მამაა ჩუენი **საბა**, ვითარცა ზემო წერილ არს, და სხუანი მამასახლისნი მონასტრისანი და მიწერა მეფისა ესრცთ და თქუა: «გამორჩეული მონაა იმრ-თისაა, კეთილი და სარწმუნოა, და ყოველთა მეუდაბნოეთა წინამძღუარი **საბა** და ქალაქ-მე-ოფელი უდაბნოთაა და ყოვლისა **სალესტინი-სა** მბრწყინვალეც – ესე სხუათა მამასახლისთა თანა მივავლინე ვედრებაა შენდა, თვთმპყრო-ბელისაა». ბა ვითარცა მიწერა წიგნი ესე მთა-ვარეპისკოპოსმან **ლია** მეფისა, ნეტარი მამაა ჩუენი **საბა** მღვდელთმძღუარსა მას არა ურჩ ექმნა, არამედ აღასრულა ბრძანებაა მისი და გულსმოდგინედ წარემართა. **ინდა**, უკუეთუმ-ცა ვითა შეუძლო, ზათოლიკე **სკლესიასა** შეწევ-ნად და მართლსარწმუნოებასა, რამეთუ იყენეს ჭირსა შინა ეკლესიანი. ბა ვითარცა წარემარ-თა ნეტარი ესე გზასა მას, მეფეც **სნასტასი** უფროსად განრისხებულ იყო გულისწყრომით **ფლაბიანცს** და **ლიას** ზედა მთავარეპისკო-პოსთა და ბრძანა შეკრებაა ეპისკოპოსთაა, რომელნი არიან აღმოსავალით, და **სალესტინელ-თაა** **სიდონს** ქალაქსა და მთავრად კრებულისა მის ბრძანა მისლვად, რომელსა სახელი ერქუა **სოტერიკოს**, ეპისკოპოსი ქალაქისა **ხესარია** **ხა-ბადუკიასაა**, და ფილოქსენოს, ქალაქისა **სერე-პოლისისაა**. **სენი** იყენეს, რომელთა შეეჩუენა

გამოუთქუმელისა კრებულისა **ჩალკიდონისა** და **ვეტჯის** და **ნიოსკორცს** წვალეებასა ერჩედეს.

51. **ჟოლო ნეტარი საბა** და მისთანანი, რომელ წარველინენ მამანი, მიინივნენ **სოსტანტინეპოლისა** და აუნყეს მეფესა. **თა ბრძანა** შესლვაჲ მათი. **ჟოლო რომელმან** ადიდნის მადიდებელნი თჳსნი, იმერთმან, უნდა, რაჲთა გამოუაჩინოს მონაჲ თჳსი **საბა**, ესრცით განჰმზადა: ყოველნი ვითარ შევიდეს პალატად, მიინივნენ ტაძარსა შინაგანსა, რომელსა ჰრქვან სელენტიართაჲ. **თა რაჟამს** შევიდოდეს, სხუანი მამასახლისნი შეუტევენს. **ჟოლო** ესე დიდი მბრწყინვალჳ გარე-უკმოადგინეს, ვითარცა გლახაკი და შეურაცხი და ყოველთა უმცირცსი. **სრა** შეუტევეს იგი სამოსლისა მისთჳს, რომელ ემოსა დიდად დაბეპკული და შეურაცხი. **ჟოლო** მეფემან **სნასტასი** სიხარულით შეინყნარნა მამანი და ვითარ აღმოიკითხა წიგნი იგი, მიწერილი მთავარეპისკოპოსისა მიერ, და ქებულსა მას ეძიებდა წმიდასა **საბას**. **თა** მამანი ჰხედვიდეს აქა და იქი. **თა** არა უწყოდეს, ვითარ განეშოვრა იგი მათგან.

ჟოლო მეფემან ბრძანა მოძიებჲ მისი წრაფით. **თა** შეშფოთნეს ყოველნი წინაშემდგომელნი და გამოუავლინენ სელენტიარნი. **თა** პოვეს იგი ყურესა მდგომარჳ ტაძარსა ერთსა, რომელსა ჰრქვან კოსისტორიონ. **თა** და ფსალმონებდა თჳსისაგან. **ჩარიტაცეს** იგი და შეიყვანეს შინაგანსა კარსა. **თა** ვითარცა ეზოჲ აღიპყრეს, იხილა მეფემან სახედ **სნგელოზისა** ნათლისა, რომელი წინა-უძლოდა მას, ზე აღდგა და, ვითარცა ჯერ-იყო მისა, ეგრე შეიმთხვა იგი და უბრძანა მათ დასხდომაჲ, რამეთუ იყო მონაზონთმოყუარე, დალათუ ურწმუნოთაგან გარდაქცეულ იყო მართლსარწმუნოებასა წინა-აღდგომად. **თა** იყო სიტყუაჲ წინაშე მეფისა და თითოეული მამასახლისი თჳსისა მონასტრისათჳს ილუწიდა. **ქომელმანმე** თქუა: «გარემოჲს მონასტერსა ჩემსა არს ადგილი და მომიშორე». **თა** სხუამან სხუაჲ ითხოვა. **ჟოლო** მეფემან თითოეულსა მიანიჭა თხოვისაებრ მათისა, ვითარცა ვინ ითხოვა.

თაშინ მიუგო და ჰრქუა წმიდასა **საბას**: «კეთილო ბერო, არლარას ითხოვდ შენ, რომლისა სახისათჳს ესოდენი შრომაჲ შეიმთხვე?» მიუგო ბერმან და ჰრქუა: «მოვედ პირველად თავყანისცემად ფერჯთა შენთა და იმრთისმსახურებასა შენსა, ვიდრე ესე სული ჳორცთა

ამათლა შინა არს. **თერმე** გვედრები შენ წმიდისა ქალაქისა **იერუსალემისათჳს** და მას შინა მყოფისა ღირსისა მთავარეპისკოპოსისათჳს, რაჲთა მშჳდობაჲ მიჰფინო **სკლესიათა** ჩუენთა და უზრუნველობაჲ საკურთხეველთა მის ადგილისათა. **იკუეთუ** **სკლესიანი** ჩუენნი მშჳდობით იყვენენ, ჩუენცა ყუდროვებით ვიყოფოდით, და განმრავლდენ მოშიშნი იმრთისანი, და დლე და ლამე უფროჲს გილოცვიდეთ მშჳდობასა შენსა და იმრთისმოყუარებისა შჯუულსა შენსა და განვისუენებდეთ». **ჟოლო** მეფემან უბრძანა ათასისა დრაჰკნისა მოლებად და ჰრქუა: «მიილე ესე, მამაო, და ლოცვა-ყავ ჩუენთჳს, რამეთუ მესმა, ვითარმედ მრავალთა მონასტერთა უდაბნოჲსათა ჰლუწი შენ». **თა** ნეტარმან **საბა** ჰრქუა: «მინებს აქა დადგომად ამას ზამთარსა და ოდესვე ღირს ვიქმნე შენსა იმრთისმსახურებასა თავყანისცემად». **თაშინ** მეფემან განუტევენა სხუანი იგი მამანი, რაჲთა წარვიდენ **სალესტინედ**, და მისი ბრძანა, რაჲთა მუნ დაიზამთროს და: «ოდეს უნდეს შემოსლვად ჩემ წინაშე, ნუმცა ვინ აყენებს მას».

თა ვითარცა დლენი რაოდენნიმე წარვდეს, მოუნოდა მას მეფემან და ჰრქუა: «თქუენი მთავარეპისკოპოსი წინა-აღმდგომად გამოჩნდა და **ჩესტორის** თქმულნი არად შეჰრაცხნა, არამედ კრებული **ჩალკიდონისა** დაამტკიცა. **სრა** ხოლო თუ ესე, არამედ თანა-აღიბაძვა **ჟლაბიანოს ანტიოქელ** მთავარეპისკოპოსი. **სე** გულსა ედვა ყოველთა, რომელნი შეკრებულ იყვნენ **სიდონს** ქალაქსა, რაჲთამცა შეაჩუენეს თქმული კრებულთაჲ **ჩალკიდონისათა**. **სმან** დააყენა შეყოფითა მთავარეპისკოპოსისა **ჟლაბიანოსისითა** და ეგრე ჰგონიეს, ვითარმედ განკიცხა ჩუენი ესე მეფობაჲ, რამეთუ მოჰრქუა თჳსითა სიტყვთა და თქუა ჩუენდა მომართ: „ყოველი წვალეებაჲ, რომელი იყოს გარეშე მართლსარწმუნოებასა, ამას განვაძებთ, რომელი არა ეზიარების კრებულსა **ჩალკიდონისასა**“. **თა** ეგრე ჰგონებს, ვითარმედ სიტყვთა გუაცთუნენს, რომელთა დაემტკიცა შეჩუენებაჲ **ჩალკიდონისა**, ამათ არა უტევეს და განიბნივნეს. **თა** ესეცა არა დამვიწყებდეს, არცა ან და არცა წინაჲთ, გარდადგინებულთაჲ მათ **სეთჳმისი** და **თაკედონისი**, რომელთა შჯუული **ჩისტორისი** არა შეინყნარეს. **სმისთჳს** წინა-აღმდგომ იქმნა ესე თქმულისა მისთჳს, რომელი ითქუა **ჩესტორის** ზედა შეკრებულთა მათგან **ჩალკიდონს**. **თა** ამასცა უბრძანებთ,

ვითარცა უშეულოსა ეპისკოპოსებისაგან განძებასა. ოა კაცი მართლმადიდებელი და წმიდისა მის სამოციქულოსა საყდრისა ღირსი დავსუათ, რაათა არაწმიდანი იგი ადგილნი იგინებოდინა».

52. ოსე ვითარცა წართქუა მეფემან, მიუგო წმიდამან მამამან ჩუენმან **საბა** და ჰრქუა: «დაჯერებულ იყავნ შენი მშჯდობაჲ, რამეთუ ჩმიდისა იმრთისა ჟალაქისაჲ ჩუენი მთავარეპისკოპოსი პირველთა და მბრწყინვალეთა მამათა და სასნაულთა-მოქმედთა ჩუენტა მეუდაბნოეთა და იმრთისმსახურთაგან განისნავლა და ერთფერად განაძებს ნვალეზასა **ჩესტორისსა** და **ჯეტქისსა**. Ⴡოლო მართლსარწმუნოებითა ეკლესიისა შოვა გზასა ვალს და არცა მარჯულ და არცა მარცხლ წერილისა მისგან გარდაქცევაჲ უნებს, არამედ შეუდგს იგი წმიდისა **ჯურილე სლექსანდრელ** ეპისკოპოსისა თქმულსა. Ⴡოლო წინა-აღმდგომთა მათ, რომელნი წინა-აღუდგებიან მას სხუთა შჯუ-ლითა, მათ შეაჩუენებს. ოევედრებით შენსა იმრთისმოყუარებასა, რაათა მშჯდობით და ყუდროებით იყოს წმიდაჲ ქალაქი **ჯერუსალემი**, რომელსა ზედა გამოჩნდა დიდი იმრთისმსახურებისა საკრველებაჲ, რაათა შეურყვეველ იყოს მის ადგილისა მღღელთმთავრობაჲ».

ოა მეფემან გულისხმა-ყო მოხუცებულისაჲ მის სინმიდჯ და სინრფოებაჲ და სულისა მისისა ღირსებაჲ. შიუგო და ჰრქუა მას: «ქემმარიტად, კეთილო ბერო, კეთილად წერილ არს საღმრთოთა ჩიგნთა: „რომელი ვიდოდის სინრფოვებით, ვიდოდის იგი სასოებით“. Ⴀრამედ ლოცვასა ხოლო მოგჯჯსენენ და ნურას ჰზრუნავ, არარაჲ შევამთხზო ბოროტი მთავარეპისკოპოსსა თქუენსა შენისა სინმიდისათჯს და ყოვლითა განკურნებითა განგიტევო შენ მშჯდობით წარსლვაჲ».

53. Ⴀა ესრჯთ გამოვიდა მეფისაგან მოხუცებული იგი და შევიდა დედოფლისა **Ⴀრიაგნჯსა** და აკურთხა იგი და ევედრებოდა მას, რაათამცა თანა-დაუდგა მართლსარწმუნოებასა წმიდისა მამისა მისისა **ჯეონტის** დიდისა მეფისასა. Ⴀა ჰრქუა მას დედუფალმან: «კეთილად იტყჯ, კეთილო ბერო, უკუეთუ არს ვინ, რომელმან ისმინოს». Ⴀა ესრჯთ გამოვიდა მისგან და ევლტოდა შფოთსა ქალაქისასა. Ⴀა განვიდა ქალაქით და იყოფოდა ადგილსა ერთსა **ჯიუფინჯსსა** და **Ⴀემოსტრატჯსსა**. Ⴡოლო **ჯელიანა** პატრიკიაჲ, **ჯალენტიანჯს**

მეფისა ძისწული, და **Ⴀნასტასია**, პატრიკიოსის ასული, მოყუასი მისი, რომელი აქამომდის მთასა ზეთისხილთასა საქმითა მონაზონთათა ბრწყინავს, ესენი წუსწუთ მიუჯდიან ნეტარსა მას, სადა-იგი იყოფოდა, თავყანის-სცემედ და ისნავებედ საკრველსა მას მოძღურებასა მისსა და იხარებედ. Ⴀსენი იყენეს ფრიად მორწმუნე და მართლმადიდებელ და სხუათა სიმართლისა საქმეთა მომპოვნებელ.

54. ჰემდგომად მცირედთა დღეთა მოუნოდა მეფემან ნეტარსა **საბას**. Ⴀა ვითარცა შევიდა იგი მის წინაშე, წარმოიღეს სიტყუაჲ წმიდისა ქალაქისა **ჯერუსალემისათჯს**. Ⴡოლო ნეტარი იგი ევედრებოდა და თქუა: «ყოველი **საბერძნეთისა** ქუეყანაჲ ჰმადლობს შენსა იმრთისმსახურებასა, გან-რაჲ-თავისუფლდეს უწინარჯს ათცამეტისა წლისა ჟამთა უჯჯეროდა მისგან ხარკისა, რომელსა მოჰჯდიდეს უმეტჯსსა. Ⴀა ანცა გევედრები შენ, რაათა აღუმცირო, რომელ-იგი უმეტჯსი დასდვეს წმიდასა **Ⴀნასტასიასა** და მკჯდრთა ჩმიდისა ჟალაქისათა. ჰომელი მიზეზი არს, გითხრა შენ, რამეთუ: რაჲცა ხარკის მოჯდა მნეთა **სალესტინისათა** დააკლდის, ვითარ ასი ლიტრაჲ ოქროჲ მკოდოვთაგან და მედგართა, და ესელა ვერ მოჰჯადიან მათ, უნებლიად განუყვიან ხარკისა მომჯდელთა თითოეულსა მსგაგსად ძალისა, და მოჰჯადიან და შეკრიბიან ასი იგი ლიტრაჲ ოქროჲ, რომელი ზედა-დასდვიან თითოეულთა ადგილთა, წმიდასა **Ⴀნასტასიასა** და სხუათა ეკლესიათა; და ქალაქისა მკჯდრთა – ამას უმეტჯს. Ⴡოლო გევედრები ხარკისა მოჯდასა, რაათა აღილო».

ღოლო მეფემან ისმინა მოხუცებულისაჲ მის და მოუნოდა ეპარქოსსა, რომელსა სახელი ერქუა **ხოტიკე**, და უბრძანა მას, რაათა აჰჯადოს ნამეტავი იგი ხარკი **სალესტინელთა**. Ⴀა ესე შენდობაჲ ჩმიდასა ჟალაქსა მიანიჯა. Ⴀა ვითარცა დამტკიცნა სიტყუაჲ ესე ამათ შოვრის, აღვინმე-დგა, რომელსა სახელი ერქუა **შარინე**, სავსჯ რისხვითა. Ⴀა შენდობითა იმრთისაჲთა სამეუფოს შინა აქუნდა განგებაჲ და სიმალლითა გულისა მისისაჲთა შეურაცხ-ჰყოფდა ბრძანებასა მეფისასა. Ⴀმას ვითარ ესმა შენდობაჲ იგი, რომელი ყო მეფემან, მეყსეულად შევიდა მეფისა და არა უტევა შენდობაჲ იგი, რამეთუ ესრე ჰრქუა მეფესა: «**ნესტორეანნი** და **ჰურიანი** არიან მყოფნი **ჯერუსალემისანი** და არა ღირს არიან ნიჯსა მეფისასა». Ⴡოლო წმიდაჲ **საბა** აღიგსო სულითა ჩმიდითა და ჰრქუა

შარინეს: «დასცხერ, რომელი-ეგე არა უტევებ კეთილის საქმედ მეფესა, დასცხერ, რომელი-ეგე ჰბრძავ უკლესიათა იმრთისათა, დასცხერ, საფასისმოყუარეო ბოროტო, და დაიცივე თავი შენი. ოკუეთუ ჩემი არა ისმინო, შემდგომად მცირედთა დღეთა მოინიოს შენ ზედა ბოროტი და მეფესა ზედა არა მცირეჭი ჭირი მუჟანო და თავადსა ქალაქსა, და გაჰშიშულდე შენ ყოვლისაგან მონაგებისა შენისა წამსა შინა თუალისასა, და სახლი შენი ცეცხლითა დაინუეს». ოსე ვითარცა ჰრქუა წმიდამან **საბა შარინეს** წინაშე მეფისა წრფელითა გულითა და გონებითა განმარტებულითა, ევედრა მეფესა, რადთამცა განუტევა იგი შთასლვად **სალესტინედ**.

თა მოილო ნეტარმან მან სხუად ათასი დრაჰკანი ჴელთაგან მეფისათა და იჯმნა და შთავიდა **სალესტინედ** ნავითა თუესა მამსსა, ინდიკტიონსა ხუთსა. ღოლო ხარკისა მისგანი მცირედ ნურად შეუნდო **სალესტინელთა** და სხუად რაოდენიმე შეენდო იმრთისმოყუარისა მეფისა ჩუენისა **უსტინე**ს ზე ვედრებითა და წიგნის წერითა მამისა ჩუენისა **საბაასითა** და სხუათა მამასახლისთა მეუდაბნოეთადთა. ღოლო სრულიად შენდობად ხარკისად მის იმრთისმსახურისა მეფისა **უსტინიანოსის** ზე იქმნა შუვამდგომელობითა პაპა **უსებისითა** და ესეცა უკუანადასკენელ. ღოლო **შარინეს**სთვის, რომელ-იგი წინაწარმეტყუელებით თქუა ნეტარმან მან მონამან იმრთისამან, აღესრულა. თა არა წარჴდეს მცირედნი დღენი, შეილაღნეს ჭაბუკნი ქალაქისანი, და სახლი **შარინესი** ცეცხლითა დაინუა. თა რომელ-იგი წინავე ჰრქუა ბერმან, ყოველი აღესრულა. ოსე მითხრა მე **წნასტასია**, რომელი არს მთასა ზეთისხილთასა, რომელსა შეუმოსიეს სახე მონაზონებისად. თა ბრწყინავს იგი წყალობითა ჴრისტესითა და სიხარულითა, რამეთუ იყო ესე თჳსი მეფისად. ღოლო ნეტარმან მამამან ჩუენმან **საბა** დიდადი ოქროდ განუძღუანა **ჲოსტანტინეპოლისით** თჳსსა დაბასა, რომელსა ჰრქვან **შეტალასკენ**, რადთა აღაშქნოს მუნ მამული იგი სახლი მისი ეკლესიად წმიდათა მარტვრთა **ჲოზმა** და **რამიანეს** სახელისათჳს, რომელიცა აღეშქნა.

55. **შამა** ვისმე ერქუა მთავარმამასახლისსა, მონაზონთა მწვალებელთასა, **ოლევერეპოლისით** კერძო. თა სხუასა კაცსა რომელსა **სევერე** ერქუა, იყო ესე განმგებელი წვალებისად მის, რომელსა ჰრქვან **უნინამძღუროთა**. ომან

შამა წარიყვანა **სევერე** და აღვიდა **ჲოსტანტინეპოლისა** შესმენად მართლსარწმუნოებისა და დიდი ჴელმწიფებად პოვა წინაშე მეფისა და შემდგომად მცირედთა ჟამთა განრისხნა **შამა სევერეს** ზედა ფრიად. ღოლო ნეტარმან **საბა** შეილიქნა **შამა** და შთამოიყვანა იგი **სერუსალემდ** და ევედრებოდა მას, რადთამცა განეშოვრა იგი გარდაქცეულსა მას შვეულსა და ჲათოლიკე უკლესიასა ეზიარა. თა დიდითა შრომითა მისითა მუაქცია იგი და მიჰგუარა იგი მთავარეპისკოპოსსა **ოლიას**, და მიითუალა მან თქმული იგი შეკრებულთა მათ **ჲალკიდონისათა** და ეზიარა იგი მამდასა უკლესიასა. თა შეჩუენებად ჰსცეს მას **სეტჯისი** და **რეოსკორცისი** შვეული, და შრომითა თჳსითა ასწავებდა მას სიმართლესა მას სარწმუნოებისასა.

ოსე ვითარცა ესმა მეფესა **წნასტასის**, განრისხნა გულისწყრომით **ოლიას** ზედა მთავარეპისკოპოსისა. ღოლო ნეტარმან მამამან ჩუენმან **საბა** შთამოდებული იგი ოქროდ განუყო მონასტრებსა მისსა. ღოლო რომელნი-იგი იყვნეს მის თანა მონაფენი **ჲოსტანტინეპოლისის**, გულკლებულ იქმნეს ოქროსა მის განყოფისათჳს. შოუგო და ჰრქუა მათ ნეტარმან **საბა:** «დაღათუ ჩუენ ჴორციელად დავშუერით, ხოლო ესენი სულიერად იღუნიდეს, და ლოცვითა მაგათითა მოგყვანნა ჩუენ იმერთმან». ოსე სახედ **რავითისა** ყო ნეტარმან ამან: ვითარცა-იგი, რომელნი ბრძოლასა შინა დაშურეს, და რომელნი მცველად დაეტევენეს, მათ ეგრევე მისცა **რავით** ნაწილი.

56. ჴამი არს, რადთა ვთქუათ ნეტარისა **საბაასი** შრომანი და ღუანლნი, რომელნი ქმნნა სარწმუნოებისათჳს ამან და სხუათა მამათა ამის უდაბნოესათა. ღოლო ნეტარი **ოლია** და **ფლაბიანოს** მთავარეპისკოპოსნი ვითარ მივიდეს **სიდონდ** ქალაქად, მიწერეს წიგნი მეფის ა ვედრებით და ლიქნით, და რომელნი-იგი შეკრებულ იყვნეს **სიდონს** სარწმუნოებისა ქცევისათჳს, განაბნიეს კრებული იგი. თა წარვიდა თითოეული საყდარსა თჳსსა. ოსელა ესმა **სოტერიკოსს** და **ფილოქსენოსს**, განბოროტნეს და განარისხეს მეფე და ჰრქუეს: «გაცთუნეს მთავარეპისკოპოსთა გონებითა მათითა და სახითა». თა ამათ ჴელმწიფებად მოილეს მეფისაგან, ვითარცა უნდა, და ოქროდ დიდძალი და განუყვეს ერსა მას ჭაბუკთასა **წნტიოქიას** შინა. თა ამათ დიდადი ჭირი შეამთხვეს მთავარეპისკოპოსსა **ფლაბიანოსს** ვიდრე შეშთობამდე და

აიძულებდეს მას, რადათამცა შეაჩუენა კრებუ-
ლი **ჩალკიდონისა**. თა ვითარცა მან არა ინე-
ბა, განაძეს იგი ეპისკოპოსებისაგან უფვეროთა
საშველითა.

ჩითარცა ესმა ესე მეფესა, განიხარა ფრი-
ად და **სევერე**, **უნიანამძღუროთა** განმგებელი,
მწვალებელი, მუავლინა **ნნტიოქიად** ეპისკო-
პოსად. თა ვითარცა დაჯდა იგი მთავარეპის-
კოპოსად **ნნტიოქიას**, დიდადსა ძვრსა შეაჩ-
უენებდა, რომელნი არა ეზიარებოდეს მას. თა
მიავლინნა კაცნი **ლიაისა** მთავარეპისკოპოსისა
სერუსალჴმდ, რადათამცა ენამა მას ეპისკოპოსე-
ბასა. ღოლო მან არა მიითუალნა იგინი, აუნყა
ესე მეფესა და განარისნა. თა კუალად მუავლინ-
ნა კაცნი და მლდელნი თჳსნი და მოწერა წიგნი
შენეენითა მეფისაათა თუესა მადსა. **სე** ვითარ-
ცა ესმა წმიდასა მამასა ჩუენსა **საბას**, აღვიდა
წმიდად **ჩალაქად** სხუათა თანა მამასახლის-
თა უდაბნოსათა, და რომელნი მოვლინებულ
იყვნეს კაცნი **სევერჴსნი**, წმიდით **ჩალაქით**
განასხნა. თა შეკრბა ყოველთა ადგილთაგან
სიმრავლჴ მონაზონთა წინაშე წმიდასა **სოლ-
გოთასა** მყოფთა თანა **სერუსალჴემისათა**, ღ-
ლადებდეს და იტყოდეს: **«შე-მცა-ჩუენებულ**
არს სევერი და რომელნი მას ეზიარებინ». **სმას**
ვითარ **წმობდეს**, უკმოიქცნეს მოციქულნი იგი
და ისმინეს წმად იგი დიასპანთა, მთავართა და
მწედართა, მოვლინებულთა მეფისაგან.

სე სევეროს ამპარტავანებასა შეეპყრა და
ესვიდა ძალსა მეფისასა. თა კრებული **ჩალკ-
იდონისა** შეაჩუენა ბევრჯერ და **სევერის** მაც-
თურისა თქმულსა დაამტკიცებდა: **«ერთობასა**
სეუფისა ჩრისტჴსსა შემდგომად ჩალწულის-
აგან ჳორცთა შესხმისა ესე ქადაგებდა ბუნება-
სა წრწნილებისასა». ჴამეთუ შფოთისმოყუარჴ
იყო და მრავალი ცთომად გამოაჩინა მართლთქ-
მულთა **სკლესიისათა** დამტკიცებულთა. თა
უღმრთოებად და ავაზაკებრი **სეფსოსა** იგი
მეორჴ კრებად ამან შეინყნარა და ამსგავსა ესე
პირველსა მას კრებასა წმიდათა მათ მამათა
ეპისკოპოსთა მისვე ქალაქისა **სეფსოსათა**. თა
ერთად მოძღურებასა იტყოდა **სერილეს** იმრ-
თით-შემოსილსა, სანატრელსა **სლექსანდრელ**
ეპისკოპოსსა და **სიოსკორჴსსა** და **სევერისსა**
მწვალებელთასა ერთ სარწმუნოებად ჳყოფდა.
თა სინმიდისმოყუარჴ და მართლმადიდებელი
სლადიანოს, სამეფუფოსა ქალაქისად მთავა-
რეპისკოპოსი, **ნნტიოქელი**, იგი გარდაადგინა
და განაძო.

თა ესრჴთ უღმრთოებასა შინა აღემატებო-
და ესე **სევეროს**. თა აღილესა ენად თჳსი და
გმობასა იმრთისა მიმართ იტყოდა. თა განწვა-
ლა სიტყვთა მისითა **სრთღმრთეებად**, რომელ
არს სამებასა შოვრის განუყოფელი, რამეთუ
იტყოდა და დაამტკიცებდა, ვითარმედ: **«გუამი**
ბუნებად არს და ბუნებად არს გუამი». თა არა
იცოდა ამათ სახელთა შოვრის განყოფად არცა
ერთი. თა იკადრა თქუმად სამგუამოვნებად
იმრთეებისად წმიდისა და თავყანისცემელისა
სრთარსებისად სამ ბუნებად და სამ ღმრთეებად
და სამ ღმრთად.

სმას თანა სულთა განმწრწნელსა და წარმ-
წყმედელსა მეფჴ **სნასტასი** აიძულებდა **სლიას**
მთავარეპისკოპოსსა, რადათამცა ეზიარა მის
თანა. ღოლო ნეტარმან **სლია** ყოვლადვე არა
შეინყნარა სიტყუად იგი მეფისად. თა აღდულნა
გულისწყრომით მეფჴ და წარავლინა, რომელ-
სა სახელი ერქუა **სლუმპოს ხესარიელი**, **სალ-
ესტინისა** დუქსად და მის თანა მისცა წიგნი იგი,
რომელი მოწერა **სიღონ** ქალაქით, რომელსა
წერილ იყო დამტკიცით არა განშოვრებად **ჩა-
ლკიდონისა** კრებასა, და ბრძანა მწრაფლ გარ-
დადგინებად **სლიასი** ეპისკოპოსებისაგან. თა
ვითარცა მოვიდა **სლიმპოს** ძალითა მეფისად-
თა, დიდითა ზაკუევითა და განზრახვითა წიგნი
იგი წარუკითხა **სლიას** და ეპისკოპოსებისაგან
გარდაადგინა. თა მიავლინა იგი **სადლად** ქა-
ლაქად, რადათა მუნ იყოფოდის. თა მისსა ადგ-
ილსა დაადგინა **სოვანე**, **სარკიანჴს** ძჴ, მთავა-
რეპისკოპოსად **სერუსალჴემს**, რამეთუ სიტყუად
მისცა, რადათა აღიაროს **სევეროს** და შეაჩუენოს
კრებად იგი **ჩალკიდონისა**. ღოლო დადგა იგი
თჳსა თავსა სეკდემბერისასა, ინდიკტიონსა
ათსა.

თა ვითარცა ესმა ესე ნეტარსა **საბას** და
სხუათა მამათა, უდაბნოსა მყოფთა, ვითარ-იგი
შეზრახულ იყო მთავარეპისკოპოსი **სოვანე**
სევეროსს, შეკრბეს და უწამებდეს მას და
თქუეს: **«იხილე, ნუ შეინყნარებ სევერიანჴს** ზი-
არებასა. ღოლო **ჩალკიდონისა** კრებულთათჳს
წინა-მოღუანე ვართ შენსა». **საშინ სოვანე**
მთავარეპისკოპოსი გარდაექცა დუქსსა, რა-
იგი აღუთქუა შიშითა ღირსთა მამათაათა. თა
ვითარცა ესმა **სნასტასის** მეფესა გარდაქცევად
იგი **სოვანჴსი**, განრისხნა ფრიად და უბრძანა
სლუმპისი დუქსისად ფერჴისა მოკუეთად და
მისსა ადგილსა მიავლინა **სნასტასი**, ძჴ **სამ-
ფილჴსი**, დუქსად **სალესტინისა**, რადათა დაა-

ჯეროს **ოვანწს სვეეროს** თანა ზიარებად და კრებად იგი **ჩალკიდონისა** შეაჩუენოს. ოკუეთუ ესე არა ყოს, ეპისკოპოსებისაგან განაძოს იგი. თა ვითარცა მოვიდა იგი **სერუსალემდ**, არა აცნობა მეფისა ბრძანებად იგი და მიესყულად შეაგდო იგი საპყრობილესა სამეფოსა. თა განხარეს ყოველთა წმიდისა ქალაქისა მყოფთა, რამეთუ იქმნა იგი მტერ და შინაგანმცემელ ნეტარისა **ლიაზსა**.

ხაქარია ვისმე ერქუა სახელი, რომელსა აქუნდა **ხესარიას** მთავრობად. სე იდუმალ შევიდა საპყრობილედ **ოვანწსა**, შეეზახა მას და ჰრქუა: «უკუეთუ გინებს, რაათა კეთილად იყოფოდი და ეპისკოპოსებასა არა გარდასდგე, ნუ შეინყნარებ **სვეერის** ზიარებასა, არამედ რცათუ ნება-ეც დუქსსა და თქუ, ვითარმედ: ვყო ბრძანებისაებრ შენისა. წრამედ, რაათა არავინ თქუას, ვითარმედ უნებლიად ვყავ ესე, განმიტევე მე აქაათ. თა შემდგომად ორისა დღისა კვრიაკვ არს და სიხარულით ვყო ბრძანებისა შენისაებრ». ღოლო დუქსსა ვითარცა ესმეს სიტყუანი ესე, მიიყვანა იგი ეკლესიასა თვსსა. თა ვითარცა განუტევა მთავარეპისკოპოსი, მწრაფლ წარავლინნა კაცნი და შეკრიბნა ყოველთაგან ადგილთა სიმრავლწ მონაზონთა **ოვანე** ეპისკოპოსმან ჩმიდად **ჩალაქად**. თა რომელთამე აღრაცხეს სიმრავლწ იგი კრებულისა მის და გვთხრეს, ვითარმედ იყო რიცხვ მათი ათი ათასი. თა ვითარ ვერ იტევდა ერთი ეკლესიათაგანი სიმრავლესა მას, უბრძანა შეკრებად ყოველთა კვრიაკესა წმიდისა და პირველმონამისა **სტეფანწს** ეკლესიასა, რამეთუ შესაძლებელ იყო ადგილი იგი სიმრავლისა მის დატევენად, და ამას თანა გულს-ედვა, რაათა მიეგებვოდიან იგინი **ჰპატის**, თვსსა მეფისასა, რამეთუ მაშინ განტევებულ იყო იგი ტყუეობისაგან ნათესავთა **ჰიტალიელთა** და მოვიდა **სერუსალემდ** ლოცვად.

თა ვითარ შეკრბეს ყოველნი მონაზონნი და მოქალაქენი წინა მოწსენებულსა სანატრელისა **სტეფანეს** ეკლესიასა, და შევიდეს მათ თანა **წნასტასი** დუქსი და **ხაქარია** მთავარი. თა ვითარცა შეკრბეს შინაგან მთავარნი იგი და კრებული ყოველი პირველმონამისა ეკლესიასა, ეგრე ეგონა დუქსსა, ვითარმედ იქმნას ბრძანებული მეფისად. შაშინ აღწდა საფსალმონესა ზედა მთავარეპისკოპოსი და მის თანა აღიყვანნა ნეტარი **ქეოდოსი** და **საბა**, წინამძღუარნი მონაზონთანი და მამასახლისნი. ღოლო

ყოველი იგი ერი ლალადებდეს და იტყოდეს: «მწვალებელნი შეაჩუენენ და კრებად იგი **ჩალკიდონისა** დაამტკიცე». შაშინ სამთავე მათ, ვითარცა ერთითა პირითა, შეთქუმით თქუეს: «შე-მცა-ჩუენებულ არს **წესტორი** და **სვტჯი** და **სვეეროს** და **სოტერიკოს** **ხესარია** **ხაბადუკია** და ყოველთა რომელთა არა მიითუალონ კრებული **ჩალკიდონისა**». თა ამათ სამთა ვითარცა ესე უქადაგეს, გარდამოწდეს მიერ.

ღოლო აბბა **ქეოდოსი** გარეუკუნიქცა და აღწდა მუნვე საფსალმონესა მას, აღიმაღლა წმად თვსი და თქუა: «რომელმან არა მიითუალონ ოთხნი ესე კრებანი, ვითარცა ოთხნი ევანგელენი, შე-მცა-ჩუენებულ არს». თა ესე ვითარცა იქმნა, შეეშინა დუქსსა მას სიმრავლისა მისგან მონაზონთა და ივლტოდა **ხესარიად**. ღოლო **ჰპატი**, მეფისა თვსმან, დააჯერა მამათა ფიცით, ვითარმედ: «მოვედ აქა და არა ვეზიარე **სვეერეს**, არამედ ვინრაფე, რაათამცა თქუენ თანა ღირს ვიქმენ ზიარებად». თა შეწინა ასი ლიტრად ოქროდ წმიდასა **წნასტასიასა** და წმიდასა **სოლოგოთასა** და **წხოველსა** **ჯუარსა**. თა მისცა **ქეოდოსის** და **საბას** ასი ლიტრად ოქროდ, რაათა განუყონ ამის ქუეყანისა მონაზონთა.

ღოლო მეფემან **წნასტასი** ვითარცა აგრძნა, რა-იგი იქმნა **სერუსალემს** შინა, განემზადებოდა ძლიერად მთავარეპისკოპოსისა **ოვანეს** ზედა **ქეოდოსისთვის** და **საბასთვის**, რომელნი თანა-ჰყვეს საფსალმონესა მას ზედა, რაათამცა ესენი განასხნა ამის ქუეყანისაგან. ღოლო **სერუსალემელთა** ეუნყა რისხვა იგი მეფისად, და ესე მონაზონებისა წინამძღუარნი და **წმრთისმსახურებისა** მოლუანენი და **მართლმადიდებლობისა** აღმსაარებელნი და წინა-მბრძოლნი **სარწმუნოებისათვს**, **ქეოდოსი** და **საბა**, ამათ შეიკრიბნეს ყოველნი მონაზონნი უდაბნოხსანი, დასხდეს და ზრახვა-ყვეს ურთიერთას და ერთგონება იქმნეს, ვედრებად და მოწამებად მეფისა მიწერეს, რომელსა წერილ იყო ესრე:

57. «შეფესა **წმრთისმოყვარესა** და **წმრთისმსახურსა** და **წმრთისა** მიერ დადგინებულსა და თვთმპყრობელსა **წნასტასის** **ჩრისტწსმოყუარესა** – ვედრებად და შევრდომად **ქეოდოსის** და **საბას** მიერ მთავარმამასახლისთა და ყოველთა მამასახლისთა, და ყოველნი რომელნი ჩჰიდიდა **ჩალაქისა** მონაზონნი არიან და გარემოხს მისსა მეუდაბნოენი და **სორდანისა**

მყოფნი. **შეუფემან** ყოველთამან იმერთმან და **ოფალმან** **ესუ** **ჩრისტემან**, **შხოლოდშობილ-**მან **ტემან** იმრთისამან, **ქომელმან** მოჰმადლა ყოველსა ქუეყანასა მეფობა და შენსა იმრ-თისმოყუარეობასა არწმუნა პერობად და დიდი მშკდობა და კეთილი შენითა იმრთისმოყუ-არებითა ყოველთა წმიდათა მისთა **სკლესია**-ათა. **ოფროს** ხოლო **შედისა** **სკლესიათა** **სიონისა** მშკდობა გინებს, რომელსა ზედა გამოჩნდა **ჩრისტვ** ცხოვრებისათვს სოფლისა და დამტკიცნა სარწმუნოებად, იწყო **სერუსა-**ლემით მახარებელთაგან ქადაგებად, და ყოველთა კიდეთა ქუეყანისათა ნათელი ჭეშმარიტი გამობრწყინდა.

ესე პატიოსანი და აღმოცენებული **ჩრის-**ტვს მიერ საიდუმლოდ, მძლვ და პატიოსანი **ჯუარი**, და განმაცხოველებელი აღსადგომელი და მერმე ყოველთა წმიდათა და თავყანის-საცემელთა ადგილთა სამართალი და ჭეშ-მარიტი აღსაარება და სარწმუნოება თავით-გან და დასაბამით სანატრელთა წმიდათა მო-ციქულთაგან ვისწავეთ ყოველთა წმიდისა ამის ადგილისა მყოფთა, შეუძრველად და გარდაუ-ქცეველად **ჩრისტვს** მიერ დაგვცავს და შეწე-ნითა იმრთისადათა დავიცვეთ და არა გუეშინის არარად წინა-აღმდგომთაგან ჩუენთა, ვითარ-ცა მოციქული გუასწავებს: „ნუ მიშუაქუთ ყოველსა მას ქარსა მოძღურებისასა ნებითა კაცთათა“ (ეფ.4,14), რომელთა განხრწნიან და აცთუნნიან და გარდაქციენიან გულნი უმან-კოთანი და წმიდად და უბინოდ სარწმუნოებად მათითა მედგრად დიდებითა შეაშფოთნიან.

შმას წმიდასა და უბინოსა სარწმუნოება-სა **ჩრისტვს** მიერ მეფობასა შენსა იმრთისა მადლითა იშევ და განიზარდე და ესოდენ მო-წიე, რამეთუ თვთმპყრობელობად ზეგარდამო მოიღე და ესრტთცა გურნამს, გარნა გკკვრს, ვითარ იმრთისმოყუარებისა მეფობისა შენისა ჟამთა ესევეთარი მოინია შფოთი და ჯდომად, და წმიდასა ზედა ქალაქსა **სერუსალემსა** აღდგა რისხვად შენი და განეფინა ვიდრე **შედისამდე** **სკლესიათა** **სიონისა** და წმიდისა და **შაცხო-**ვრისა ჩუენისა **სლსადგომელისა**, რომელნი შევედრებულ არიან შესავედრებელსა ყოველ-თა ჭირვეულთასა და ყოველისა სოფლისათა, რომელთა უნებნ ლხინებად ესე, იგი ადგილნი წმიდანი უბან და შეგინებულ ყვნეს. **ქომელნი** სახედ და მსგავსად იმრთეებისა შესწირვიდეს მამათმთავარნი და ანცა შესწირვენ, არა ხოლო

თუ ესენი, არამედ რომელნი მარტოდყოფნი გამოჩინებულ არიან ესევეთართა მამათა სახედ, **სურიათა** და **სამარიტელთა** გამოიყვანებენ წმიდისა **სიონისაგან** და თავყანისსაცემელისა **სნასტასია** **საგან** და ცხადად შეურაცხ-პყოფენ **ჩრისტიანეთა** და ბილნთა და არანწიდათა ადგ-ილთა მიჰზიდვენ და ესენი განწრწნად სარწმუ-ნოებასა აწუევენ. შა ესეცამცა უწყი, რომელნი უცხონი შემოვლენ ლოცვად, სარგებლისა წილ და აღშწნებისა დაპკოლებითა აღივსნიან და წარვიდიან თვსსა ქუეყანასა.

სწ სარწმუნოებისათვს წმიდისა ქალაქისა **სერუსალემისა** ესე ყოველი აღიძრა შფოთი, რომელი არს თუალი და განმანათლებელი ყოველისა სოფლისა, რომელი **სნგელოზი-**სა მიერ იქადაგა, და წინანარმეტყუელმან თქუა: „სიონით გამოვიდეს შჯული და სი-ტყუა **ოფლისა** – **სერუსალემით**. **ქომელნი** ველითა თვსითა იქმან სიმართლესა მკვდრნი წმიდათა ადგილთანი, რომელსა შინა განკაცე-ბად დიდისა იმრთისა და **შაცხოვრისა** ჩუენისა **ესუ** **ჩრისტვს** საიდუმლოდ იქმნა. შა ვითარ აწ, შემდგომად ხუთასისა წლისა და უფროს **ჩრისტვ** მოსლვითგან, **სერუსალემელთა** სარწ-მუნოებად სხუად ვისწავოთ. შმის გამოთ საც-ნაურ არს, ვითარმედ მომავალი ესე და ახალი სარწმუნოებად არა **ჩრისტვს** მიერი სამართალი არს, არამედ ანტექრისტვს სწავლად არს ახალი, და მშკდობასა **სკლესიათასა** შესძრავს და ის-წრაფის, რათა უშჯულოებითა მისითა ყოველი აღასრულოს.

შმათ ყოველთა ზედა წინამძღურად ნებითა თვსითა დადგა დასაბამითგან მწვალებელთა მათ **უწინამძღუროთა** **სევეროს**, **სნტიოქია-**სა მჯდომი, წარმწყმედელი სულისა თვსისა, რომელი ცოდვითა ჩუენითა დაჯდა საყდარ-სა მას. შა ამან წმიდანი და ნეტარნი მამანი ჩუენნი შეაჩუენნა და წმიდათა მოციქულთა მიერ მოცემული ჩუენდა და წმიდანი მამანი ჩუენნი, რომელნი შეკრებულ იყვნეს **ნიკეას** და რომელთა დაამტკიცეს სარწმუნოებად და ყოველნი განანათლნეს. შმისთვს **უწინამძღუ-**როთა მათ ზიარებასა და მის თანა შერთვასა ყოვლადვე უვარს-ვპყოფთ და ვევედრებით შენსა იმრთისმოყუარებასა, რათა შეინყალო **შედა** ყოველთა **სკლესიათა** **სიონი**, რომე-ლი შეეწევის იმრთისმოყუარებისა შენისა მე-ფობასა. შა ესე გინებული ადგილი ადიდე და ბრძანე, რათა დაეყენოს ყოვლად მოწვეწუ-

ლი იმრთისა ჴალაქსა ზამთარი. ცხოვრებასა და სიკუდილსა შოვრის სიმართლისა სარწმუნოებისათს უმჯობეს არს ჩუენდა სიკუდილი. ღოლო რომელნი მტერნი არიან უკლესიათა იმრთისათანი და გარემო მისსა მბრძოლნი, მათ შევაჩუენებთ. უინა სახითა, გინა სიტყუთა არასადა ვეზიარნეთ, რამეთუ იმრთისა მიერ გუაქუს სარწმუნოებად წმიდათა მოციქულთად, რომელსა ზედა ვდგათ და ვიქადით სასოებითა იმრთისა მიმართ.

ურთობად გონებისად და სარწმუნოებისად გუაქუს ჩუენ ყოველთა იმრთისა მიმართ წმიდისა ამის ქუეყანისა მყოფთა. ოთხნი ესე წმიდანი ღრებანი, ვითარცა ოთხნი შახარებელნი, ქებულნი ერთად, დიდებულნი ერთითა სულითა და სიბრძნითა და მბრწყინვალეობითა. წმათითა ოხითა და ვედრებითა იმერთმან ჩუენ ყოველნი აღგუადგინნა წინა-აღმდგომისა ამისგან შჯულისა და საცთურისა, რომელთა სიტყუად ხოლო აქუს და არა ძალი. ღოლო ჩუენ განგუანათლნა ამათ ოთხთა შახარებელთა მიერ ხატითა და ძალითა. უსე წმიდანი ღრებანი, რომელ შეკრბეს მბრწყინვალენი და მართალნი მწვალებელთა ზედა ესრწთ: სამას ათრვამეტნი წმიდანი, შეკრებულნი **ჩიკუას** ქალაქსა უღმრთოხსა **სრიოზის** ზედა, და რომელნი მას მიუდგეს, და სხუანი კუალად შეკრებულნი სამნი ესრწთ: ასერგასისნი სულთა წარმწყმედელისა **შაკედონის** ზედა **ხოსტანტინეპოლისის**, და **უფესოასანი** ორასნი შემდგომად მათსა უღმრთოხსა და კერპთმსახურისა **ჩესტორის** ზედა, ეგრევე შემდგომად ამათსა **ქალკიდონს** ქალაქსა შეკრბეს დამტკიცებულნი წარწყმედულისა **ჩესტორის** ზედა შეჩუენებულისა და განძებულისა და შეჩუენებულისა **უვტუქის** ზედა.

შა ამათ ოთხთა წმიდათაგან შეკრებულთა ერთობითა მოციქულთა სარწმუნოებითა, ვითარცა მრავალჯერ თქმულ არს, მოგვთუალავს ჩუენ ყოველთა, წმიდისა ამის ადგილისა მყოფთა და ამათ შინა იმრთისა მიერ დამტკიცებულთა. ღოლო რომელი ამას სარწმუნოებასა ზედა არა დგას და არა ესავს, ვერვის ძალი-უც ჩუენი მათ თანა შეყოფად, ბევრეული ღათუ სიკუდილი წინა გუედვას. უარნა დაჯერებისა შენისათს, თვთმპყრობელო, და ესეცა თქმულსა ამას ზედა შევსძინო, ვითარმედ შეჩუენებულმცა არს შჯულითურთ მისით **ჩესტორი** სახელითა ჴრისტწს იმრთისა ჩუენისათა და რომელი მისსა ზრახვიდეს, გინა რომელმან

თქუას ერთი ოფალი ჩუენი უესუ ჴრისტე, ძედ იმრთისად შხოლოდმობილი, ჴომელი ჩუენთს უუარს-ეცუა, ორად ძედ, რომელსა-ესე გულსა მოუწდეს, შეჩუენებულმცა არს! ერთისა იმრთეებისა ძალსა, რომელი ორად ბუნებად განჰყოფდეს ესევეითარი სულთა მავნებელი გინა საქმითა, გინათუ სიტყუთა, შე-მცა-ჩუენებულ არს! ამათ თანამცა შეჩუენებულ არს **უვტუქი**, რომელმან იმრთეებად განწვალა სახითა თსკითა, ხოლო იმრთისა განკაცებად და ურთარსობად ოფლისა ჩუენისა უესუ ჴრისტწსი და ჩმიდისა სამებისად ვითარ ამათ უვარ-ყვეს თანა-ყოფითა უღმრთოხსა **ჩესტორისითა**, რომელი შეაჩუენეს წმიდათა მამათა, რომელნი წინა წერილ არიან.

უსე წიგნი სარწმუნოებისად და ვედრებისად მიითუალენ შენმან იმრთისმოყუარებამან ჩუენ ყოველთაგან გლახაკთა, შენთა მლოცველთა, და დაგაჯერენ იმერთმან, რადთა განაშოვრნენ და უკუნადგინნენ, რომელნი იკადრებენ ყოველსა ჟამსა და რომელნი მონევენულ არიან შფოთნი წმიდასა ამას ზედა იმრთისა ჴალაქსა, და ღირსისა მამისა ჩუენისა მთავარეპისკოპოსისა **უოვანწსთუს** სახელითა შენითა, იმრთისმოყუარწ. უარნა და-მცა-ჯერებულ არს შენი თვთ-პყრობად იმრთისა მიერ და რჩეულთა წნგელოზთაგან, რამეთუ არა თანა-შევერთნეთ რომლითავე სახითა გინა სიტყუთა გარდაქცეულთა მათ მწვალებელთა, არცა შევიწყნარნეთ თვნიერად კანონთა შჯულისა გინა ტანჯვისა. უერცა გარდავაქციოთ სარწმუნოებად და შჯული, გინა **ოწინამძღუროთაგანი** თუ ვინმე იკურთხოს, ჩუენსა შჯულსა არა შემოვირთოთ ეგევეითარი იგი. ოკუეთუ უნებლნებით ესევეითარი ესე ცოდვათა ჩუენთათს შეგუემთხუეოდის ანუ მოიწიოს, ამას ვწამებთ წინაშე წმიდისა და ერთარსობისა სამებისა და შენისა იმრთისმოყუარებისა, რამეთუ ჩუენ ყოველნი განმზადებულ ვართ დათხევად სისხლთა ჩუენთა, და ყოველნი ესე წმიდანი ადგილნი ცეცხლითა მოიწუნენ, ვიდრელა არანმიდასა ამას ქალაქსა თუ ესევეითარი რადმე იქმნეს. ჩუ მცირე გგონიეს წმიდათა ამათ ადგილთად გინებად და შეურაცხებად.

ღოლო მშვდობამან იმრთისამან, რომელი ჰსცავს ქმნულთა თსსთა, დაამტკიცენ წმიდად უკლესიად და დააცხრვენ, რომელი მონევენულ არს მას ზედა საცთური მოხედვითა შენ თვთმპყრობელისადათა დიდებად მისა და სიქადუ-

ლად შენისა იმრთისმოყუარებისა მეფობასა. წმისვე წიგნისა სწორი სავედრებელი მიუძღუ-
ანეს მამათა ჩუენთა ნეტარსა **სოვანეს**, მთავა-
რებისკოპოსსა **ხოსტანტინეპოლელსა**, რომელი
შემდგომად **ქიმოთქსა** დადგომილ იყო».

სე სავედრებელი რად მიაართუეს მეფესა **სნ-
ასტასის**, და იგი შეძრწუნებულ იყო წინა-აღმ-
დგომთაგან ნათესავისაგან **ქიტანიელთა**სა
ბრძოლისათჳს მთეულთა. სანიზრახა გულსა
თჳსსა და დადუმნა ჯერეთ და **სოვანე** ეპისკო-
პოსი არა გარდაადგინა საყდართა ჯდომისაგან
სერუსალემისა. სრამედ აწვე სათქუმელ არს,
ვითარ-იგი წმიდათა მამათა ლუანლნი ყვნეს.
სოდენ ვერ შესაძლებელ არს, ვითარ ამის
მარტოვსა მამისა ჩუენისა **საბა**სი მოსაწყენ-
ებელ არს და დასამტკიცებელ და სარგებელ.

58. ჟუეყანისა **სნგელოზი** ნეტარი **საბა** და
ზეცისა კაცი, ბრძენი და სარწმუნო მძღუ-
არი, მართლდიდებისა თანა-მზრახი და გარ-
დაქცევისა შემასმენელი, სარწმუნო და ბრძე-
ნი განმგებელი გამოჩნდა, რომელმან მცირედი
ტალანტი მიიღო და განამრავლა, რომელმან
მაღლით ძალი შეიმოსა ნებითა იმრთისა და
შამისაათა და შეწევნითა ჴრისტქსითა და ქა-
რითა სულისა მძიდისაათა უდაბნო ქალაქ ყო
სიმრავლითა მონაზონთაათა და შუდი მონას-
ტერი საქებელი აღაშქნა, რომელნი არიან ესე:
ლაგრათა შოვრის შიდი ესე **ხავრა** **სალეს-
ტინესა** შოვრის და ამისსა შემდგომად **ჩეა-
ლაგრა** და რომელსა შრქჳან **ჴუდპირი**. ღოლო
მონასტერთა შოვრის **ხასტელისი** და **სპილეონ-
თა** და **სქოლარისი** და **ხანქსი**. ჴოველთა ამათ
ერთბამად ილუნდა და ამათცა ორთა მონას-
ტერთა პირველთა წმიდათა მამათასა ილუნდა:
სვთუმისა და **ძეოქსიტქსისა**.

სმათ მონასტერთა განგებასა და ლუანლსა
შინა იყო, არა მოუგო მათ დაბად გინა ქუეყ-
ანად, არამედ სარწმუნოებითა და სასოებითა
იმრთისაათა ილუნდა და არასადა შევარდა
ესე გულისსიტყუასა ზრუნვისასა, არა ხოლო
თუ ფართოებასა, არამედ არცაღა ჟამსა სი-
ყმილისასა. ჴამეთუ ვინაითგან განაძეს მთა-
ვარებისკოპოსი **სლია**, დაეწმა ცაჲ და არა წჳმა
ხუთ წელ და უწჳმრობასა თანა მოჴდა მკალი
ქუემგოგვარი ფრიად, რომლისაჲ არა იყო
რიცხჳ, და მოქამა ყოველი პირი ქუეყანისაჲ.
ნა მეორესა წელსა შემდგომად მოსლვისა მის
მკლისა მოვიდა სხუად მკალი და დაჴფარა ცაჲ
და შექამნა ყოველნი ხენი ქუეყანისანი. ნა იყო

სიყმილი ძლიერი და სიკუდილი. სევეითარი იხ-
ილეს რისხვად მონეწული, იტყოდეს **სერუსა-
ლემელნი**, ვითარმედ რომელ-იგი იქმნა საქმქ –
მთავარებისკოპოსისა **სლია**ს მიმართ ცოდვაჲ
5 განძებისა მისისაჲ – ამისთჳს მოწნია ესე ყოვე-
ლი ჩუენ ზედა.

შაშინ წმიდამან მამამან ჩუენმან **საბა** მონას-
ტრისა მისისა მამასახლისთა ნუგეშინის-სცა
და აზრახებდა მათ: «ნუ ჴზრუნავთ ჴორცთა
10 საზრდელსა». ნა მუაჴსენებდა მათ სიტყუასა
ოფლისასა, რომელსა იტყჳს: «ნუ ჴზრუნავთ
და იტყჳთ, რად ვქამოთ ანუ რად ვსუათ ანუ
რად შევიმოსოთ. სცის შამამან თქუენმან ზე-
ცათამან, რად გიჴმს ამათსა უფროს. ღოლო
უნინარქს ამისა ეძიებლით სასუფეველსა ნათ-
15 ასა, და ესე ყოველი უმეტქსი მოგმადლოს
თქუენ»(მთ.ნ,ჴ1-ჴ3). სარნა მოხუცებული ესე
იმრთისა მიერ ესრქთ ესვიდა. წმას რად ას-
წავებდა ძმათა, იმერთი მოსცემდა მას, რად-იგი
უჴმდა, რამეთუ უფროს ნაკლულევან იქმნეს,
რომელნი ესვიდეს სიმდიდრესა, ვიდრელა ამის
ქუემე განგებულნი მონასტერნი და ლაგრანი.

შას ჟამსა ოდენ სიყმილისასა მოვიდა ნე-
ტარისა მის ჴკონომოსი შიდისა **ხავრისა** და
შრქუა მას: «არარად გუაქუს, მამაო, რადთამცა
დაურეკეთ ამას შაბათსა გინა კჳრიაკესა, არ-
25 ცაღა თუ შთასარლუნელად მამათა, რომელნი
შემოკრბენ». ნა შრქუა მათ მოხუცებულმან
მან: «მე იმრთისმსახურებაჲ არა დავაყენო.
30 ოკუეთუ ნაკლულევან რადთმე ხართ, არქუ
დეკანოზსა და ჴურქერი ეკლესიისაჲ გინა სა-
მოსელი მისცეს მეზედაშესა, განყიდოს იგი და
მოიღოს საჴმარი, გარნა ჩუენ მსახურებაჲ იმ-
რთისაჲ აღვასრულოთ. ღოლო სარწმუნო არს
35 სგი, ჴომელმან თქუა: „ნუ ჴზრუნავთ ხვალი-
სათჳს“ (მთ.ნ,ჴ4).

ნა ამისსა შემდგომად, დღესა პარასკევსა,
მოვიდეს ვინმე მძიდისა ჴალაქისანი ღვნის
მსყიდელნი, **სოზა**ს ყრმანი, და აქუნდა მათ
თანა ოცდაათი კაჴრუელი, აღგებული ღვნითა
და პურიითა, იფქლითა და ზეთითა, თაფლითა
და ყველითა, და აღავსეს სახლი ჴკონომოსისაჲ
ყოველითა კეთილითა. ნა ყვეს დღესასწაული
მამათა დიდი მას დღესა შინა. შაშინ ნეტარი
45 იგი ბერი აყუედრებდა ჴკონომოსსა და შრქუა:
«რასა იტყჳ, უფალო ჴკონომოს, დავაყენოთა
რეკად?» ხოლო ჴკონომოსსა დაედვა განკრვე-
ბად და შეუვრდა ფერჴთა მისთა და შრქუა მას:
«შემინდვე მე, მამაო». ღოლო ბერმან აკურთხა

იგი, ასწავებდა მას და ჰრქუა: «ნუსადა შესძრ-
ნუნდები, არამედ სარწმუნოებითა განძლიერ-
დი და გულისზრახვად შენი მიუტევე იმერთსა,
რამეთუ ჴი ზრუნავს შენთვის».

59. შოვიდეს წმიდისა ამის ბერისა მამანი, რომელნი იყოფოდეს **სპილეთონისა** მონასტერ-
სა, და თქუეს, ვითარმედ: «მწყემსნი მოვიდიან
და გუანყინებენ, რამეთუ მოასხიან სამწყსომ
მათი ადგილთა მონასტრისათა და ურცხვნიოდ
როჭიკი მიგუჴადიან და არცალა თუ მშვდობით
სხდომად გკტევებენ». თა ესე ვითარცა ცნა
ბერმან, მიავლინა მათა რისხვით და შჯული
შეუთხრა მათ, რაათა არა მიეახლნენ მონას-
ტერსა. ღოლო მათ არა ისმინეს მისი. თა მყის
ძუძინი საცხუვართა მათთანი დაიყვნეს და
სძე არა გამოუტევეს, და ამის გამო კრავნი და
თიკანნი მათნი მოსწყებოდეს. ღოლო უცებთა
მათ და უგუნურთა მწყემსთა გულისხმა-ყვეს,
ვითარმედ შეურაცხებითა მით ნეტარისა ბერ-
ისა სიტყვსა სიკუდილი საცხუვართა მათთად
მოინია. თა სირბილით მოვიდეს ბერისა, შეუ-
ვრდეს მას და აღუთქუეს, რაათა არღარა შეე-
ახლნენ რომელსავე მისსა მონასტერსა. ღოლო
ბერმან ვითარცა მოილო სიტყუად მათგან,
ულოცა მათ, აკურთხნა იგინი და განუტევენა.
თა იგინი ვითარცა წარვიდეს, პოვეს სძმ გამომ-
დინარძ დაუპკოლებელად და ჰკითხეს თანათა,
ვითარმედ: «რაა ჟამ იწყო დინებად სძემან?»
ხოლო მათ ვითარცა უთხრეს, გულისხმა-ყვეს
ჟამი იგი, რომელსა ულოცა ბერმან. შასვე ჟამ-
სა სძემან იწყო დინებად, და აღიდებდეს იგინი
იმერთსა.

60. შეოთხმეოცესა წელსა ჰასაკისა მისი-
სა ჟამთა წარვიდა წმიდად მამად ჩუენი **საბა**
საღლად დღეთა ზაფხულისათა, ინდიკტიონსა
ათერთმეტსა, რამეთუ ბრძანებითა იმრთისა-
თა წარვიდა იგი ხილვად მთავარეპისკოპოსი-
სა **ლიადასა**. ძანა-ჰყვანდეს **სტეფანე**, დიდისა
სეთუმის მონასტრისა მამასახლისი, და **სეთა-**
ლი, მამასახლისი მონასტრისა, რომელი ემძ-
ნა **ლიას სერიქოს**. სენი ვითარცა იხილნა
ნეტარმან **ლია**, სიხარულით მიითუალნა და
დაიყენნა მის თანა რაოდენმე დღე. თა არა
იხილნის იგინი მწუხრისა ჟამისა განტევებით-
გან ვიდრე ცხრა ჟამადმდე. ღოლო ცხრა ჟამს
ოდენ გამოვიდის მათ თანა, იხილნის და ეზი-
არის და გემოდ იხილის მათ თანა. თა მწუხრისა
ჟამითგან კუალად არღარა ერუენის მათ. თა ვი-
თარ იგი ესრტთ ჰყოფდა, შეემთხვა მას თუესა

ივლისსა ცხრასა არა გამოსლვად ჟამსა თვსსა.
თა იგინი ელოდეს მას, არცა ეზიარნეს, არცა
გემოდ რადასა იხილეს. თა ვითარცა გამოვი-
და იგი მეექუსესა ჟამსა ღამისასა, ჰრქუა მათ:
5 «აღდეგით, ეზიარენით და მიიღეთ საზრდელი,
რამეთუ მე არა მცალს». ღოლო ნეტარმან **საბა**
შეიპყრა იგი და რეცათუ აძღვედა მას და ჰრ-
ქუა: «რადასათვს არა მოხუედ?» ხოლო ნეტარ-
მან **ლია** ცრემლნი გარდამოსთხინა და თქუა:
10 «ამას ჟამსა აღესრულა მეფე **სნასტასი**, და
მეცა წარსლვად ვარ შემდგომად ათისა დღისა
და საშველი ვყო მის თანა». თა შჯული შეუთხ-
რა მონასტერთა მათთვის მისთა, რაათა შემდ-
გომად აღსრულებისა **სეთალისა ჩესტაბოს** და
15 **საქარია** დადგენ ადგილსა მისსა მონასტერთა
მისთა და შეჩუენებაცა დადგა, რაათა არავინ
განყვენეს ურთიერთას მონასტერნი მისნი.

თა ესე ვითარცა თქუა, შემდგომად მერვისა
დღისა სახილავისა მის, არარადასა გემოდ იხილა,
20 გარნა ზიარებად და წყალი ტფილი ხოლო, და
მცირედ დასნეულდა. თა მის თანა დაადგრა სამ
დღე ნეტარი მამად ჩუენი **საბა**, თუესა ივლის-
სა, მეოცესა დღესა, ეზიარა და ილოცა. თა
ვითარ თქუა: „ამენ“, მშვდობით მასვე ზედა
დანვა და დაიძინა ოთხმეოცდამერვესა წელსა.
25 ღოლო ნეტარმან **საბა** დაისწავა დღე იგი, რა-
ჟამს იხილა ნეტარმან **ლია** სახილავი იგი. თა
ვითარ მოვიდა **სერუსალემ** ნეტარი **საბა**, ესმა
მას, ვითარ-იგი თუესა ივლისსა, ათსა, იხილა
30 სახილავი იგი ნეტარმან **ლია**. შასვე დღესა
შინა პალატსა მეფისასა იყვენეს ქუხილნი და
ელვანი **სნასტასი** მეფისა ზედა. თა იგი ვითარ
იურვოდა და ივლტოდა ადგილითი-ადგილად
და სახლითი-სახლად, სანვოლსა მისსა ენია მას
რისხვად. თაგდო და მოკლა იგი, და მყის იპ-
ოვა მკუდარი. თა ვითარ აღესრულა **სნასტასი**
მეფე, დადგა მის წილ **სუსტინოს** მეფედ. თა
შჯული განთქუა ყოველთა ადგილთა, რაათა
35 **სნასტასის** განსხმულნი შემოკრბენ თვსთა
ადგილთა და **ქალკიდონისა** კრებად დაწესებად
საღმრთოთა შინა მოსაწყსენებელთა სახელთა.
თა ვითარცა ბრძანებად **სუსტინე** მეფისა
მოინია **სერუსალემ**, შეკრბა სიმრავლძ მონა-
ზონთად და ერისკაცთად, და მათ თანა შევიდა
45 ნეტარი **საბა** და კრებულნი ეპისკოპოსთანი. თა
ყვეს დღესასწაული თუესა აგვსტოსსა ექუსსა,
და განაცხადეს ბრძანებად იგი მეფისა და დაი-
წერნეს ოთხნი ესე ღრებანი მოსაწყსენებელსა
საღმრთოთა სახელთასა.

61. შაშინ მთავარეპისკოპოსმან **სერუსა-
ლემისამან** **შოვანე** დააჯერა წმიდასა მამასა
ჩუენსა **საბას**, რადთამცა წარვიდა **ხესარიად**
და **სკუთოპოლისა** და სხუანი მამასახლისნი
უდაბნოხსანი თანა-წარაყვანნა მას, რადთამცა
განაცხადეს მეფისად იგი ბრძანებად და ოთხნი
იგი ზრებანი დაწერად საღმრთოთა მოსაწყენ-
ებელთა სახელსა. წითარცა მიიწინეს იგი-
ნი **ხესარია** ქალაქად, შეემთხვა მათ ნეტარი
შოვანე ჭუზიბელი, რომელი ღირს ქმნულ
იყო მღვდელთმოდურებასა. **შა** მუნ წარიკ-
ითხეს და აღასრულეს მეფისა ბრძანებად და
მიერ წარვიდეს და მივიდეს **სკუთოპოლისა**. **შა**
გამოვიდეს ყოველნი მოქალაქენი და მიეგებ-
ვოდეს მათ, და მათ თანა წმიდად ეპისკოპოსი
მათი, რომელსა სახელი ერქუა **ქეოდოსი**, და
შეემთხვნეს მათ ეკლესიასა წმიდისა **ქომა** მო-
ციქულისასა. **შა** შევიდეს ქალაქად გალობით
და ყვეს კრებად პირველსა ეკლესიასა და მუნ
წარიკითხეს ბრძანებად მეფისად და დაწერნეს
ოთხნი ზრებანი მოსაწყენებელსა საღმრთოთა
სახელთასა.

სეო ვინმე **სკუთოპოლისს** კაცი სქოლას-
ტიკოსი, რომელ არს ბრძენი, რომელსა სახელი
ერქუა **შოვანე**, ნათესავით ხარკისა შემკრებე-
ლი, კაცი კეთილი და სულითა მბრწყინვალე.
სე მოვიდა წმიდისა მამისა **საბაჲსა** საეპის-
კოპოსოდ და **სილოვანწესთს** **სამარიტელი-**
სა შოვა სიტყუად წარმოიღეს, ვითარმედ ესე
შემძლებელ იყო ბოროტის ყოფად ესოდენ და
სამეფოს ზენაცა ჭრისტიანეთა შემასმენელ.
სკუთხრობდა ჩუენ **შოვანე** ეპისკოპოსი ამისსა
სიმედგრესა და იმრთისა მიმართ გმობისა. **შა**
ვითარცა ესმა ესე წმიდასა მამასა ჩუენსა **სა-
ბას**, აღივსო სულითა მბრძენითა და ჰრქუა ეპის-
კოპოსსა და რომელნი წინაშე დგეს: «აჰა ესერა
დღენი მოვლენან, იტყვს ოფალი, და აღესრუ-
ლოს **სილოვანწეს** ზედა თქმული **წავითის** მიერ
ერგასის და ერთსა მსაღმონსა, ამასვე ქალაქსა
შოვა ცეცხლითა შემწუარ იქმნეს». სე წი-
ნანარმეტყუელა **სილოვანწეს** ზედა.

62. **შა** არს მონასტერი ერთი, რომელსა სახე-
ლი ჰრქვან **წითენანეთ**, მახლობელად ადგილთა
წმიდისა **შოვანწესთა**, რომელსა შინა იყო მარ-
ტოდემყოფი, რომელსა სახელი ერქუა **შოვანე**,
სულითა ბრწყინვალე, და აქუნდა მას ცნობად
იმრთისა მიერ. **შწუხარე** იყო იგი თუალითა
დიდითა ღამის-თევითა მისითა და ცრემლი-
თა და სიგრძითა სიბერისადათა. სე გარდას-

რულ იყო ასსა ნელსა, დაეყო მას მონასტერსა
შინა ოთხმეოცი ნელი, და გარე-გამოუვალად
– ერგასისი ნელი. **შმის** საკურველისა კაცისა
მივიდოდა ნეტარი **საბა**. **შა** ვითარ წარვიდო-
და შოვა ქალაქსა, მიიწია ადგილსა, რომელსა
ჰრქვან კამარად წმიდისა **შოვანწესი**.

შა იყო ვინმე დედაკაცი, რომელსა აქუნდა
დინებად სისხლისა. **შა** მრავალი ჟამი დაეყო
სწეულებასა მას შინა და ესოდენ სიმყრალე-
სა მიწვეულ იყო, რომლითა ვერვის ძალ-ედ-
ვა მიახლებად მისა. **შა** წვა იგი დასავალით
კერძო სტოვასა მის უბნისასა. **შმას** ვითარცა
ესმა წმიდისა მამისა ჩუენისა **საბაჲსი**, წარ-
მო-რად-ვიდოდა უბანსა მას ერისა მრავლისა
თანა, იხილა იგი, ღალატ-ყო და თქუა: «შემი-
წყალე მე, მონაო ჭრისტწესო **საბა**, და განმა-
რინე მე მოწვეულისა ამისგან განსაცდელისა». **ქოლო**
ნეტარსა მას ვითარცა ესმა ვამა მისი,
შეწყალა იგი და მივიდა მისა სტოვასა მას და
ჰრქუა მას: «რადმცა მიგეც შენ, არარად მაქუს,
გარნა რად-იგი მაქუს, მიგეც – ჴელი ესე ჩემი,
მიიღე და დადევ საღმობასა შენსა. **შა** ვესაგ
იმერთსა, რომელსაცა ვჰმსახურებ, ვითარმედ
განიკურნო». **შა** მან ვითარცა მიიღო წმიდი-
სა მის ჴელი, დადგა იგი მის ჴედა, და მუნ-
ქუესვე დადგა დინებად იგი სისხლისა მის, და
განიკურნა დედაკაცი იგი მიერ ჟამითგან. სე
სასწაული, ვითარცა თქმულ არს, პატიოსანო
მამაო, ჩანს ვიდრე დღენდღელად დღედმდე
ჩუენ შოვრის.

63. **ხაცი** ვინმე იყო მასვე დედაქალაქსა
შინა და ესუა მას ასული მტერისაგან ვნებუ-
ლი. **შმას** ჰრწმენა და მოიყვანა იგი ნეტარისა
ბერისა მასვე მონასტერსა, რომელსა ჰრქვან
წითანანეთ, და უთხრა მას, რომელთა ჭირთა
შეამთხუევდა მას ბოროტი იგი ეშმაკი. **ქოლო**
საკურველთმოქმედმან მან ბერმან ვითარცა
იხილა იგი, შეწყალა მას და მოღებად სცა
ჯუარისა **ცხოველისა** ზეთი. **შა** გარდაიყვანა
იგი მტილად თვისისაგან და მამად მისი მის თანა
და უბრძანა განძარცუვად მისი, და სცხო მას
ჯუარისა **ცხოველისა** ზეთი თავითგან ფერ-
ჯადმდე მისა და განდევნა მისგან არანმიდად იგი
სული, და განიკურნა ქალი იგი მიერ ჟამითგან.
ქოლო მამასა ჩემსა **შოვანე** ერქუა, რომელი
ჰხედვიდა საკურველისა საქმესა, რომელსა იქ-
მოდა ნეტარი იგი, და შეუდგა მას მსახურად
და მიერ დღითგან არლარა განეშოვრა წმიდასა
ბერსა ყოველთა დღეთა ცხოვრებისა მისისათა,

არამედ ისწავებდა იგი მონაზონებასა და წურთასა, ვინათგან სახლი ჩუენი მოსლვასა მისსა ღირს იქმნა კურთხევასა, და დედამან ჩემმან განიხარა მისითა კურთხევითა და მოსლვითა. თა წუ გიკუირნ ესე, ღირსნო მამანო, რომლისაჲ ესე ჭეშმარიტად იცით, რამეთუ აღწერილი ესე სამართალ არს, და ესე აღვწერეთ სარგებელად სულთა მათთა, რომელნი ამას იკითხვიდენ.

64. თა ვითარ უკმოვიდეს **სკუთოპოლისით** და მოვიდეს ჩმიდად ჴალაქად ნეტარი **საბა** და მისთანანი იგი, და მთავარეპისკოპოსმან **სოვანე** ჰხადა პურად ნეტარი იგი და სხუანი მამასახლისნი უდაბნოჲსა მონასტრისანი, თანანი მისნი და **სნტონი**, თუსი ძმაჲ, რომელი **სსკალონს** ეპისკოპოს იყო. **ხოლო** წმიდასა **საბას** ესეცა აქუნდავე სხუათა მადლთა თანა: ესოდენ მმრახველი იყო, რამეთუ ყოველნი მარხვანი უპუროდ გარდავლნის და არა მოუძღურდის, შურებინ სიცხესა მრავალგზის და ყოველთა დღეთა ცხოვრებისა მისისათა შუდეულთა მარხვით აღასრულებდა. თა უკუეთუ მოვინვიდის სტუმარი მისა და თუ განწინიან, დღესა ორჯერ ჭამის და განძლის და გარდაერის, და სიყუარულითა სტომაქსა არა ევნის. **სე** ნეტარი დაისუა მახლობელად მთავარეპისკოპოსმან და დაუდვის მის წინაშე პური და სხუად, რომელი წინა უგიენ მას. თა ეგრეთვე თანადისუა მარჯუენით **სნტონი**, ეპისკოპოსი **სსკალონისაჲ**. **ხოლო** ნეტარი მოხუცებული იმრთისა მიერ არარას განიკითხვიდა, არამედ გულითა წრფელითა მიიღებდა, რომელსა მისცემდა მას მთავარეპისკოპოსი და ორთავე მათ შოვრის ძმათა და მღდელთმთავართა ჯდა და წუევეთა ვერ მოსცალდებოდა. **ჩა**ათა კუალად ვთქუა მოწსენებისა მისისათუს, რომელი ჰრქუა მათ: «მიტევეთ, მიტევეთ, მამანო, მე, რომელი მიწმდეს, იგიცა ვჭამო».

შაშინ დიდმან აბბამან **ჴეოდოსი** რეცათუ განცხრომით თქუა: «**აფა**ლსა **საბას** ესოდენ ჰშიან, რამეთუ თქუენ ორთავე, რომელთა შემდგომად იმრთისა თაჲადი **სალესტინს** გამოჰზარდეთ ჟამსა სიყმილისასა», მიკვრს თუ ეგე განვითარადლოთ საჭმლითა. **ხოლო** მთავარეპისკოპოსმან ჰრქუა: «შემინდვეთ, მამანო, რამეთუ ჩუენ ვერცა შიმშილსა დაუთმოთ, ვერცა სიმაძღრესა. **ხოლო** ამას იმრთისა კაცსა მოციქულთაჲ იგი აქუს მადლი, იცის დამდბლებადცა და აღმაღლებადცა და ყოველსა ერთობით ემსგავსების, იცის მაძღრობად და

სიმშლი, გარდამატებად და ნაკლულევანებაჲ და ყოვლითავე განძლიერებულ არს ძლიერებითა ჴრისტჴსითა». **სე** ნეტარი მამად ჩუენი **საბა** გულისხმისყოფითა ბრძენ და მშუდ საქმითა და წრფელ სახითა და საესე ყოვლითა სულიერებისა სიბრძნითა და ძალითა. **ხოლო** სიყუარული აქუნდა შეუნანებელი და სრული მამისა ჩუენისა მიმართ **ჴეოდოსისა**, იგივე სამართალი სიყუარული აქუნდა ამას მამისა ჩუენისა მიმართ **საბასა**.

სეენეს ესე ორნივე ჭეშმარიტად შვილნი ნათლისანი და შვილნი დლისანი და კაცნი იმრთისანი, კეთილნი მორწმუნენი; ნათელნი სოფლისანი გამობრწყინდეს, რომელთა აქუნდა სიტყუად ცხოვრებისაჲ; სუეტნი, დამტკიცებულინი სიმართლისათუს, კაცნი სასურველნი, ჭეშმარიტნი ესე ორნივე, და წინამძღუარნი მონაზონთანი. **ჩმი**და **ჴეოდოსი** წინამძღუარ იყო და მთავარმამასახლის ყოველთა მონასტერთა, რომელნი არიან გარემოჲს ჩმიდასა ჴალაქსა, რომელნი ავლენენ კანონსა მონასტერთასა, ვითარცა ზემო წერილ არს, **ხოლო** ნეტარი **საბა** მთავარ იყო და შჯულისმდებელ ყოველთა მარტოდმყოფთა უდაბნოჲსათა და ყოველთა, რომელთა მარტოდ სენაკსა ყოფად უნებნ.

სე ნეტარნი მთავარმამასახლისად დაადგინნა ვედრებითა ყოველთა მონაზონთაჲთა წმიდამან **სალოსტი** მთავარეპისკოპოსმან, ვითარცა მეუდაბნოენი და ამის სოფლისა არა მზრუნველნი. **თა** წესი მონაზონებისაჲ სამართლად გაჰმართეს და მრავალნი იმრთისმსახურებასა მოაქციენეს. **თა** ოდეს მივიდიან ხილვად ურთიერთას და ზრახვასა სულისასა ზრახვედ, ამისთუსცა უმრავლჴს ეტყუნ წმიდაჲ **საბა** ნეტარსა **ჴეოდოსის**: «**აფა**ლო აბბა, შენ ყრმათა მამასახლისი ხარ, **ხოლო** მე მამასახლისთა მამასახლისი ვარ, ამისთუს რამეთუ თითუეული, რომელი ჩემ ქუეშე არს, თვთ ჴელმნიფე არს და თუსისა სენაკისა მამასახლისი არს». **თა** ამას ვითარცა ეტყოდა ნეტარი იგი, არა ფიცხელ მიჩს სიტყუად ესე, არამედ ტკბილ და კეთილ მოყუარისაჲ მოყუარისა მიმართ. **თა** ესე ამათუს ითქუა.

65. **შე**ოთხესა წელიწადისა დასრულებასა მის უწმკრებისასა **სპილეონისა** მყოფნი მონაფენი წმიდისა მამისა ჩუენისანი მოვიდეს **ში**დსა **ზა**ვრასა და ჰრქუეს: «განგვტევენ ჩუენ, მამაო, რამეთუ ვერ ძალგვც ჩუენ მონასტერსა შენსა

ყოფად, რამეთუ წყალი ყოლად არა გუაქუს. **ნა** ესე უწყით, რამეთუ თუესა მახსა, დასას-
 რულსა, წვმა არა ყვისს». **ჰოლო** წმიდამან მან
 რომელთამე მათგანთა შეჰრისხნა და რომელ-
 თამე ნუგეშინის-სცემდა და ეტყოდა: «**ძმანო,** 5
 მადლობით მოვითუალოთ ყოველივე მომავალი
 ჩუენ ზედა. **წარნა** ვესავ იმერთსა, ვითარმედ
 შემდგომად სამისა დღისა აღივსნენ ყოველ-
 ნი ლაკუანი თქუენნი. **წარვედით,** განჰმზად-
 ენით რუენი». **ნა** მესამესა დღესა გამოჩნდა 10
 ღრუბელი მას ხოლო მონასტერსა ზედა, და
 გარდამოჰდა წვმა დიდი, და აღივსნეს ყოველ-
 ნი ლაკუანი მათნი, ვითარცა წინანარმეტყუე-
 ლა წმიდამან მან. **ჰოლო** გარემოს რომელნი
 იყვნეს მონასტერნი **სპილეთონისა** მონასტერსა
 – აღმოსავალით **ხასტელისი** და დასავალით
სქოლარისი, რომელნი მახლობელ იყვნეს ვი-
 თარ ხუთ უტევან, და სამხრით კერძო **წიდი** ესე
წავრა – ამათ ზედა არცაღა თუ ცუარი წყლი-
 სად გარდამოჰდა. **ნა** გულკლებულ იქმნეს მა-
 მასახლისნი მათ მონასტერთანი, მოვიდეს ბერ-
 ისა და ჰრქუეს: «რად არს უშვეულოება ჩუენი,
 მამო, რამეთუ ესრცთ განმთხიენ ჩუენ, რად-
 თამცა არა ჰლოცე სხუათათსცა მონასტერთა 15
 შენთა?» ჰრქუა მათ წმიდამან მან: «რომელთა
 უჰმდა, იმერთმან მოსცა კურთხევა მისი და
 თქუენცა ნუ შეიურვებთ, რამეთუ არა მოგაკლ-
 დეს თქუენ წყალი, ვიდრემდის მოსცეს იმერთ-
 მან წვმა ქუეყანასა».

67. შეხუთესა წელსა მის სიყმილისასა ეგ-
 ოდენი ინროებად იყო წყლისა, რამეთუ გლ-
 ახაკნი **წმიდისა** ჴალაქისანი დაყმებოდეს წყ-
 ლისა თხოვითა, დიდითა მით სიწმელითა და
 უწვმრობითა. **ნა** **სილუამისა** წყალიცა დაჰმა და
წუკილიანასა. **წრა** ხოლო თუ ამათ, არამედ 35
 წყაროთაცა **ხოლონიასათა** და **ჩეფთოასათა**
 მოაკლდა. **წამინ** მთავარეპისკოპოსსა მას შეე-
 შინა, რათა ნუუკუე ერი იგი აღდგეს მის ზედა.
 შიმოდავიდოდა და, სადა პოვის ნედლი ადგი-
 ლი, დათხრად ჰსცის მრავალთა ჳელითა. **წგო-**
ნებნ, რათამცა წყალი პოვა მუნ, და არა პოვის.
ნა შთავიდა ჳევსა **სილოამისასა,** მახლობელად
 სუეტსა **ხოზმან** და **წამიან** წმიდისასა, გზასა
 წიდისა **წავრისასა** და შთავიყანა მის თანა ქუ-
 ეყანისა განმწონელი და ერი მრავალი მუშაკთად 45
 და დათხრად სცა სიღრმწ ვითარ ორმეოც კაც.
ნა ვითარ არა პოვეს, ფრიად მწუხარე იქმნეს,
 რამეთუ მუახლებულ იყო დღესასწაული იგი
წკენისა.

ნა ეზრანა მთავარეპისკოპოსი კაცსა ერთ-
 სა, რომელსა სახელი ერქუა **სუმოს,** რომელ-
 სა მრავალგზის ექმნა განგება ქალაქისა. **ნა**
 ჰრქუა მას შეურვებით: «**აჰა** ესერა შემოვალს 5
 თუე სეკდემბერი, და წყალი არა აქუს ქალაქ-
 სა. **წად-მე** ვყო?» მოეჰსენა **სუმოსს** და ჰრქუა
 მთავარეპისკოპოსსა: «მესმა ნეტარისა **საბა-**
სი უწინარწ მცირედთა დღეთა წარსრულთა,
 ვითარმედ ერთსა მონასტერსა მისსა წყალი 10
 მუაკლდა, და გარდამოჰდა წვმა დიდძალი
 გარემოს მის მონასტრისა ხოლო, რომელსა
 აკლდა წყალი, და ყოველნი ლაკუანი მათნი
 აღივსნეს, რამეთუ ევედრებოდეს ნეტარსა მას
 მყოფნი მის მონასტრისანი, და მან ლოცვა-ყო 15
 მათთს». **წსე** ვითარცა ესმა მთავარეპისკო-
 პოსსა, მოუწოდა ნეტარსა **საბას** საეპისკოპო-
 სოდ, რეცათუ სხვსათს რაჲსმე და შეიყვანა
 იგი თვისსაგან და ევედრებოდა მას, რათამცა
 ევედრა იგი იმერთსა, და შეინყალნა ქმნულნი 20
 თსნი და წარწყმედულებად კაცთად შიმშილითა
 და წყურთილითა. **წერმე** ჰრქუა: «მე თუ ვცოდე,
 რაჲსათს მოწყდების ერი ესე?» ხოლო წმიდა-
 მან **საბა** მიუგო და ჰრქუა: «მე ვინად შეუძლო
 გარე-მიქცევად რისხვასა იმრთისასა, ცოდვ- 25
 ილმან ამან და უძღურმან, რომელსა ჩერილი
 იტყვს: უკუეთუ ცანი დაჰჰმნეს, ვინ განახუნეს
 იგინი?»

ჰოლო მთავარეპისკოპოსმან დიდადნი სი-
 ტყუანი შემოიხუნა საქენებელნი. **ნა** რათა 30
 ვთქუათ დასასრული, მიერჩდა იმრთით-შემო-
 სილი **საბა** და ჰრქუა მას: «**აჰა** ესერა შთავიდე
 მე სენაკად და ბრძანებისა შენისათს, ნეტარო,
 ვევედრო **სირსა** იმრთისასა. **წიცი,** რამეთუ
 კაცთმოყუარე არს და მოწყალე, და წყალო- 35
 ბანი და შეწყნარებანი მისნი – ყოველთა ზედა
 საქმეთა მისთა. **ნა** ესე იყავნ სასწაულად შენ-
 და: უკუეთუ სამნი ესე დღენი წარჰდენ და არა
 წვმოს, უწყოდე, რამეთუ არა შეისმინა ჩემი
 იმერთმან. **წარნა** ლოცვა-ყავთ თქუენ ჩე- 40
 მთს, რათა აქუნდეს ვედრებასა ჩემსა მად-
 ლი». **ნა** ესე ვითარცა თქუა, მესამესა დღესა
 თუესა სეკდემბერისასა წარვიდა იგი მისგან. **ნა**
 ხვალისა დღე იყო სიცხწ დიდი ფრიად, და იყო
 სიმრავლწ მუშაკთად და წინა თქმულთად მათ, 45
 რომელნი თხრიდეს. **ჰოლო** მწუხრი, ვითარცა
 დაასრულეს საქმწ მათი, დაუტყვეს მუნ ყოვე-
 ლი ჳურჳერი მათი და გოდრები და წარვიდეს,
 ჳგონებდეს, ვითარმედ ხვალისა დღე მოვიდენ
 და იქმოდინ.

ნა ვითარცა მოინაა ჟამი ერთი ღამისა, ქარი მოჰბერა სამხრით, და აღდგეს ქუხილნი და ელვანი, და წვმად გარდამოჭდა ძლიერი, და ვიდრე განთიადმდე აღივსნეს რუენი და ჴევნი ყოველთაგან მდინარეთა. ნა ვითარ განმრავლდეს წყალნი იგი ადგილსა მას, სადა-იგი იქ მოდეს ესოდენსა ჟამსა და შურებოდეს, და დიდადი საფასჴ წარაგეს და ეგოდენი იგი მიწაჲ, რომელ აღმოედვა თხრილისა მისგან, ერთსა შინა ჟამსა წარღუნა ყოველი იგი და თვსსავე ადგილსა შთადვა და დაჰფარა. ზიბეები და ჴურჭერი და გოდრები დაშთა შიდა ვიდრე დღენდელად დღედმდე. ნა მოხედვითა იმრთისაათა სიმრავლემან წყალთამან ადგილი იგი ნათხარი მუასწორა, და ვაკე იქმნა, და არავინ ცნა, სადაქუეს იყო ადგილი იგი. ნა აღივსნეს ლაკუანი წმიდისა ქალაქისანი, და ყვეს დღესასწაული წკენისაჲ დიდითა სიხარულითა.

68. ოთხმოცდამეექუსესა წელსა მამისა ჩუენისა **საბაჲსა** ჰასაკისა მისისა ჟამთა **როვანე** მთავარეპისკოპოსმან დაასრულა მეშვდჴ წელი და შვიდი თუე მთავარეპისკოპოსებასა შინა და აღესრულა. ნა მისსა ადგილსა დადგა **სეტრე**, ნათესავით **ელევთეროპოლელი**, მთავარეპისკოპოსად ჩმიდასა ჴალაქსა თუესა აპრილსა ოცსა, ინდიკტიონსა ორსა. სამი ოდენ წელი დაეყო მეფობასა შინა დიდსა მეფესა **უსტინეს**, მოხუცებულცა იყო იგი და სალმობითა ჴორცთათა დასნეულდა. ჩებითა იმრთისაათა და შეზრახვითა მთავართათა და ყოველთა მოქალაქეთა და **სპიფანტს** ნებითა და ჴელთდასხმითა მთავარეპისკოპოსისა **კონსტანტინეპოლელისაათა უსტინიანოს** დაადგინეს მეფედ. ნა ესე იყო იმრთისმოყუარისა მეფისა ჩუენისა დისწული. უსე ოდეს იყო ჴპატოს გინათუ პატრიკიოს, ქალაქისა განგებასა და სოფლისასა ძლიერად იქმოდა, ესე დადგა მეფედ, ვითარცა წერილ არს, თუესა აპრილისასა ხუთსა, ინდიკტიონსა ხუთსა.

წითარცა ოთხი თუეჲ გარდაჴდა, თუესა აგვსტოსსა, მეორესა დღესა, **უსტინე** მეფჴ აღესრულა. წრამედ, ვითარცა წინა მოჴსენებულ არს ნეტარი **საბა**, სამგზის სანატრელმან **სეტრე** ვითარცა დაყო სამი წელი საყდარსა თვსსა, იგივე წესი იპყრა, ვითარცა მისსა წინა აღსრულებულთა მთავარეპისკოპოსთა. ნა პატრიოსნად ეპყრა ნეტარი **საბა** და სურვილით ისწრაფინ მისლვად მისა უდაბნოდ. წმას მთავარეპისკოპოსსა დაჲ ესუა ჴორციელად, რო-

მელსა სახელი ერქუა **უსქია**. იმრთისმოყუარე იყო ესე ფრიად და ესე შევარდა სალმობასა მწარესა. ნა ვითარცა განწირეს იგი მკურნალთა და ვერ შეუძლეს კურნებაჲ მისი, შეენყალა ესე ძმასა თვსსა ფრიად და მოუწოდა ნეტარსა **საბას**, ევედრებოდა მას, რათამცა დაშურა და მივიდა დისა მისისა ხილვად სახიდ მისა და რათა ულოცოს მას. ღოლო ნეტარმან ბერმან არა გარე-შეაქცია ბრძანებაჲ მისი, არამედ მივიდა და მკურნალთაგან განწირული იგი პოვა და ყოლოცვად მის ზედა და დასწერა მას სამგზის ნიში **წუარისა** და აღადგინა იგი ცოცხალი. ნა ვითარცა ესმოდეს ყოველთა გარემოს მყოფთა ჩმიდისა ჴალაქისათა საქმენი იგი მისნი, ადიდებდეს იმერთსა.

69. წითარცა წინა მოჴსენებულ არს, პატრიკია, რომელსა სახელი ერქუა **სელიანა**, ესე დიდადა ქველისსაქმარსა ჴყოფდა თვსსა ქალაქსა **ხოსტანტინეპოლის**. ნა ვითარცა აღესრულა იგი, ამისნი საჭურისნი მოვიდეს **სერუსალემდ** და ესენი მეცნიერ იყვნეს ნეტარისა **საბაჲსა**, ოდეს იყო იგი **ხოსტანტინეპოლის**. შიუჴდეს იგინი თიდსა **ზავრასა** ნეტარსა მას და აქუნდა მათ საფასჴ დიდძალი. **სევედრებოდეს** მას, რათამცა შეინყნარნა იგინი და შეჴრთნა კრებულსა მისსა. ღოლო მოხუცებულმან იმრთისა მიერ ჴრქუა მათ: «აქა არა არს წესი, რათამცა უწუერული გინა საჭურისი იყოფოდა». ჴამეთუ სქულდა ნეტარსა მას ხილვად პირი დედაკაცი-საჲ, მას და მისთა მონასტერთა და ლავრათა. **სარნა**, რამეთუ მეცნიერნი მისნი იყვნეს, უნდა განკურნებაჲ მათი და აღმენებაჲ. ნა მისცნა იგინი ნეტარსა **სეოდოსის** და ესენი მცირედთა ჟამთა ისწავებდეს წესსა მონაზონებისასა და ევედრნეს მთავარეპისკოპოსსა, რათამცა მისცა მათ ადგილი კეთილი თვსისაგან.

ღოლო მთავარეპისკოპოსმან მოუწოდა **სლექსანდრეს**, მამასახლისსა მონასტრისასა, რომელი ნეტარსა **სლიას** ეშენა **სერიქოს** და დაედგინნეს მამასახლისად **ჩესტაბოს** და **ზაქარია**, და შემდგომად სიკუდილისა მათისა დადგომილ იყო **სლექსანდრე**. ნა **სლექსანდრეს** ევედრებოდა მთავარეპისკოპოსი, რათამცა შეინყნარნა საჭურისნი იგი მცირედ ჟამ. ღოლო **სლექსანდრე** ვეცხლისმოყუარებითა და ამპარტავანებითა შეპყრობილ იყო. **სარდაჴ** და იგი ბრძანებასა, რომელი დაედვა ნეტარსა მთავარეპისკოპოსსა **სლიას**, და თავით თვსით გონებაჲ თვსი დაითრგუნა და განყვნა მონ-

ასტერნი იგი. შიერ ჟამითგან უწოდეს ერთსა მას საჭურისთა მონასტერ.

70. შომაგალსა ოთხმეოცდამეთერთმეტესა წელსა მამისა ჩუენისა **საბაძსა** ჰასაკისა ჟამთა ნეტარმან აბბა **ქეოდოსი** დაასრულა ცხოვრებად თვისი და იმრთისა მივიდა თუესა იანვარისასა ათერთმეტსა, ინდიკტიონსა შუდსა, მოხუცებული და სავსე დღითა. **სოფრონიოს** ვისმე ერქუა სახელი და იყო იგი მონაზონებასა წარმართებულ. შმან ღირსმან მამასახლისობა დაიპყრა. შეოთხესა თუესა შემდგომად სიკუდილისა ნეტარისა **ქეოდოსისა** **სალესტინისა** **სამარიტნი** აღდგეს ჴრისტიანეთა ზედა და დიდადსა უშჯულოებასა იქმოდეს, რამეთუ რომელსა მიემთხუეოდეს ეკლესიასა, გამოტყუენიან და ცეცხლითა დანჯან. შა კაცი ჴრისტიანე, რომელი შევარდის ჳელთა მათთა, ტანჯიან იგი უწყალოდ და მოკლიან. შა დაბნებსა ჴრისტიანეთასა, რომელსა მიემთხუეოდეს, ცეცხლითა დასწუვიდეს, უმეტეს ხოლო რომელნი გარემოეს იყვნეს ქალაქსა **ჩეაპოლისსა**.

შა ესოდენ წინა-აღუდგეს ჴრისტიანეთა, ვიდრემდე მეფეცა დაისუეს, რომელსა სახელი ერქუა **ჯელიანე**, და ეპისკოპოსი **ჩეაპოლისისა** მოკლეს, რომელსა სახელი ერქუა **შამონა**, და ხუცესნი, რომელნი შეეპყრნეს, დაჭრნეს და ცეცხლითა დანუნეს და მათ თანა ნანილნი მარტურთანი. შა დიდადსა ბოროტსა შეაჩუენებდეს ჴრისტიანეთა. შა შეიპყრნეს გზანი სამეუფონი და ვერ ძალ-ედვა ჴრისტიანეთა სლვად. შა ვითარცა ესმა ესე ყოველი ნეტარსა და იმრთისმოყუარესა მეფესა **სუსტინიანოსს**, უბრძანა **ქეოდორეს** და **სოანნის** დიდებულთა, რაათა გუნდი შეკრიბონ და მიუჯდენ **სამარიტთა**. შა ესენი ვითარცა მოვიდეს, მოსრეს სიმრავლე **სამარიტელთა** და მოკლეს მეფე იგი სამარიტთა **ჯელიანე**. შაშინ **სილოანე** რეცათუ მშჯღობისა სახითა **სკუთოპოლისა** შევიდა თვნიერ ბრძანებისა მეფისა, და აღიტაცეს იგი ჴრისტიანეთა და საშუვალ ქალაქსა ცეცხლითა დანუნეს. შა აღესრულა მისა მიმართ, რომელსა ზრახვიდეს **სოვანე** ხარკის-მომჯდელი და ნეტარი **საბა**, რომელიცა-იგი წინანარმეტყუელა მისთვის ნეტარმან **საბა**.

არსენი ერქუა სახელი დამწურისა მის **სილოანის** ძესა. შა ესე იყო ელვსტრიოს და დაეყო მრავალი ჟამი **ხოსტანტინეპოლისის** და შევიდოდა ჳელმნიფებით მეფეთა წინაშე. შმას ვითარ ესმა სიკუდილი მამისა თვისისა, შევიდა

წინაშე მეფისა და დედოფლისა **ქეოდორასა** და სხუად სახეთ დააჯერა სიკუდილი მამისა თვისისა და განარისხა მეფე ჴრისტიანეთა ზედა **სალესტინისათა**. შაშინ **სეტრე**, მთავარეპისკოპოსი **ქერუსალემისა**, და სხუანი ეპისკოპოსნი, რომელნი მის ქუეშე იყვნეს, ევედრებოდეს ნეტარსა **საბას**, რაათამცა აღვიდა **ხოსტანტინეპოლისა** და ევედრა მეფესა და შენდობამცა ყო ხარკისა პირველისა და მეორისა **სალესტინისა**, რომელი-იგი მონენულ იყო **სამარიტთაგან** სიკუდილი და ტყუენვა. შა თავს-იდვა მღდელთმოდღუართად მათ ბრძანებად მოხუცებულმან მან იმრთისამიერმან და წარვიდა **ხოსტანტინეპოლისა** თუესა აპრილსა, ინდიკტიონსა რვასა.

71. ღოლო მთავარეპისკოპოსმან წინა-წარუძღუნა წიგნი მეფესა და აუნყა მისლვად ნეტარისა მის. ღოლო იმრთისა მიერ დაცვულსა მეფესა ვითარცა ესმა მისლვად ბერისა, განიხარა ფრიად და ბრძანა სამეფოთა ნავთა მიგებებად მისა. შა მათ თანა განვიდეს შემთხუევად მისა **სპიფანე**, მთავარეპისკოპოსი **ხოსტანტინეპოლისისა**, და პაპა **ჯესები** და **ჴპატი**, **ჯესოსა** ეპისკოპოსი. შა ვითარცა იხილეს, შემთხუვნეს ურთიერთას და შეიყვანეს იგი მეფისა. ღოლო იმერთმან მაღლი მონისა თვისისა გამოუცხადა მეფესა, ვითარცა-იგი წინაათ **წნასტასის** მეფესა. **სე** ვითარცა შევიდოდა მღდელთმთავართა თანა მეფისა და შინაგანსა კარსა ვითარცა აღიპყრეს ეზოდ, განუხუნა იმერთმან თუალნი მეფესა და იხილა მსგავსად გვრგვნისა თავსა ზედა მის ნეტარისასა ნათელი მბრწყინვალე, ვითარცა მზისთუალი. შა მირბიოდა მეფე და თავყანის-სცა და სიხარულითა ცრემლით ამბორს-უყო თავსა მისსა და იკურთხა მისგან და მიიღო ჳელთა მისთაგან წიგნი იგი სავედრებელი, რომელ-იგი მიენერა მთავარეპისკოპოსთა **სალესტინისათა**. შა დააჯერა მას მეფემან, რაათა შევიდეს და აკურთხოს დედოფალი **ქეოდორა**. შა ვითარცა შევიდა ბერი, აღდგა დედოფალი, თავყანის-სცა მას და შემთხუა იგი, სიხარულით ევედრებოდა მას და ჰრქუა: «მილოცე მე, მამაო, რაათა იმერთმან მომმადლოს ნაყოფი მუცლისა ჩემისა». შა ჰრქუა მას ბერმან: «იმერთმან ყოველთა უფლებათამან დაიცვიენ მეფობა თქუენი». შა კუალად ჰრქუა მას დედოფალმან: «ლოცვა-ყავ, მამაო, რაათა მომცეს **ოფალმან** შვილი». შიუგო ნეტარმან **საბა** და ჰრქუა მას:

«იმერთმან დიდებისამან იმრთისმსახურებით და ძლევით დაიცვიან მეფობაჲ თქუენის»

თა გულკლებულ იქმნა დედოფალი, რამეთუ არღა იგი მიითუალა, თხოვად იგი მისი. თა ვითარ გამოვიდა იგი მიერ, აბრალებდეს მას მამანი, რომელნი-იგი თანა-უვიდოდეს მას, და ჰრქუეს: «რამათჳს შეანუხე დედოფალი და ნებისა მისისაებრ არა ულოცე?» და ჰრქუა მათ ბერმან: «გრწმენინ ჩემი, მამანო, რამეთუ არა გამოვიდეს მუცლისა მისისაგან ნაყოფი, რათა არა ნოვოს სებერცს შჯულისაგან და უძვრცს **წნასტასისსა** აღაშფოთნეს ეკლესიანი». თა უბრძანა მეფემან ყოფად მისი პალატს შინა. შაშინ იმრთისა მიერ დაცვულმან მან მეფემან ვითარცა მიიღო ვედრებაჲ იგი მოხუცებულისა მისგან ყოველთათჳს ეკლესიათა **სალესტინისათა**, მიაქცია რისხვად იგი **სამარიტელთავე** ზედა და უბრძანა შჯული დადებად მათ ზედა, რათა დასცხრენ **სამარიტნი** კრებისა მათისაგან და ქალაქთაგან განასხნენ და რათა არა დაიმკვდრენ თჳსნიცა, და ნუცამცა ჳელენიფების მათგანსა ნიჭებად ვისა. თა ესეცა შჯული ბრძანავე, რათა მთავარნი მათნი და მაშფოთებელნი მოსწყდნენ. ჰოლო **არსენის** ვითარცა ესმა ბრძანებაჲ ესე მოსრვისათჳს **სამარიტთაჲსა**, უჩინო იქმნა რაოდენმე ჟამ. თა ვითარცა ეგულეობდა ნეტარსა **საბას** გამოსლვად მიერ ქალაქით, მოვიდა **არსენი** და შეუფრდა მას და ნათელი მოიღო მან და ყოველთა მისთა.

72. თა შემდგომად მცირედთა ჟამთა მოუწოდა მეფემან ნეტარსა **საბას** და ჰრქუა მას: «მასმიეს მე, მამაო, ვითარმედ მრავალნი მონასტერნი აღვიშენებთან უდაბნოს. ოკუეთუ ჯერ-იჩინო, ითხოვე სოფლები სამსახურებელად მონასტერთათჳს და, სადაცა ინებო, მიგცეთ ჩუენ, რათა გვლოცვიდენ ჩუენ იგინი». ჰოლო ნეტარმან **საბა** ჰრქუა: «შენისა იმრთისმსახურებისა უფროჲს ხოლო მლოცველნი, მათ სოფლები არა უჳმს, რამეთუ ნაწილ მათა სოფლებისა წილ ოფალი არს, რომელმან უდაბნოსა ზედა ერსა ურჩსა და წინა-აღმდგომსა პური სცა და მწყერ-მარჯილი აღმოუცენა, იგივე ოფალი არს მზრუნველ მათა. ჰოლო ჩუენ, იმრთისმსახურო მეფეო, დამტკიცებისათჳს წმიდათა ეკლესიათა **სალესტინისათა** გვევდრებით და შენდობასა ხარკისასა ვითხოვთ და აღშენებად, რომელნი **სამარიტთა** დააქცივნეს წმიდანი ადგილნი, და შეწვენად, რომელნი დამ-

ცირდეს და წარიტყუენნეს ჴრისტიანენი **სალესტინისანი**. თა ამასცა ვითხოვთ, რათა ერთი სასწიელოჲ აღაშენო **წმიდასა** ჴალაქსა უცხოთათჳს მომავალთა საზრდელად და სწეულთა განსასუენებელად.

თა მასვე ადგილსა დადებულ არს საფუძველი წმიდისა იმრთისმშობელისა ეკლესიისაჲ, რომელი წინა ჟამთა დადვა მთავარეპისკოპოსმან **ილია**. ოსე აღაშენე და შეამკვე, რამეთუ უფროჲს ყოვლისა ესე შეჳგავს შენსა იმრთისმსახურებასა. თა **სარკინოსთა** წყინებისათჳს და ზედა-მოსლვისა ვევედრებით შენსა სიმშვედესა, რათა უბრძანო **სუმოსს** დიდებულსა, და აღაშენოს ციხე სამეფოთა უდაბნოს ქუემოკერძო შენებულთა მათ ჩემთა მონასტერთა. თა ვესავ, რამეთუ ხუთთა ამათ წილ იმრთისა სათნოდ ქმნულთა შესძინოს იმერთმან შენსა მეფობასა **წფრიკეთი** და **სრომი** და სხუად ყოველი, რომელი **ანორის** მეფესა ეპყრა, რომელი შენსა წინა სხუათა მეფეთა წარენყმიდა. თა შენისა იმრთისმსახურებისა ყუდროებითა ესეცა ყავ: **არიანოსთა** შჯული და **ნესტორიანთა** და **ოროგინელთა** დათრგუნე ქუეშე ფერჯთა შენთა და ამათ სამთაგან წვალებათა ძნელთა განარინენ ოკლესიანი იმრთისანი».

ჴაჲსა ანუ რომლითა სახითა ითხოვა მეფისაგან სამთა ამათ შჯულთაჲ განსხმად, აწ ვთქუა: რამეთუ **სრიოსის** შჯული უპყრიეს ამათ **გუთთა** და სხუათა **გუთთა** და **ვალანდთა** და **გიდიათა**. ოსენი ჰყოფდეს **სრიოსის** წვალეებასა და ეპყრა ყოველი დასავალითი ამათ. თა ცნა სულითა, რამეთუ ზრუნავს მათთჳს მეფე; ხოლო **ნესტორის** წვალეებასა ამისთჳს სახელ-სდვა, რამეთუ მის თანა ვინმე აღსრულ იყვნეს მონაზონნი, რომელნი იყვნეს **ქეოდორე მანქუესტიაჲსანი** და იპოვნეს იგინი თანა-შემწე სამეფოს შინა გარდაქცეულთა მათ თანა ზრახვასა; და **ოროგინე** განწრწნილისა წვალეებაჲ და თქუმული სხუათა მწვალებელთა განძებულთაჲ თანა-შეერთო, რამეთუ იპოვა ვინმე მის თანა მონაზონი, ნათესავით **ბიზანტიელი**, სახელით **ზეონტი**. ოსე შეიყვანა **ჩეა-ლავრად** **ჩონოსის** თანა შემდგომად **სტაპის** სიკუდილისა. წმათ ეპყრა შჯული **ოროგინცსი**, ხოლო ნეტარი ესე **ჴალკიდონისა** კრებასა ზედა დგებოდა. წმან ცნა, რამეთუ **ოროგინცს** თქუმულთა ესავს. თა ვითარცა ესმა სარწმუნოდ მამასა ჩუენსა **საბას**, მაშინ ნეტარისა **სტაპის** სიტყუად მოიჳსენა და განაძო ესე და რომელნი **ქეოდორცს**

წვალეზასა შეუდგეს, და არღარა უტევა თა-
ნა-მუახლებად მისა და აუნყა მეფესა ყოველთა
ამათ მწვალებელთა განძებად.

73. ნა რაოდენი რად ითხოვა მამამან ჩუენ-
მან **საბა**, იმრთისმსახურმან მეფემან ჩუენმან
გარდაუქცეველად ყოველივე ყო, ვითარცა
ნავით წინანარმეტყუელა და კაცთმოყუარე-
მან იმერთმან ქმნა. ნა ესეცა კუალად გო-
ნიერად უწყოდეთ: პირველად იქმნა ბრძანებად
მთავარეპისკოპოსისა **სეტრცსა** და ყოველთა
მიმართ მთავართა **სალესტინისათა**. ნამტკი-
ცა და უბრძანა **ნტონის**, **ასკალონელ** ეპის-
კოპოსსა, და **ხაქარაის**, **პელელ** ეპისკოპოსსა,
რადთა ამათ მოიხილონ სოფლები იგი, მომ-
ნუარი **სამარიტაგან** პირველისა და მეორისა
სალესტინისად და შენდობად ხარკისად მეცხ-
რისა და მეთათისა ინდიკტიონისად, მსგავსად
დაჭირვებისა თითოეულისა ადგილისა, და
შეუნდო ვითარ ათცამეტი კენტენარი ოქროდ
და უბრძანა მათვე მოხილვად ეკლესიათად, რო-
მელნი დაენუნეს **სამარიტა**. ნა ეგრევე მს-
გავსად ბრძანა მიცემად თითოეულთა წმიდათა
ადგილთადა ესე მისაცემელი გინა სამეფოსა
ხარკისაგან, გინა საფასისაგან **სამარიტათა-
სა სტეფანცს** მიერ, მბრწყინვალისა კომისისა,
რომელსა ბრძანებად აქუნდა წინამძღურობისად
ეპისკოპოსთად მათ, რომელთა რწმუნებულ იყო
აღნილვად სოფლებისად მის დაძმურისად.

შესამც ბრძანებად უბრძანა იმრთისა მიერ
მოხუცებულსა მას აღშწნებად სასანეულოდ
შოვა წმიდასა ჴალაქსა და დადგამად ასისა ცხ-
ედრისად. ნა განუჩინა რადცა წელიწად წმიდად
დრაჰკანი ათას რვაას ერგასისი. ნა ამისსა შემ-
დგომად კუალად უბრძანა მასვე სასანეულოსა
შინა ასი სხუად ცხედარი და კუალად შეურთო
სხუად ეგოდენივე რიცხვ დრაჰკანი. ნა ესე კე-
თილად დაამტკიცა ვიდრე აღსასრულადმდე.
ჰრომად და ჭირი დიდი ყო, რადთამცა აღასრუ-
ლა მეოთხედ იგი თხოვად ბერმან და უბრძანა
წარმოსლვად **სერუსალემდ** **წეოდორეს**, საქმის
აღმწონელსა, რადთა აღაშენოს ახალი ეკლესიად
წმიდისა იმრთისმშობელისად და მარადის ქალ-
წულისა **შარიამისი**. ნა ბრძანებად მოსცა ხარკ-
ის-მკრებელთა მიმართ **სალესტინისათა**, რად-
თა იგინი მისცემდენ, რად-იგი უწმდეს საშენებ-
ლად. ღოლო მთავრობად მის ადგილისად მისცა
მთავარეპისკოპოსსა **სეტრეს** და **ჴარაქოსს**,
ბაკათელ ეპისკოპოსსა, უბრძანა ზედა-დგომად
საქმისად მის. ნა ესრტთ მეთაორმეტესა წელსა

აღეშწნა ახალი ეკლესიად ყოვლად ქებულისა
იმრთისმშობელისად. ნა შეამკვეს იგი ყოვლი-
თა სამკაულითა და სატფური ყვეს. ღოლო პა-
ტიოსნისად მის ქმნულებისა სიდიდც და მბრწყ-
ინვალეებისა დიდებად და სიმრავლც შემკობისად
უფროდ არარად გვცმს მითხრობად, რომელსა
თუალითა ჩუენითა ვხედავთ. უსე უფროდ აღ-
მატებულ არს ძუელთა მათ შწნებულთა და
თქუმულთა, რომელსა განაკვრვებდეს კაცნი
და აქებდეს უღმრთონი. უსე მეოთხც, რომე-
ლი ითხოვა ნეტარმან **საბა**, მეოთხისა თხოვისა
ნაყოფი არს.

ღოლო იმრთისმსახურმან ჩუენმან მეფემან,
იხილა რად მეხუთც ესე თხოვად, მისცა ნეტარსა
საბას და დანერა ბრძანებად **სუმოქსა** მიმართ
და თქუა: «ათასი დრაჰკანი მიეც აბბა **საბას**,
რადთა აღაშწნოს ციხც. ნა ესე ოქროდ ხარკისა-
გან **სალესტინისა** მიეც და მცველად მწედარნი
დაადგინენ და სცვიდენ მონასტერთა მისთა,
და საზრდელი მიეცემოდენ მწედართა სამეფუ-
ფოქსაგან». ღოლო იმრთით-დაცვული მეფც
ჩუენი უცალო იყო საქმითა ამით და განიყვანა
თჯისაგან **ღრიბონიანოს** კესტორი ტაძარსა,
რომელსა ჰრქვან **შაგნაურა**. ღოლო ნეტარი
საბა გან-რე-დგა თჯისაგან და იწყო ფსალ-
მონებად და აღასრულა სამყამი. ურთი ვინმე
მონაფეთა მისთაგანი, რომელსა სახელი ერქუა
სერემია, დიაკონი შიდისა ჴავრისად, მოუჭდა
და ჰრქუა მას: «პატიოსანო მამაო, აჰა ესერა
მეფესა ესევეთარი სწრაფად აქუს შენდა მიმართ
და ნებასა შენსა აღასრულებს წადიერად. ჴენ
რადსათჯს განემოვრე და თჯისაგან სდგა?» ჰრ-
ქუა მას ბერმან: «შვილო, იგინი თჯსა საქმესა
იქმან, ჩუენცა ჩუენი აღვასრულთ».

74. ღოლო მეფემან ესე ყოველი დაამტკი-
ცა და ყოველისა ბრძანებისად წერილი მისცა
ნეტარსა მას მოხუცებულსა და განუტევა იგი
მშუდობით. ღოლო იმერთმან მოსცა მადლი
მეფესა ბევრ წილად და წინანარმეტყუელებად
იგი ბერისად აღესრულა. ნა ვითარცა მცირედ-
ნი ჟამნი წარცდეს, მეფემან ორნი ნერგნი
დაჰწერგნა და ორნი ძალნი შეიმოსნა, რომელი
არავის ეყო უწინარცსთა მისსა მეფეთა: **სფ-
რიკეთი** და **სრომი**, რომელი წინა-აღმდგომთა
ეპყრა, იგი უკმოიპყრა და ორნივე იგი მეფენი
შემოყვანებად სცნა **ხოსტანტინეპოლისა** და იხ-
ილნა **ოიტიგინ**, მეფც **სრომისად**, და **სელიმე-
რა**, მეფც **სფრიკეთისად**. ნა ესრტთ ქუეყანისად
და ზღვსად ნახევარი უკმოიპყრა და მცირედთა

დღეთა ბერძენთა მეფობაჲ უმეტესს განადიდა. **7** **8** **9** **10** **11** **12** **13** **14** **15** **16** **17** **18** **19** **20** **21** **22** **23** **24** **25** **26** **27** **28** **29** **30** **31** **32** **33** **34** **35** **36** **37** **38** **39** **40** **41** **42** **43** **44** **45** **46** **47** **48** **49** **50** **51** **52** **53** **54** **55** **56** **57** **58** **59** **60** **61** **62** **63** **64** **65** **66** **67** **68** **69** **70** **71** **72** **73** **74** **75** **76** **77** **78** **79** **80** **81** **82** **83** **84** **85** **86** **87** **88** **89** **90** **91** **92** **93** **94** **95** **96** **97** **98** **99** **100** **101** **102** **103** **104** **105** **106** **107** **108** **109** **110** **111** **112** **113** **114** **115** **116** **117** **118** **119** **120** **121** **122** **123** **124** **125** **126** **127** **128** **129** **130** **131** **132** **133** **134** **135** **136** **137** **138** **139** **140** **141** **142** **143** **144** **145** **146** **147** **148** **149** **150** **151** **152** **153** **154** **155** **156** **157** **158** **159** **160** **161** **162** **163** **164** **165** **166** **167** **168** **169** **170** **171** **172** **173** **174** **175** **176** **177** **178** **179** **180** **181** **182** **183** **184** **185** **186** **187** **188** **189** **190** **191** **192** **193** **194** **195** **196** **197** **198** **199** **200** **201** **202** **203** **204** **205** **206** **207** **208** **209** **210** **211** **212** **213** **214** **215** **216** **217** **218** **219** **220** **221** **222** **223** **224** **225** **226** **227** **228** **229** **230** **231** **232** **233** **234** **235** **236** **237** **238** **239** **240** **241** **242** **243** **244** **245** **246** **247** **248** **249** **250** **251** **252** **253** **254** **255** **256** **257** **258** **259** **260** **261** **262** **263** **264** **265** **266** **267** **268** **269** **270** **271** **272** **273** **274** **275** **276** **277** **278** **279** **280** **281** **282** **283** **284** **285** **286** **287** **288** **289** **290** **291** **292** **293** **294** **295** **296** **297** **298** **299** **300** **301** **302** **303** **304** **305** **306** **307** **308** **309** **310** **311** **312** **313** **314** **315** **316** **317** **318** **319** **320** **321** **322** **323** **324** **325** **326** **327** **328** **329** **330** **331** **332** **333** **334** **335** **336** **337** **338** **339** **340** **341** **342** **343** **344** **345** **346** **347** **348** **349** **350** **351** **352** **353** **354** **355** **356** **357** **358** **359** **360** **361** **362** **363** **364** **365** **366** **367** **368** **369** **370** **371** **372** **373** **374** **375** **376** **377** **378** **379** **380** **381** **382** **383** **384** **385** **386** **387** **388** **389** **390** **391** **392** **393** **394** **395** **396** **397** **398** **399** **400** **401** **402** **403** **404** **405** **406** **407** **408** **409** **410** **411** **412** **413** **414** **415** **416** **417** **418** **419** **420** **421** **422** **423** **424** **425** **426** **427** **428** **429** **430** **431** **432** **433** **434** **435** **436** **437** **438** **439** **440** **441** **442** **443** **444** **445** **446** **447** **448** **449** **450** **451** **452** **453** **454** **455** **456** **457** **458** **459** **460** **461** **462** **463** **464** **465** **466** **467** **468** **469** **470** **471** **472** **473** **474** **475** **476** **477** **478** **479** **480** **481** **482** **483** **484** **485** **486** **487** **488** **489** **490** **491** **492** **493** **494** **495** **496** **497** **498** **499** **500** **501** **502** **503** **504** **505** **506** **507** **508** **509** **510** **511** **512** **513** **514** **515** **516** **517** **518** **519** **520** **521** **522** **523** **524** **525** **526** **527** **528** **529** **530** **531** **532** **533** **534** **535** **536** **537** **538** **539** **540** **541** **542** **543** **544** **545** **546** **547** **548** **549** **550** **551** **552** **553** **554** **555** **556** **557** **558** **559** **560** **561** **562** **563** **564** **565** **566** **567** **568** **569** **570** **571** **572** **573** **574** **575** **576** **577** **578** **579** **580** **581** **582** **583** **584** **585** **586** **587** **588** **589** **590** **591** **592** **593** **594** **595** **596** **597** **598** **599** **600** **601** **602** **603** **604** **605** **606** **607** **608** **609** **610** **611** **612** **613** **614** **615** **616** **617** **618** **619** **620** **621** **622** **623** **624** **625** **626** **627** **628** **629** **630** **631** **632** **633** **634** **635** **636** **637** **638** **639** **640** **641** **642** **643** **644** **645** **646** **647** **648** **649** **650** **651** **652** **653** **654** **655** **656** **657** **658** **659** **660** **661** **662** **663** **664** **665** **666** **667** **668** **669** **670** **671** **672** **673** **674** **675** **676** **677** **678** **679** **680** **681** **682** **683** **684** **685** **686** **687** **688** **689** **690** **691** **692** **693** **694** **695** **696** **697** **698** **699** **700** **701** **702** **703** **704** **705** **706** **707** **708** **709** **710** **711** **712** **713** **714** **715** **716** **717** **718** **719** **720** **721** **722** **723** **724** **725** **726** **727** **728** **729** **730** **731** **732** **733** **734** **735** **736** **737** **738** **739** **740** **741** **742** **743** **744** **745** **746** **747** **748** **749** **750** **751** **752** **753** **754** **755** **756** **757** **758** **759** **760** **761** **762** **763** **764** **765** **766** **767** **768** **769** **770** **771** **772** **773** **774** **775** **776** **777** **778** **779** **780** **781** **782** **783** **784** **785** **786** **787** **788** **789** **790** **791** **792** **793** **794** **795** **796** **797** **798** **799** **800** **801** **802** **803** **804** **805** **806** **807** **808** **809** **810** **811** **812** **813** **814** **815** **816** **817** **818** **819** **820** **821** **822** **823** **824** **825** **826** **827** **828** **829** **830** **831** **832** **833** **834** **835** **836** **837** **838** **839** **840** **841** **842** **843** **844** **845** **846** **847** **848** **849** **850** **851** **852** **853** **854** **855** **856** **857** **858** **859** **860** **861** **862** **863** **864** **865** **866** **867** **868** **869** **870** **871** **872** **873** **874** **875** **876** **877** **878** **879** **880** **881** **882** **883** **884** **885** **886** **887** **888** **889** **890** **891** **892** **893** **894** **895** **896** **897** **898** **899** **900** **901** **902** **903** **904** **905** **906** **907** **908** **909** **910** **911** **912** **913** **914** **915** **916** **917** **918** **919** **920** **921** **922** **923** **924** **925** **926** **927** **928** **929** **930** **931** **932** **933** **934** **935** **936** **937** **938** **939** **940** **941** **942** **943** **944** **945** **946** **947** **948** **949** **950** **951** **952** **953** **954** **955** **956** **957** **958** **959** **960** **961** **962** **963** **964** **965** **966** **967** **968** **969** **970** **971** **972** **973** **974** **975** **976** **977** **978** **979** **980** **981** **982** **983** **984** **985** **986** **987** **988** **989** **990** **991** **992** **993** **994** **995** **996** **997** **998** **999** **1000**

ქოლო მოხუცებულმან მან იმრთისამიერ-
მან განიშოვრნა, ვითარცა თქუმულ არს, **ზე-**
ონტი ბზანტიელი და **ქეოდორე მამქუესტისა**
